საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა, 28 ოქტომბერი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 251 (2294)

დღიური

- საპარლამენტო არჩევნები ავსტრალიაში - დანიშნულია [illegible] ნოემბრისათვის.
- ჰამბურგის საზღვაო სამმართველოს განსაკუთრებული მადლობა „კრასინ"-ის ეკიპაჟს.
- პოლონეთის სეიმის სესია გაიხსნება 31 ოქტომბერს.
- ციხიდან გაანთავისუფლეს კომუნისტი დეპუტატი დორიო.
- ნანკინის მთავრობამ აკრძალა ბოიკოტი იაპონელებისადმი.
- ახალი ერთა ლიგის შექმნის პროექტი.

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა ნოემბრისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტური კავშირის ათი წლის თავი

თავისი არსებობის ათი წლის განმავლობაში ა. ლ. კ. კ. გაიზარდა არა მარტო **რიცხვობრივად**, არამედ, რაც მთავარია, **თვისობრივადაც**. იგი უდიდესი მნიშვნელობის დადებით ფაქტორად გადაიქცა; იგი უკვე თამაშობს უდიდეს როლს როგორც კულტურულ, ისე სამეურნეო ფრონტზე; ის **წითელ არმიასა, წითელ ფლოტსა და წითელ ავიაციაში წარმოადგენს ერთ-ერთ ორგანიზაციულ ძალას.** ყველა ამ დარგში კომკავშირმა მიაღწია უდიდეს წარმატებებს, ამიტომ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება კმაყოფილებითა და სიამაყით შეჰყურებენ კომკავშირის უზარმაზარ არმიას,—საბჭოთა ახალგაზრდობის ამ შემჭიდროებულ და დარაზმულ ძალას.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი თუ რა ძალას წარმოადგენს კომკავშირი, როგორია მისი როლი ქვეყნის ახალ საფუძველზე გარდაქმნის საქმეში, სოციალიზმის მშენებლობაში.

ამჟამად ჩვენ გვჭირდება მეტი საქმე და ნაკლები ლაპარაკი. საქმე კი ჩვენ ძლიერ ბევრი გვაქვს. ყველგან, საითაც არ გაიხედავთ, გაჭირვება, ჩამორჩენილობა და სიბნელეა. ყველგან საჭიროა ხელმძღვანელები, — **პატიოსანი, გულწრფელი და საქმის ერთგული მუშაკები.** საჭიროა ისეთი ხალხი, რომელიც იმუშავებს სინდისის კარნახით და არა შიშის გამო. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, კომკავშირს შეუძლია და უნდა მოგვცეს კიდეც ასეთი ხალხი.

ჩვენ დიდი დაბრკოლებანი გველობება ახალი ცხოვრების მშენებლობაში და რაც უფრო წინ მივდივართ, მით უფრო იზრდება ეს დაბრკოლებანი. ეს ჩვენ წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ და მხედველობაში მივიღოთ. სოციალისტური საზოგადოების შენება ძნელი საქმე როდია. პირველი ამოცანა იყო პოლიტიკური, ე. ი. ექსპლოატატორებისა, მემამულეებისა და კაპიტალისტების დამარცხება. ეს ამოცანა გადაიჭრა 11 წლის წინად. მეორე ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ **ეკონომიურადაც** ვსძლიოთ ბურჟუაზიული წყობილება და ავაშენოთ სოციალიზმი. ეს მეორე ამოცანა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე პირველი. ამ ამოცანის გადაჭრა არ შეიძლება ერთი დაკვრით. ამისათვის საჭიროა სისტემატიური და ხანგრძლივი მუშაობა. ეს სიმაგრე უნდა ავიღოთ, როგორც ლენინი გვასწავლიდა, სამხედრო ტაქტიკისა და სტრატეგიის ყველა ხერხით. აქ ჩვენ მოგვიხდება მიხვეულ-მოხვეული გზით სიარული. ცხადია, რომ ყოველივე ეს უნდა გავიგოთ ფიგურალურად და არა სიტყვა-სიტყვით.

ყველაზე მეტი სიძნელენი — **სახოფლო მეურნეობის დარგშია.** აქ ჩვენი მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ტეხნიკურად მეტად ჩამორჩენილ, დაქუცმაცებულ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებიდან თანდათანობით შევქმნათ **მსხვილი კოლექტიური მეურნეობანი** მაღალი ტეხნიკის საფუძველზე.

ეს პროცესი შედარებით მეტად რთული და ხანგრძლივია. მაგრამ მიუხედავად ამისა ეს აუცილებელია. ამის გამო აქა-იქ ადგილი აქვს სულით დაცემას და იჭვებს სოციალიზმის მშენებლობის შესახებ. ასეთი განწყობილება უნდა მოისპოს ჩვენს რიგებში.

კომკავშირმა განსაკუთრებით სოფლად, უდიდესი და მეტად მნიშვნელოვანი მუშაობა უნდა გასწიოს, უწინარეს ყოვლისა, **კულტურული რევოლიუციის დარგში** — იგი უნდა შეებრძოლოს წერა - კითხვის უცოდინარობას, სიბნელეს და ცრუმორწმუნეობას. შემდეგ მან დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს **სახოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციას.** ყველა ამ საქმეში **მავნებელია აჩქარება, საჭიროა სიფრთხილე და მოფიქრება,** დასახული მიზნის სისტემატიურად და მტკიცედ განხორციელება. ე. ი. საჭიროა ის, რასაც არა ერთხელ გვირჩევდა **ლენინი.** უწინარეს ყოვლისა საჭიროა **რწმენა სოციალისტურ მშენებლობაში. საჭიროა ბოლშევიკური გამობრძმედა, საჭიროა აღფრთოვანება.** ამისათვის კი საჭიროა ახალგაზრდა ძალების და უფროსი ამხანაგების, არალეგალურად მომუშავე ძველი ბოლშევიკების გამოცდილების აღრიცხვა.

მეორე ათწლეულში კომკავშირმა უნდა გაათკეცოს თავისი ენერგია და განაგრძოს დაწყებული საქმე ახალი აღფრთოვანებით.

გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს!
გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციას!
გაუმარჯოს სოციალიზმს!

ფ. მახარაძე.

განვაგრძოთ სოციალისტური შეტევა

სახალხო მეურნეობის 1928—29 წლის საკონტროლო ციფრებმა, რომლების დამუშავებაც ამჟამად სწარმოებს, მუშათა და გლეხთა ფართო ფენების ყურადღება უნდა მიიქციონ. საკონტროლო ციფრები (რაც დრო გადის, უფრო მეტად) ხომ სახ. მეურნ. მთლიან წლიურ გეგმას წარმოადგენენ. ამ გეგმაში პარტიის საერთო დირექტივები და საერთო ხაზი თავიანთ ციფრობრივ გამოხატულებას ჰპოებენ ერთი წლის მანძილზე. ჩვენ არაერთხელ დავუბრუნდებით ამ წლიური სამეურნეო გეგმის ცალკე მხარეების უფრო დეტალურ შეფასებას, ამჟამად კი შევჩერდებით მის ყველაზე უფრო მთავარ მომენტებზე.

როდესაც ჩვენს სამეურნეო მშენებლობაზე ვლაპარაკობთ ხშირად, ვივიწყებთ იმ რეკონსტრუქტიული პროცესების მთელ სიღრმეს, რომლებშიაც ჩვენ ვიხარშებით, ხშირად მხედველობიდან ვუშვებთ, რომ ომის წინა დროის დონე მრავალ მეტად მნიშვნელოვან დარგებში უკვე განვლილ საფეხურს წარმოადგენს. სასარგებლოა გავიხსენოთ შემდეგი ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ რეკონსტრუქტიული პროცესების მთელს სიღრმეს ჩვენს ქვეყანაში და რომლებიც ამასთანავე მეტად ნათლად აშკარავებენ სუსტ ადგილებს სამეურნეო მშენებლობაში. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ვარაუდით, მიმდინარე 1928—29 წელს ელექტრონის ენერგიის წარმოება უნდა უდრიდეს 1913 წლის წარმოების 340 პროცენტს, ქვანახშირის ამოღება—142 პროცენტს, ნავთის—137 პროცენტს, ტორფისა კი —500 პროცენტს. მანქანათმშენებლობის დარგში შინაგანი წვის მამოძრავებლების წარმოება უნდა ავიდეს 1913 წლის დონის 500 პროცენტამდე, სახოფლო-სამეურნეო მანქანებისა —260 პროცენტამდე. მადნებისა და ლითონების დარგში ჩვენ წელს, 1913 წელთან შედარებით, მივაღწიეთ: რკინის მადნის ამოღებაში—77 პროცენტს, თუჯისა—92 პროცენტს. ბამბის ქსოვილების წარმოება შეადგენს 113 პროცენტს, მატყლის ქსოვილების—110 პროცენტს და შაქრის ფხვნილის—112 პროცენტს. ბოლოს, სოფლის მეურნეობის პროდუქტებში მარცვლეულის კულტურები წელს, 1913 წელთან შედარებით თითქმის 90 პროცენტს მიაღწევენ. ბამბა—116 პროცენტს, სელის ბოჭკო—76 პროცენტს და სხვ.

ეს ციფრები მეტად ნათლად გვიმტკიცებენ, რომ მრავალ უმნიშვნელოვანეს დარგში ჩვენ საგრძნობლად გადავაჭარბეთ ომის წინა დროინდელი რუსეთის დონეს. ჩვენ მიერ წინ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი არის ახალი სოციალისტური ტეხნიკური ბაზის მშენებლობისა და ახალი სოციალისტური საძირკვლის ჩაყრის გზაზე გადადგმული ნაბიჯი. ჩვენ მთელი ჩვენი არსებით მოვკიდეთ ხელი მთელი მეურნეობის საფუძვლიანი რეკონსტრუქციის ამოცანებს. მიუხედავად იმისა, რომ აღდგენის შესაძლებლობანი ამოვსწურეთ, ჩვენ რეკონსტრუქციის ზოლში ვიმყოფებით, წინ მივდივართ ჩქარის ტემპით, ისეთის ტემპით, როგორიც მიუწვდომელია ყველაზე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნისათვისაც კი.

ზემოდ მოყვანილი ციფრები მოწმობენ მნიშვნელოვან მიღწევებს, მაგრამ, ამასთანავე ისინი აშკარავებენ იმ საზღვარს, რომლებიც ზღუდავენ და აბრკოლებენ სამეურნეო განვითარებას. აღნიშნულ ცნობებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ისეთი დარგები, როგორიც არის თუჯი და მადანი, რომელთა წარმოებამ წელს ომის წინა დროის დონეს ჯერ კიდევ ვერ მიაღწია. მადნისა და თუჯის შემდეგ აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის მარცვლეულის კულტურა და სოფლის მეურნეობის ნედლეულის ზოგიერთი სახე, რომლითაც ახლაც ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს ომის წინა დროის დონეს.

როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს მიმდინარე სამეურნეო წლის ძირითადი ამოცანები? მთელი სამ. მშენებლობის მთავარ ამოცანად მიჩნეული უნდა იქნას ბრძოლა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპისათვის. ინდუსტრიალიზაციის ჩქარ ტემპს, „ინდუსტრიის განვითარების დღევანდელი ტემპის დაცვის აუცილებლობას" (ცეკას წერილიდან მოსკოვის ორგანიზაციისადმი) გვკარნახებს ის გარემოება, რომ ჩვენ წინაშე სდგას ამოცანა—დავეწიოთ და გავუსწროთ კიდეც კაპიტალისტურ ქვეყნებს, იმ პერიოდში, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, მოსალოდნელია მრავალი ამბები, ახალი ომები და სხვ. ამიტომ საბჭოთა კავშირი ვალდებულია გააკეთოს ყველაფერი, რომ მაქსიმალურად განამტკიცოს თავდაცვის უნარიანობა. თავდაცვის უნარიანობის განმტკიცება კი ორგანიულად დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციის ჩქარ მსვლელობასთან.

პარტია უარჰყოფს ინდუსტრიის განვითარების დღევანდელი ტემპის გადახინჯვას. ისინი, ვინც ამ გადახინჯვას მხარს უჭერს, თითქოს გამოდიან სოფლის მეურნეობის ინტერესებიდან, რომელიც, მათის აზრით, „დეგრადაციას განიცდის" არ ვითარდება. ეს უკანასკნელი მოსაზრება მართალი არ არის. ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპი ტარდება იმ სოფლის მეურნეობის საფუძველზე, რომელიც თანდათან იზრდება, და არავითარი საფუძველი არ არის იმისათვის, რომ გადავსინჯოთ ტემპი შენელების თვალსაზრისით.

პარტია უარჰყოფს ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპის გადასინჯვას, საქონლის ნაკლებობის გამო, რომელიც ვითომ მოითხოვს მძიმე ინდუსტრიის ნაცვლად მსუბუქი ინდუსტრიის წამოყენებას და სხვ. პარტიას გათვალისწინებული აქვს, რომ რეკონსტრუქციის პირობებში საქონლის ზოგიერთი ნაკლებობა აუცილებელია. პარტია მთელი ძალღონით ებრძვის ამას როგორც მოხმარების საშუალებათა ხაზით, ისე წარმოებათა საშუალებათა ხაზით იგი აშკარად ეუბნება ამას მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას მიუთითებს მათ საქონლის შიმშილობის ელემენტების გადასალახავ ერთად-ერთ გზაზე—ეს არის ინდუსტრიალიზაციის უფრო ჩქარი ტემპისათვის ბრძოლის გზა.

სწორედ იმიტომ, რომ სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია შეიძლება ტარდებოდეს და უნდა გადატარდეს იმ სოფლის მეურნეობის საფუძველზე, რომელიც თანდათან ვითარდება, ჩვენ ამავე დროს უარვჰყოფთ ტროცკიზმის ზეინდუსტრიალისტურ სისულელეებს.

მიმდინარე წლისათვის განზრახულია მრეწველობის მნიშვნელოვანი ზრდა, (18—19 პროცენტით), ამასთან საწარმოო საშუალებათა წარმოება უფრო ჩქარა უნდა იზრდებოდეს, ვიდრე მოხმარების საშუალებათა წარმოება. მიმდინარე წელი სოფლის მეურნეობაში უნდა გადაიქცეს მძიმე ინდუსტრიის ხვედრითი წონის შემდგომი გადიდების წლად.

ამნაირად, მთელი ჩვენი სამეურნეო მუშაობის სათავეში უნდა დავსვათ ბრძოლის ამოცანა ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპის შენარჩუნებისათვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელი ძალღონე უნდა მოვახმაროთ მძიმე ინდუსტრიის მეურნეობის ყველაზე უფრო სუსტ ადგილს. ამასთან დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის ყველა დანარჩენი დარგი, მომავალში როგორც მსუბუქი მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის ზრდა ჩვენს ქვეყანაში დაკავშირებული იქნება ლითონის წარმოების ზრდასთან. შესაძლებელ საშუალებათა მაქსიმუმი წელს უნდა მოხმარდეს მძიმე ინდუსტრიის ზრდას და ლითონის, მანქანების, სასუქ საშუალებათა და სხვათა საგრძნობი დეფიციტის მოსპობას.

მეორე უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც დღეს სდგას პარტიისა, მუშათა კლასისა და მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე, არის სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის ყოველმხრივ უნდა გაღრმავდეს. ეს მიმდინარე კმაყოფილებელი მოსავალი გვაქვს, მაგრამ მოსავლის არახელსაყრელი გეოგრაფიის, სასურსათო პურეულის პროდუქციის დაწევის, ახალი რაიონებიდან პურის გამოტანისა და სხვა გარემოებათა გამო, მიმდინარე წელი საკმაოდ გამწვავებული იქნება სასურსათო დამზადებისა და მომარაგების მხრივ. პურის დამზადებისა და მომარაგების საქმის ჩატარება წელს ერთ-ერთი მეტისმეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ამოცანა იქნება, ამოცანა, რომელსაც პარტიამ უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს. სწორედ ამიტომ დღის წესრიგში ისმება სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის დაჩქარების ამოცანა. ჩვენ ვალდებულნი ვართ ამ დარგში წელსვე მივაღწიოთ მნიშვნელოვან შედეგებს. ჩვენ ვალდებულნი ვართ მიმდინარე წლის განმავლობაში შევქმნათ უფრო ხელსაყრელი პირობები მომავალი 1929—30 სამეურნეო წლისათვის. ჩვენ ვალდებულნი ვართ თავი მოვუყაროთ მთელ მატერიალურ სახსრებს, რომ მივაღწიოთ გლეხის ინდივიდუალური მეურნეობის უფრო ჩქარ განვითარებას, მისი კოლექტივიზაციის გაძლიერებას და სოფელში, საერთოდ, განსაზოგადოებული სექტორის გაცილებით უფრო სწრაფ ზრდას. ეს ზრდა ნიშნავს შემდგომი და უფრო გადამჭრელი ბრძოლის ჩატარებას კულაკთან.

რასაკვირველია, იმისათვის, რომ ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპი ნამდვილად განვახორციელოთ, რომ მიმდინარე წელს ჩავატაროთ კაპიტალურ სამუშაოთა გეგმა, ჩვენ ვალდებულნი ვართ ყოველ მხრივად გავაუმჯობესოთ ჩვენი მუშაობა. კაპიტალურ სამუშაოთა დიდი გეგმის წარმატებით ჩატარებისათვის უმნიშვნელოვანესი წინასწარი პირობაა მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება. გასულ წელს ჩვენ განსაზღვრულ შედეგებს მივაღწიეთ მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. უკანასკნელი წლების განმავლობაში პირველად ჰქონდა ადგილი (როგორც მატერიალურ ტეხნიკური ბაზის ამაღლების შედეგს) სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების უფრო მნიშვნელოვან დაწევას—6 პროცენტით. მიმდინარე წელს რაციონალიზატორული მუშაობის ფრონტი შეიძლება კიდევ უფრო გადაჭრით იქნას გაფართოებული და უნდა კიდეც გაფართოვდეს, ბრძოლა მუშაობის კიდევ უფრო მაღალი ხარისხისათვის ყოველმხრივ უნდა გაღრმავდეს. ეს მიმდინარე სამეურნეო წლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მისი წარმატებით გადაწყვეტა ორგანიულად დაკავშირებულია სამეურნეო მშენებლობაში ფართო მასების მონაწილეობის ზრდასთან, მუშის შეგნებისა და აქტივობის ზრდასთან, საბჭოთა დემოკრატიის შემდგომ განვითარებასთან და სხვ.

ბოლოს, მიმდინარე წლის მეტად არსებითი და სპეციფიური ამოცანაა—მეტად ენერგიული ბრძოლა საგარეო ვაჭრობის ფრონტზე ექსპორტის ყოველმხრივი განვითარებისათვის. საერთაშორისო პირობების გამწვავების ზრდამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩვენი საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე. მანქანებისა და ნედლეულის შემოტანა ჩვენს ქვეყანაში საერთოდ განსაზღვრულია ექსპორტის რაოდენობით. თუ მოვახერხეთ ექსპორტის გადიდება, მოვახერხებთ შემოსატანი ნედლეულისა და მანქანის გადიდებასაც, მაშასადამე, ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარებასაც. ამიტომ საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელმა უნდა შეიგნოს, რომ ექსპორტის გაფართოვებისათვის ბრძოლა (ამის შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ დიდია) უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა.

თუ ჩვენ თანხმობით ვიმუშავებთ, მოვახერხებთ ექსპორტისა და მეურნეობის ამ ყველაზე უფრო ძირითადი ამოცანების გადაჭრას. მოვახერხებთ იმ დიდ სიძნელეთა გადალახვას, რომლებიც გზაზე გვხვდებიან.

გიგანტიური ამოცანები ეკისრება პარტიას, მთელი სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელს. უდიდესი სიმტკიცე მართებს პარტიას, რომ დაძლიოს ეს ამოცანები, სწრაფად და დარწმუნებით წაიყვანოს ქვეყანა სოციალიზმის გზით. პარტია გადაუხრელად იბრძოლებს მე-15 ყრილობის დირექტივებისაგან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ. მთელი ძალღონისა და ნებისყოფის დაძაბვით პარტია განახორციელებს სისტემატიურ შეტევას, შესძლებს პასუხი გასცეს ყველას, ვინც აშკარად ემხრობა ოპორტუნისტურ ელემენტებს, ვისაც არ ესმის სოციალისტური შეტევის ამოცანები, ვინც პარტიას უკან ეწევა ახალ ამოცანებიდან, ვინც საკმაოდ ვერ აფასებს სოციალისტური ფორმების მშენებლობას სოფელში, ვინც წინადადებას იძლევა—გადაისინჯოს და შენელდეს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპი.

„პრავდა", 27 ოქტომბერი.

მზადება საბერძნეთ-საბჭოთა სავაჭრო მოლაპარაკების გასაახლებლად

შეტაკება გაფიცულ მუშებსა და პოლიციას შორის ჰამბურგში

გაიხსნა შრომის უნიტარული კონფედერაციის სესია

საბერძნეთ-საბჭოთა ურთიერთობა

დაიწყო მუშაობა სავაჭრო მოლაპარაკების გასაახლებლად

ათინა, 26 ოქტომბერი. ათინის სახასიათებლად მეტად საინტერესო დეპეშათა სააგენტო იუწყება: „სათანადო უწყებები შეუდგნენ მუშაობას საბერძნეთ-საბჭოთა სავაჭრო მოლაპარაკების განსაახლებლად".

გაფიცვების ტალღა კაპიტალისტურ ქვეყნებში

პოლონეთი.

დეპეშების კონფისკაცია

ვარშავა, 26 ოქტომბერი. ეხლა უკვე აშკარად იუწყებიან, რომ პოლიტიკურმა პოლიციამ ლოძის მთავარ ფოსტაში კონფისკაცია უყო საბჭოთა კავშირიდან გაფიცვის კომიტეტის სახელზე გაგზავნილ დეპეშებს.

„კურიერ პორანი" იუწყება, რომ ამ დეპეშებში გაფიცვის კომიტეტს ურჩევენ—განაგრძოს გაფიცვა და ჰპირდებიან მნიშვნელოვან ფინანსიურ დახმარებას. დეპეშების კონფისკაციას ასაბუთებენ იმით, რომ „ეს დეპეშები ხელს შეუწყობდნენ ანტი-სახელმწიფოებრივი მუშაობის გაძლიერებას".

ლოძის საოლქო სასამართლომ დაამტკიცა დეპეშების კონფისკაცია, თუმცა პოლონეთის კონსტიტუციაში აღნიშნულია საფოსტო და სატელეგრაფო კორესპონდენციის საიდუმლოების გარანტია (ადს).

ხელით სასროლი ყუმბარები

ვარშავა, 26 ოქტომბერი. პოლონეთის გაზეთების სიტყვით, ლოძის მაგისტრატში გაფიცვის შემდეგ აღმოაჩინეს დიდძალი ხელით სასროლი ყუმბარა.

სწარმოებს გამოძიება. გამოურკვეველია, ვისთვის იყო დამზადებული ეს ყუმბარები.

საფეიქრო ფაბრიკებმა განაახლეს მუშაობა

ვარშავა, 26 ოქტომბერი. ლოძში უკვე მუშაობს ყველა საფეიქრო ფაბრიკა, გარდა ვიძევსკის მანუფაქტურისა, სადაც გაფიცულია 3.000 კაცი სამუშაო ხელფასის ნიადაგზე ახალი კონფლიქტის გამო: მანუფაქტურის ადმინისტრაცია არა თუ უარს ამბობს მუშებისათვის 5 პროცენტის მომატებაზე, არამედ აპირებს სამუშაო ხელფასის შემცირებას 11 პროცენტით (ადს).

საფრანგეთი.

ბრძოლა გამარჯვებამდე

პარიზი, 26 ოქტომბერი. როგორც „ლუმანიტე" იუწყება, რუანის რაიონის ფეიქართა შორის თანდათან იზრდება მოძრაობა გაფიცვის გამოცხადების სასარგებლოდ, რადგან დამქირავებლებმა არ შეასრულეს მუშების მოთხოვნა სამუშაო ხელფასის 20 პროცენტით გადიდების შესახებ. დამქირავებლები თანახმანი არიან გაადიდონ სამუშაო ხელფასი მხოლოდ 4 პროცენტით.

დარნეტალში გაფიცვა გამოაცხადეს 7 საფეიქრო ფაბრიკის მუშებმა, რომელთაც მოითხოვეს სამუშაო ხელფასის გადიდება. გაფიცულთა რიცხვი 2.000-ს უდრის.

ალუენში ფეიქართა გაფიცვა წინანდელზე მტკიცედ მიმდინარეობს. გაფიცულია 12.000 მუშაზე მეტი. უკანასკნელ მიტინგზე გაფიცულებმა გადასწყვიტეს, განაგრძონ ბრძოლა გამარჯვებამდე. მიტინგმა გადასწყვიტა აგრეთვე, გაუგზავნოს მისალმება ლოძის გაფიცულ ფეიქრებს (ადს).

გაფიცვის შეწყვეტა მარსელში

პარიზი, 27 ოქტომბერი. მარსელის მეზღვაურთა კრებამ დაადგინა შესწყვიტოს გაფიცვა და ორშაბათს მუშაობას შეუდგეს. ამ გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებენ, რომ მეზღვაურთ არ სურთ საყოველთაო გაფიცვა, რომლის გამოწვევას პროვოკაციულად ცდილობდენ გემების პატრონები. პროფკავშირმა დაიწყო მოლაპარაკება გემების პატრონებთან და წინასწარ პირობად წამოაყენა მეზღვაურთა უკან მიღება. (ადს).

გერმანია.

დიდი სტიქიური დემონსტრაცია

ბერლინი, 26 ოქტომბერი. მდგომარეობას ჰამბურგში ახასიათებს რეფორმისტული პროფკავშირების ლიდერების, სოციალ-დემოკრატების, პოლიციისა და ხელისუფლების გაერთიანებული შეტევა გაფიცულთა წინააღმდეგ, რომელთაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ.

25 ოქტომბერს მოხდა გაფიცულების დიდი სტიქიური დემონსტრაცია იმ შენობის მახლობლად, სადაც მოთავსებულია აკრძალული კომუნისტური გაზეთის „ჰამბურგერ ფოლკსცეიტუნგ"-ის რედაქცია. დემონსტრაციასთან დაკავშირებით, რედაქციის შენობა პოლიციამ დაიჭირა. შუადღისას ჰამბურგის ყველაზე უფრო დიდს დარბაზში მოხდა გაფიცულთა მასიური კრება. დარბაზში ხალხი ვერ დაეტია და საჭირო შეიქნა მეორე პარალელური კრების მოწყობა. კრებებმა აშკარა გახადა, რომ გაფიცულები მზად არიან ბრძოლა განაგრძონ.

ნავთსადგურში მოხდა სერიოზული შეტაკება მუშებსა და იმ პოლიციას შორის, რომელიც შტრეიკბრეხერებს მიჰყვებოდა. ასოციაციამ სროლა ასტეხა. ბევრი მუშა დააპატიმრეს.

„ფორვერტს"-ი აშკარა სიხარულს გამოსთქვამს, რომ „ველური საგაფიცვო მოძრაობა პოლიციური ზომების გაძლიერების წყალობით თანდათან კლებულობს" (ადს).

ბირჟა ნერვიულობს

ბერლინი, 26 ოქტომბერი. ბერლინის ბირჟაზე დიდი ნერვიულობაა, რაც გამოიწვია იმ ცნობამ, რომ უნაყოფოდ დამთავრდა მოლაპარაკება რეინ-ვესტფალიის ლითონის მრეწველობის რაიონში. ამ მრეწველობის ფაბრიკების პატრონებმა სამუშაო ხელფასის მომატების მოთხოვნის საპასუხოდ პირველ ნოემბრისთვის ლოკაუტი დანიშნეს. ლოკაუტი გაგრძელდება 230.000 კაცზე (ადს).

ჩეხო-სლოვაკია.

კლადნოში გაფიცვა შესწყდა

პრაღა, 27 ოქტომბერი. როგორც ვიცით, რეფორმისტების გამცემლობის გამო კლადნოს მემაღაროენი იძულებულნი გახდნენ განეახლებიათ მოლაპარაკება მრეწველებთან. მოლაპარაკება დამთავრდა შეთანხმებით, რომლის მიხედვით მუშების ხელფასი გადიდდება 3—5 პროცენტით, დათხოვნილი მუშები და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წევრები მიღებული იქნებიან სამუშაოზე იმათ გარდა, ვინც პასუხისგებაშია მიცემული. დღეს კლადნოს ოლქის მემაღაროეთა კონფერენციამ დაადგინა ორშაბათიდან შესწყვიტოს გაფიცვა. (ადს).

შრომის უნიტარული კონფედერაციის სესია

პარიზი, 26 ოქტომბერი. გაიხსნა შრომის უნიტარული კონფედერაციის სესია. ფედერაციის მდივანმა **მონმუსომ** აღნიშნა, რომ 400 გაფიცვა 1928 წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში,— გაფიცვები, რომლებიც მეტ წილად სამუშაო ხელფასის გადიდებით დამთავრდნენ, — მოწმობენ, რომ მუშათა კლასი გადავიდა შეტევაზე კაპიტალისტების რაციონალიზაციის წინააღმდეგ.

„ზრდა საგაფიცვო მოძრაობისა ფინანსიური სტაბილიზაციის შემდეგ, — განაცხადა მონმუსომ,— **მუშების საუკეთესო პასუხია რეფორმისტების მიმართ, რომელთაც ცამდე აჰყავთ სტაბილიზაცია და რაციონალიზაცია".** (ადს).

პოლონელი „სოციალ-სტების" ბრძოლის მეთოდები

ვარშავა, 26 ოქტომბერი. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორივე ფრაქციას შორის ატეხილი ბრძოლის მეთოდების დასახასიათებლად ფრიად მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტი.

ამ დღეებში ყველა რედაქციას და აგრეთვე ზოგიერთ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებას ფოსტით დაეგზავნა აშკარად ყალბი მოწოდება პოლონეთის კომპარტიის ც.კ.-ის ხელმოწერით. მოწოდებაში ნათქვამია:

„პოლონეთის სოციალისტური პარტიის ც.კ.-მა ბოლოს შეიგნო უმსგავსი გამოსვლა მუშათა კლასის მოღალატეების — სოციალ-ფაშისტი აგენტებისა, რომლებსაც ხელმძღვანელობს იავოროვსკი, და გადასწყვიტა დაშალოს პარტიის ვარშავის საოლქო კომიტეტი.. ჩვენ ვეგებებით პოლონეთის სოციალისტური პარტიის ც.კ.-ის მიერ მშრომელთა ინტერესების სწორად შეგნებას, რადგან ამას მოითხოვს შეერთებული ბრძოლა პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობისათვის. ამხანაგებო, მხარი დაუჭირეთ პოლონეთის სოციალისტური პარტიის ც.კ.-ის სწორ პოზიციას".

ეს უხეში ყალბი დოკუმენტი დაბეჭდეს ოფიციოზურმა „ეპოქა"-მ და პილსუდსკის მომხრეთა ორგანომ „გლოს პრავდი"-მ. ცხადზე-უცხადესია, თუ საიდან მომდინარეობს ეს ყალბი დოკუმენტი.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანო „რაბოტნიკი" აღშფოთებით აცხადებს, რომ ეს მოწოდება ყალბია. დასამტკიცებლად გაზეთი ერთმანეთს ადარებს, ერთის მხრით ამ დოკუმენტს და მეორეს მხრით, კომინტერნის აღმასკომის დადგენილებასა და „პრავდა"-ს წერილებს პოლონეთის საკითხის შესახებ. გაზეთის სიტყვით, სეიმში შეტანილი იქნება შეკითხვა, რომელიც გამოამჟღავნებს ამ ყალბი დოკუმენტის დეტალებს.

„ეპოქა"-მაც გამოაცხადა, რომ მოწოდება, რომელიც მან დაბეჭდა, უეჭველია, ყალბი არისო. (ადს)

ჩინეთის ამბები

ბოიკოტის აღკრძალვა

პეკინი, 26 ოქტომბერი. როგორც ნიპონ დემპოს სააგენტო იუწყება, ნანკინის სამხედრო მინისტრმა **ფინ-იუსიანმა** წინადადება მისცა შანდუნის ხელისუფლების წარმომადგენლებს, აკრძალონ ბოიკოტი იაპონელების წინააღმდეგ. ბოიკოტი აკრძალეს (ადს).

„დიდი დანების" გამარჯვება

პეკინი, 26 ოქტომბერი. გოვენის სააგენტოს ცნობით, „დიდი დანების" მოქმედება შანდუნის აღმოსავლეთით გაძლიერდა. მათ დაიჭირეს ბევრი სოფელი. აგროვებენ გადასახადებს (ადს).

იაპონიაში

საჭირბოროტო საკითხი

ტოკიო, 26 ოქტომბერი. ჩინეთის საკითხთან ერთად, იაპონიაში საჭირბოროტო საკითხად გადაიქცა საკითხი იმის შესახებ, რომ აღდგენილ იქნას ოქროს თავისუფალი ბრუნვა და გაუქმდეს ის დადგენილება რომლითაც აკრძალულია იაპონიიდან ოქროს გატანა. საბანკო ორგანიზაციებმა ფინანსთა მინისტრს გადასცეს რეზოლიუცია, რომელსაც ერთად-ერთ საშუალებად იაპონიის მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან გამოსაყვანად მიაჩნია ოქროს გატანის აღკრძალვის გაუქმება და ოქროს თავისუფალი ბრუნვის აღდგენა.

ავტორიტეტულ წრეების აზრით, რეფორმა 1929 წლის მარტზე ადრე არ მოხდება. მთავრობა ამ ვადამდე შეეცდება შეათანხმოს სხვადასხვა სავაჭრო სამრეწველო წრეების ურთიერთის საწინააღმდეგო ინტერესები. საერთო აზრით, აკრძალვის გაუქმება მრავალი წარმოების გაკოტრებას გამოიწვევს (ადს).

მანჯურიაში გადასახლებისთვის

ტოკიო, 26 ოქტომბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, ნიუ-იორკის „ნეშენელ სიტი ბანკი" აღმოსავლეთის საკოლონიზაციო ამხანაგობას 20 მილიონ დოლარს აძლევს. ხსენებული საზოგადოება ფინანსიურად ეხმარება იაპონელებისა და კორეელების გადასახლებას მანჯურიაში (ადს).

სხვადასხვა

წმინდა მოგების სარეკორდო ციფრი

ნიუ-იორკი, 26 ოქტომბერი. საავტომობილო ტრესტის „ჯენერალ მოტორს კორპორეიშენ"-ის წმინდა მოგებამ მიმდინარე წლის ცხრა თვის განმავლობაში მიაღწია სარეკორდო ციფრს მთელი მრეწველობისთვის—240.534.000 დოლარს. წარსული წლის ამავე ცხრა თვის წმინდა მოგება უდრიდა 193.758.000 დოლარს.

კვინსლენდის მთავრობამ არ მოისურვა ნავთის კანონის გადათვალიერება

ლონდონი, 26 ოქტომბერი. კვინსლენდის (ავსტრალია) მთავრობამ არ მოისურვა ნავთის კანონის გადათვალიერება. ეს კანონი ნებას აძლევს არა ინგლისურ კაპიტალს, მონაწილეობა მიიღოს კვინსლენდის ნავთის მრეწველობაში (ადს).

რეპარაციული საკითხის გარშემო

ბერლინი, 26 ოქტომბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

გერმანიის კაბინეტის სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა გააკეთა მოხსენება სარეპარაციო საკითხის მდგომარეობის შესახებ. კაბინეტმა დაადგინა დაინტერესებულ მთავრობებთან ერთად გადასდგას საჭირო ნაბიჯები ექსპერტთა დამოუკიდებელი კომისიის დასაარსებლად. ამ კომისიამ სარეპარაციო საკითხი საბოლოოდ უნდა მოაწესრიგოს (ადს).

ახალი ერთა ლიგის შექმნის პროექტი

ნიუ-იორკი, 26 ოქტომბერი. ინგლისის ჟურნალისტთა დელეგაციის მეთაური ბლუმენფელდი, რომელიც ამჟამად ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებშია და რომელიც კონსერვატიული „დეილი ექსპრეს"-ის წარმომადგენელია, გამოვიდა ახალ ერთა ლიგის დაარსების გეგმით. ამ ლიგაში უნდა შევიდნენ ინგლისი, შეერთებული შტატები, საფრანგეთი, იტალია, გერმანია და იაპონია. ბლუმენფელდი თავის პროექტს ასაბუთებს იმით, რომ ეხლანდელი ლიგა მეტად მრავალრიცხოვანი და უმოქმედოა (ადს).

მუშათა პარტიის ყრილობა

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

მუშათა პარტიის ყრილობამ, რომელიც ოქტომბრის დასაწყისში ბირმინგამში შესდგა, სრულიად გაამართლა ჩვენი წინათგრძნობა: მან განამტკიცა რეფორმის-ბელადების დიქტატურა, გააძლიერა ოფიციალური მუშათა მოძრაობის „გალიბერალების" პროცესი, გამოამჟღავნა ოპოზიციის უსუსურობა მუშათა პარტიაში და ამიტომ გაამართლა კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილება, რომ პოლიტიკური ბრძოლა მუშათა პარტიის გარეშე და მის წინააღმდეგ უნდა ვაწარმოოთ.

ტრედიუნიონების უკანასკნელმა ყრილობამ, რომელიც სვანსეაში შესდგა, ოფიციალური პროფმოძრაობა სავსებით მუშათა პარტიას დაუქვემდებარა და გზა გაუკვალა ბირმინგამის ყრილობას. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ბირმინგამის ყრილობას ნიადაგი მოემზადებინოს ოპოზიციის გამოყოფისთვის დამოუკიდებელი მუშათა პარტიისაგან ან მექსტონის დაპირდაპირებისთვის მაკდონალდისა და მისი ბანდისადმი. პირიქით. ორივე ოპოზიცია ჩახშობილი იქნა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

ბირმინგამში ბევრი სიტყვა წარმოითქვა დემოკრატიზმზე და ლანსბერი გამოყენებულ იქნა, რათა სხდომებისთვის ყალბი დემოკრატიზმის ელფერი მიეცათ. მაგრამ ძნელი იყო ვისმე მოტყუება. ამ ყრილობაზე ყველასათვის ნათელი გახდა კარიერისტ პოლიტიკოსების ოხეში დიქტატურა.

ამ დიქტატურის ნიშნებმა თავი იჩინა მაშინვე, როგორც კი გაათავა თავისი სიტყვა ლანსბერიმ, რომლის შესახებ ბევრი არაფერი შეიძლება ითქვას, გარდა იმისა რომ ლოგიკა მას აკლდა. სხვათა შორის აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება შემოიტანა, რომ გაძევების პოლიტიკა, რომელიც კომუნისტების და მემარცხენეების წინააღმდეგაა მიმართული, გავრცელებულ იქნას არა მარტო რევოლიუციურად განწყობილი ჯგუფებსა, არამედ ცალკე პირებზეც. ამ პოლიტიკამ, რომელიც ლივერპულში დაიწყო შარშანწინ უკვე სათანადო ნაყოფი გამოიღო. მარტო 1927 წელს პარტიამ 100.000 წევრი დაჰკარგა. ჯერ კიდევ არ გვიმხელენ რამდენია უკვე დაკარგული 1928 წელს.

ერთათ ერთი ზრახვა, რომელიც დღეს ამოძრავებს მუშათა პარტიის და ტრედიუნიონების ოფიციალურ ბელადებს, არის მუშათა პარტიის „გაწმენდა" ყოველგვარი კომუნისტური და რევოლიუციური ელემენტისაგან, რათა შესაძლებელი გახდეს კავშირის შეკვრა ლიბერალებთან.

ამაოთ აფრთხილებდა ლანსბერი ყრილობას, რომ „კავშირი გადაგვარებული ლიბერალიზმის ნაშთთან ამ თავითვე განწირულია, რომ მუშათა პარტიის მიზნები ეწინააღმდეგება ყოველივე კოალიციას და შეთანხმებასო"; მას არავინ ათხოვა ყური და არც არავინ დაუჯერა.

სხვა, უფრო ამაღლებული მიზნების უქონლობის გამო, ბირმინგამის ყრილობამ ხელი შეუწყო იმ ილუზიის გაძლიერებას, რომელსაც ამ ბოლო დროს ასაზრდოებენ მუშათა წრეებში, სახელდობ, რომ უახლოეს არჩევნებში აუცილებლათ მუშათა პარტია გაიმარჯვებსო. წინააღმდეგ შემთხვევაში რა საჭირო იყო ლანსბერის დეკლარაცია, რომ ინგლისის მუშათა პარტია არ არის კლასობრივი პარტიაო. ეს ამბავი ისედაც ვიცოდით, მაგრამ ასეთი განცხადება საჯაროთ ჯერ არასოდეს არ გაუკეთებია ძველი რევოლიუციონიზმის არც ერთს ბელადს.

ამ „დემოკრატებმა" კომუნისტებისა და მემარცხენეების საკითხის გარჩევის დროს, ბევრი ილაპარაკეს „ერთგულებაზე" პარტიის მიმართ (ან უკეთ ვსთქვათ ბელადების მიმართ, მიტომ რომ ბელადები ლაპარაკობენ: „პარტია ჩვენ ვართო"; მაგრამ როგორც ერთმა დელეგატმა სამართლიანად, მაგრამ უშედეგოთ აღნიშნა, თვით ბელადები არ იჩენენ ერთგულებას მოძრაობის მიმართ. მაგალითისთვის შორს წასვლა არ არის საჭირო: ლივერპულის ყრილობამ შარშანწინ რეზოლიუცია მიიღო ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ რამდენჯერმე უხეშათ გაითელა, სხვათა შორის წელსაც მონდის ჯგუფთან მოლაპარაკების ფაქტის წყალობით.

გამოდის რომ პარტიის ერთგულება ყოფილა მუშათა მოძრაობის გაყიდვა და მოღვაწეობა კაპიტალიზმის აღსადგენად, ხოლო ორგულობა ყოფილა მაგალითად სიტყვის წარმოთქმა იმავე ტრიბუნაზე, სადაც კომუნისტები გამოდიან და პოლიტიკური ტუსაღების საქმეს იცავენ.

ამ ყრილობაზე ფარისევლობა იყო გამეფებული. კომუნისტური პარტიის გაძევებისა, რევოლიუციონერ მებრძოლების დევნის შემდეგ რეფორმისტების ბელადებს იმდენი თავხედობა შესწევთ, რომ კომუნისტურ პარტიას უსაყვედურებენ საკუთარ კანდიდატებს რად ასახელებთ უახლოეს საპარლამენტო არჩევნებისთვისო. იგივე ფარისევლობა გამოიჩინეს ჩინეთისა ინდოეთის და კოლონიების მიმართ. რაც შეეხება ეგვიპტეს და სხვა დამორჩილებულ ქვეყნებს, ისინი არც კი უხსენებიათ.—თუ ჩვენ საიმონის კომისიაში შევედითო, სთქვა მაკდონალდმა, ეს იმისთვის ვქენით, რომ ინდოელებისთვის უკეთესი კონსტიტუცია მიგვეცაო. ხოლო როცა საიმონის კომისიას უსაყვედურეს, რომ მან არ მოისმინა ინდოელი ხალხის ხმაო, მაკდონალდმა განაცხადა, რომ თვით ინდოელებმა სთხოვეს მუშათა პარტიას წარმომადგენლები შეეყვანა ამ კომისიაშიო. როგორც სჩანს მაკდონალდისთვის „ინდოეთის ხალხი" ამოიწურება ბურჟუაზიული პოლიტიკოსების პატარა ბანდით, რომელმაც თავისი თავი მიჰყიდა ინგლისის იმპერიალიზმს.

ასეთი იყო ეს ყრილობა, სადაც სერიოზული კამათის ადგილას ფარისევლობა და უსირცხვილობა იყო გამეფებული.

კ. დავიდ.

ლონდონი ოქტომბერი.

დორიო გაანთავისუფლეს

პარიზი, 26 ოქტომბერი. ექვსი თვის პატიმრობის შემდეგ გაანთავისუფლეს კომუნისტი დეპუტატი დორიო, რომელსაც ბრალდებოდა ანტი-მილიტარისტული პროპაგანდა. იგი დააპატიმრეს აპრილში, საფრანგეთის პარლამენტის არჩევნების წინა ხანებში. განთავისუფლების შემდეგ დორიო გამოვიდა ორ მასიურ კრებაზე, პარიზში. ორივე კრების მონაწილენი გულმხურვალედ შეეგებნენ დორიოს და მოითხოვდნენ საყოველთაო ამნისტიას პოლიტიკურ პატიმართათვის.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. 26 ოქტომბერს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პლენუმის დილის სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. გინსბურგის მოხსენების გამო. მოხსენება შეეხებოდა კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიის პერსპექტივებს. პლენუმმა გადასწყვიტა, მიიღოს საფუძვლად მომხსენებლის წინადადებანი. რეზოლიუციის საბოლოოდ დასამუშავებლად გამოიყო განსაკუთრებული კომისია. საღამოს სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. მელნიჩანსკის მოხსენება დაწინაურების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფკავშირების რიგებში ირიცხება 1.400.000 აქტიური წევრი. ადამიანთა ამ მარაგს შეუძლია გამოცდილ მუშაკთა საგრძნობი კადრების მიწოდება ჩვენი სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის. სამწუხაროდ, ეს შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული. პროფკავშირებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მუშებისა და მუშა-ქალების დაწინაურებას პროფკავშირულ, სამეურნეო და კოოპერატიულ სამუშაოზე, განსაკუთრებით მუშა ქალების დაწინაურებას, და დაწინაურებამ უფრო სისტემატიური ხასიათი უნდა მიიღოს. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ დაწინაურებულნი არ ჩამოშორდნენ მუშათა საერთო მასას და არ მოსწყდნენ პროფკავშირთა მუშაობას. პროფკავშირებმა ხელი უნდა შეუწყონ დაწინაურებულთა ცოდნის დონის ამაღლებას, რისთვისაც, სამეურნეო ორგანოებთან ერთად უნდა შექმნან სპეციალური კურსები. პროფკავშირებმა უდიდესი როლი უნდა ითამაშონ სახალხო მეურნეობისათვის პროლეტარული სპეციალისტების მომზადების საქმეში. ამ ამოცანის გადაჭრა შეიძლება შერჩევის შემწეობით დაწინაურებულ მუშათა კადრებს შორის, მეორეს მხრით —ხელსაყრელი პირობების შექმნით მუშების მოსამზადებლად საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებისათვის. (ადს)

სახელმწიფო კრედიტის მეგობართა საზოგადოება

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. როგორც საკავშირო ფინსახკომს ჩერეპოვეციდან ატყობინებენ, გლეხთა მეურნეობის გამაგრების სესხის მე-34 ტირაჟის შემდეგ, გლეხების ინიციატივით, იმ დელეგატების თათბირმა, რომელნიც ტირაჟზე იყვნენ, დაადგინა — მოაწყოს სახელმწიფო კრედიტის მეგობართა ნებაყოფლობითი საზოგადოება. არის ცნობები, რომ ამგვარი საზოგადოებები სტიქიურად სხვაგანაც წარმოიშვენ (ადს)

ღონისძიებანი მინერალური სასუქის დასამზადებლად

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. საკავშირო სახკომსაბჭომ მოისმინა საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს მოხსენება მინერალური სასუქის წარმოების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ. თავის დადგენილებაში სახკომსაბჭომ დასახა მინერალური სასუქის გამომუშავების საწარმოო გეგმა 1928—29 წლისათვის. გეგმა ითვალისწინებს სასუქის დამზადებას შემდეგი რაოდენობით: სუპერფოსფატი—250.000 ტონა, ფოსფორიტის ფხვნილი—80.000 ტონა, ძვლის ფხვნილი—8.000 ტონა.

ს. მ. უ. საბჭოს დაევალა, მიიღოს ზომები როგორც ამ პროგრამის გაფართოვებისა, ისე მისი შესრულების უზრუნველყოფისათვის. საბჭოსვე დაევალა სუპერფოსფატის საქარხნო თვითღირებულება 42 მ. 97 კაპეიკამდე (შარშანდელი ფასი) დაიყვანოს 37 მანეთამდე (ტონა).

საკავშირო სახკომსაბჭომ ამასთან დაავალა ს. მ. უ. ს.-ს და სახ. საგეგმო კომისიას, შეიმუშაონ სასუქის დამზადების საქმის ხუთწლიანი გეგმა. ხუთი წლის ბოლოს დამზადებული სასუქის რაოდენობა უნდა უდრიდეს: ხსნადი ფოსფატებისა—2,600.000 ტონას, ფოსფორიტის ფხვნილისა—1,200.000 ტონას, კალიუმის მარილებისა—1,100.000 ტონას.

კაპიტალური თანხების რაოდენობა, რომელიც ამ მრეწველობას 1928—29 წელს უნდა მოხმარდეს, უდრის 65 მილიონ მანეთს. ს. მ. უ. საბჭოს დაევალა, კავშირის მანქანების სამშენებლო ქარხნებში სასწრაფოდ მოაწყოს საჭირო აპარატურის და მანქანების დამზადების საქმე (ადს).

სამრეწველო ექსპორტის შედეგები და პერსპექტივები

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. სააქციო საზოგადოება „პრომექსპორტ"-ის თავმჯდომარემ ამხ. სენცოვმა ამ დღეებში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მრეწველობისა და ვაჭრობის ყრილობათა საბჭოში გააკეთა მოხსენება სამრეწველო ექსპორტის შედეგებისა და პერსპექტივების შესახებ. გასულ წელს „პრომექსპორტ"-მა თვალსაჩინოდ გააფართოვა საექსპორტო ოპერაციები. ექსპორტის საერთო ბრუნვა 1927—28 წელს შეადგინა 24,218,6 ათას მანეთს, 1926—27 წლის—11.373.000 მანეთის ნაცვლად. საზოგადოებამ განსაკუთრებით გააფართოვა თავისი ოპერაციები აღმოსავლეთში: აღმოსავლეთში საზ-ბას ასანთისა და ქაღალდის გარდა გაჰქონდა სამოვრები, საკერავი მანქანები, სამუსიკო ინსტრუმენტები, გარამაფონის ფირფიტები, ავეჯეულობა და სხვ. (ადს).

საბჭოთა აღმშენებლობა

აზერბეიჯანი.—მდ. კიშჩაის დაბლობი —სურათზე—ნუხის ახლად ამუშავებული 900 ცხ. ძალიანი ჰიდრო ელექტრო-სადგური.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ლოძის გაფიცვის შედეგები

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. „იზვესტია"-ს ვარშაველი კორესპონდენტი გადმოგვცემს პოლონეთის პრესის აზრს ლოძის გაფიცვის შედეგების შესახებ:

გაზეთი „კურიერ პორანნი" აღნიშნავს, რომ ლოძის გაფიცვით მუშებს არაფერი მოუგიათ. თვით მრეწველობამაც აგრეთვე განიცადა დიდი ზარალი. მატერიალურად წაგების გარდა, მრეწველობამ დიდი მორალური მარცხი იგემა. არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს შექმნილი მდგომარეობა რამდენიმედ მაინც დამაკმაყოფილებელია. მრეწველთა და მუშებს შორის დადებული ხელშეკრულება სრულიადაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ახლო მომავალში კვლავ არ დაიწყება ბრძოლა.

ყუმბარების აღმოჩენა ვარშავა-ლოძის ხაზზე

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. „იზვესტია"-ს ვარშაველი კორესპონდენტი გადმოგვცემს შემდეგს:

ამ დღეებში ვარშავა-ლოძის რკინის გზის ხაზზე აღმოჩენილ იქნა ოთხი ყუმბარა. ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დადის მრავალნაირი ხმები: ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ყუმბარების ჩამლაგებლებს კავშირი აქვთ ლოძის გაფიცულებთან.

ამბობენ იმის შესახებაც, თითქოს ეს მოაწყო ანარქისტებისაგან შემდგარ ტერორისტულმა ორგანიზაციამ. კვლევა-ძიებას აწარმოებს პოლიტიკური პოლიცია.

ჰამბურგში ფაქტიურ ად საალყო წესებია

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. „პრავდა"-ს ბერლინელი კორესპონდენტი გვატყობინებს:

გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „როტე ფანე" ეხება გაფიცვებისაგან შექმნილ მდგომარეობას ჰამბურგში და სწერს, რომ ჰამბურგში არსებობს საალყო პირობები. მდგომარეობა თანდათან მწვავდება. საღამოს მოხდა შეტაკებები გაფიცულ მუშებსა და პოლიციას შორის. შტრეიკბრეხერები ფაბრიკა-ქარხნებიდან დაბრუნდნენ სახლში პოლიციის თანხლებით.

ბრძოლა ბინის კრიზისის წინააღმდეგ

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. ოქტომბრის რევოლიუციის თერთმეტი წლის თავზე მოსკოვში ახლად აგებულ სახლებში დაბინავებულ იქნება 15.000 მუშის ოჯახი. ამ დღისათვის დასრულებულ იქნება მთელ რიგ დაწესებულებათა შენობები.

ვინ უნდა აწარმოოს ბითუმად ვაჭრობა თამბაქოთი

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. ამ დღეებში აქ შესდგა თათბირი საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში. თათბირმა იქონია მსჯელობა თამბაქოთი ვაჭრობის შესახებ და დაადგინა, რომ თამბაქოთი ბითუმად ვაჭრობის საქმე უნდა გადაეცეს თამბაქოს სინდიკატს.

უკანასკნელი ცნობები

მუშების გამოსახლება

ვარშავა, 27 ოქტომბერი. გრაფ ზამოისკის მამულიდან დათხოვნილი სასოფლო-სამეურნეო მუშების გამოსახლების დროს მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება მუშებსა და ტყის მცველებს შორის, რომლებიც ადმინისტრაციამ გამოიყვანა მუშების წინააღმდეგ. მოკლულია სამი მუშა. (ადს).

განსაკუთრებული მადლობა

ბერლინი, 26 ოქტომბერი. ჰამბურგის საზღვაო სამმართველომ განიხილა გემი „მონტე სერვანტეს"-ის ავარიის შემთხვევა და განსაკუთრებულის მადლობით აღნიშნა ის დახმარება, რომელიც გემს ყინულის მჭრელმა „კრასინ"-მა აღმოუჩინა (ადს).

პოლიციის ტერორის გამო

ბერლინი, 27 ოქტომბერი. პოლიციის ტერორის გაძლიერებამ და სოციალ-დემოკრატების შტრეიკბრეხერულმა ტაქტიკამ აიძულა ჰამბურგის ნავთსადგურის მუშები გაფიცვა შეეწყვიტათ (ადს).

ს. მ. ტემკოვის გარდაცვალება

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი იუწყება, რომ 27 ოქტომბერს, დილის 5 საათზე, ლენინგრადში გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრი, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი სიმონ მოსეს ძე ტემკოვი.

საპარლამენტო არჩევნები ავსტრალიაში

ლონდონი, 26 ოქტომბერი. საპარლამენტო არჩევნები ავსტრალიაში 17 ნოემბრისათვის არის დანიშნული. (ადს).

პოლონეთის სეიმის სესია

ვარშავა, 26 ოქტომბერი. პოლონეთის სეიმის სესია გაიხსნება 31 ოქტომბერს. (ადს).

მისალმება ამხ. ტომსკის

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. 27 ოქტომბერს შესდგა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის სხდომა ამხ. ტომსკის პატივსაცემად, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის პოსტზე მისი არჩევიდან 10 წლის შესრულების გამო. ამხ. მელნიჩანსკიმ დაახასიათა ამხ. ტომსკი, როგორც საბჭოთა პროფმოძრაობის ხელმძღვანელი. მოკლე საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ტომსკიმ, რომელსაც პლენუმი მხურვალე ოვაციით შეეგება. პლენუმმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი მხურვალედ მიესალმება ლენინის ერთ-ერთ ძველ თანამებრძოლს და ერთგულ მოწაფეს—ამხ. ტომსკის, რომელიც საკავშირო კომპარტიის (ბ) დროშით ხელმძღვანელობდა საბჭოთა პროფმოძრაობას მისი განვითარების ყველა საფეხურზე. საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი ადგენს: საკავშირო პროფსაბჭოს რადიო-სადგურს უწოდოს ამხ. ტომსკის სახელი; უმაღლეს სასწავლებლებში დაარსდეს ამხ. ტომსკის სახელობის 3 სტიპენდია (ადს).

მ. ნ. პოკროვსკის იუბილეს გამო

საზეიმო სხდომა სახ. უნივერსიტეტში

გუშინ, საღამოს, პროფესორ მ. ნ. პოკროვსკის დაბადებიდან 60 წლის შესრულების აღსანიშნავად, სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგა უნივერსიტეტის პროფესორთა და სტუდენტთა საზეიმო სხდომა, რომელიც მოწვეული იყო უნივერსიტეტის გამგეობისა და ადგილკომის კულტკომისიის ინიციატივით.

საზეიმო სხდომა გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. მ. ტოროშელიძემ.

— პროფესორი მ. პოკროვსკი,—განაცხადა თავის შესავალ სიტყვაში ამხ. ტოროშელიძემ,—ეკუთვნის იმ მეცნიერთა მცირე რიცხვს, რომელთაც პროლეტარიატის იდეოლოგიის შექმნის საქმეს შესწირეს მთელი თავისი ენერგია. ცოტა არიან ასეთი მეცნიერები და სწორედ მით უფრო ძვირფასია ჩვენთვის პოკროვსკი, როგორც მეცნიერი და როგორც რევოლიუციონერი. პროლეტარიატს ბურჟუაზიულ სახელმწიფოში არა სცალია იდეოლოგიური საკითხებისათვის. მას იტაცებს პოლიტიკური ბრძოლა, რომლითაც მან გამარჯვებას უნდა მიაღწიოს. პროლეტარიატის იდეოლოგიის ჩამოყალიბება ხდება მხოლოდ ასეთი ბრძოლების დამთავრების შემდეგ.

პროლეტარიატის იდეოლოგიის ფრონტზე მებრძოლთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია პროფ. პოკროვსკის, რომელმაც ბევრი რამ ახალი შესძინა ამ იდეოლოგიის განმტკიცებას. პროფესორი პოკროვსკი პროლეტარიატისაა და იგი ძვირფასია ჩვენი უნივერსიტეტისთვისაც, რომელმაც უნდა გამოზარდოს მ. პოკროვსკის მიმდევარი, დიალექტიკურათ მოაზროვნე ისტორიკოსები.

ამხ. მ. ტოროშელიძის სიტყვის შემდეგ ტრიბუნაზე გამოდის ამხ. მიხა ცხაკაია, რომლის გამოჩენასაც სტუდენტობით გაჭედილი აუდიტორია მქუხარე ტაშის ცემით ხვდება.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა

— მე აქ არ ვაპირებ,—სთქვა ამხ. ცხაკაიამ, გავაკეთო მოხსენება, მიხეილ ნიკოლოზის ძე პოკროვსკის მოღვაწეობის შესახებ. მე მინდა მხოლოდ თქვენს წინაშე დავახასიათო იგი, როგორც ამხანაგი და როგორც რევოლიუციონერი.

შემდეგ ამხ. ცხაკაია იგონებს თავის პირველ შეხვედრებს პროფ. პოკროვსკისთან ემიგრაციაში 1905 წლის რეაქციის შემდეგ და ახასიათებს მას, როგორც მტკიცე რწმენის ბოლშევიკს, რომელმაც სტოლიპინის რეჟიმის დროსაც კი შესძლო მოეხერხებინა მარქსისტულად დაწერილი შრომების გამოცემა. ამხ. მიხა ცხაკაიას გადმოცემით პროფ. პოკროვსკის ეკუთვნის აგრეთვე მუშათა ფაკულტეტების მოწყობის ინიციატივა.

— მე ვუსურვებ საქართველოს უნივერსიტეტს, ამბობს თავის სიტყვის დასასრულს ამხ. ცხაკაია, რომ მან გამოზარდოს პოკროვსკის მსგავსი ისტორიკოსები, რომლებიც შესძლებენ საქართველოს წარსულის ისე მატერიალისტურათ გარკვევას, როგორც ეს შესძლო რუსეთის ისტორიაში ამხ. პოკროვსკიმ.

პროფ. ნათაძის სიტყვა

იუბილიარის—მ. ნ. პოკროვსკის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა პროფ. გ. ნათაძემ. იგი აღნიშნავს, რომ თავისი შრომებით პოკროვსკიმ შესძლო ისტორიის მეცნიერებაში გაებატონებია დიალექტიური მეთოდი. პროფ. პოკროვსკიმ მოახდინა რუსეთის ისტორიის მთელ რიგ პერიოდების ისეთი გაშუქება, რომლებიც სრულიად ახალ პერსპექტივებს შლიან ისტორიის მკვლევართა წინაშე.

თავის მეცნიერულ მოღვაწეობას, პროფ. ნათაძის განცხადებით, მ. ნ. პოკროვსკიმ საფუძვლად დაუდო სოციოლოგიური მომენტი და მისი მეთოდი, რომელიც იგივე დიალექტიური მეთოდია, საერთაშორისო მეცნიერებისათვის წამბაძველი გახდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქ. ოსლოში გამართულ ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე პროფ. პოკროვსკი განსაკუთრებული პატივისცემით მიიღეს.

პროფ. ნათაძის შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ პროფ. შ. ნუცუბიძე, რომელმაც პოკროვსკი დაახასიათა, როგორც მეცნიერი და პროფ. პოლიევქტოვი, რომელმაც თავის სიტყვაში განმარტა იუბილიარის დამსახურება ისტორიის მომავალ მკვლევართა წინაშე. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე სტუდენტობის წარმომადგენელმა სტუდ. ხალიჩავამ.

დასასრულ საზეიმო კრების სახელით პროფ. მ. ნ. პოკროვსკის გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშა.

ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და წითელფლოტელთა დეპუტატების საბჭოთა

ცაკის მე-IV სესია მოწვეულია თბილისში

სასახლის წითელ დარბაზში, 1928 წლის

29 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე

დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1) ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკისა და მასში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებები—მომხსენებელი ამხ. შ. ელიავა.

2) ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი—მომხსენებელი ამ.-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახკომისარი მ. დ. ჰუსეინოვი; თანამომხსენებელი ამ.-კ. ცაკის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. ნაზარეტიანი.

3) საბჭოების გადარჩევის შესახებ 1928—29 წ.—მომხსენებელი ამხ. ი. ტაგიევი.

4) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (მე-4 მოწვევის) პრეზიდიუმის მიერ მე-3 და მე-4 სესიებს შორის მიღებული დადგენილებების შესახებ—მომხსენებელი ამხ. ა. შავერდოვი.

5. საორგანიზაციო საკითხები.

ა. კ. ცაკის მდივანი ა. შავერდოვი

განათლების მუშაკთა მეშვიდე ყრილობა

მეორე დღე

კამათი განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის მუშაობის გარშემო

გუშინ, დილის სხდომაზე გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ამხ. დოლენკოს მოხსენების გარშემო. ორატორები აღნიშნავდნენ რა მთელ რიგ მიღწევებს პროფმუშაობის სხვადასხვა დარგებში, საჭიროთ სცნობდნენ პროფკავშირში გაერთიანებულ მასებთან კიდევ უფრო მეტ დაახლოვებას, და უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებას ცენტრალურ კომიტეტთან. აღიარებდნენ რა სწორედ ცენტრალურ კომიტეტის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მეორე საფეხურის სკოლებისა და უმაღლეს სასწავლებლების პერსონალის ხელფასის გადიდებისაკენ, ამხანაგები მოითხოვდნენ მუშაობის გაძლიერებას დაბალი საფეხურის სკოლების მასწავლებელთა და აგრეთვე ტეხნიკურ პერსონალის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მომხსენებლის მიმართ გამოითქვა საყვედური იმის გამო, რომ იგი არ შეეხება პოლიტ-განათლების და ამ დარგის მუშაკთა მდგომარეობის საკითხებს. თავის საპასუხო სიტყვაში მომხსენებელმა განაცხადა, რომ განსაზღვრულმა დრომ მას საშუალება არ მისცა შეჩერებულიყო პოლიტ-განათლების საკითხებზე, რომელიც ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია დიდ მნიშვნელობის საკითხებად მიმდინარე კულტურული რევოლიუციის პერიოდში. ცენტრალურ კომიტეტს აქვს გამომუშავებული ამ დარგში მუშაობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებების გატარებას პოლიტგანათლების მუშაკთა ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მომხსენებელი უკეთებს რა დასკვნებს კამათში გამოსულ ამხანაგების სიტყვებს, ხაზს უსვამს პოლიტიკური და პროფესიონალური მომზადების დონის ამაღლებას განათლების მუშაკთა შორის.

კამათის დასასრულ ყრილობამ მიიღო საერთო ხასიათის რეზოლიუცია, რომელიც განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის მიერ აღებულ ხაზს აღიარებს სწორად, ხოლო მის მიერ ჩატარებულ მუშაობას სცნობს დამაკმაყოფილებლად.

ვრცელი რეზოლიუციის დასამუშავებლად ყრილობამ აირჩია კომისია 9 კაცისაგან.

შემდეგ ყრილობა ისმენს საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის საანგარიშო მოხსენებას.

მიღწევები და ნაკლოვანებანი განათ. მუშაკთა კავშირის ც. გ-ის მუშაობაში

ამხ. შ. გეგენავას მოხსენება

აქტივობის ზრდა განათლების მუშაკთა შორის

საანგარიშო პერიოდში, ამბობს მომხსენებელი,—განათლების მუშაკთა კავშირს რიცხობრივად მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია, სამაგიეროთ გაძლიერდა ღირსებით: გაიზარდა მასის აქტივობა და საპროფკავშირო მუშაობაში ჩაებენ განათლების მუშაკთა ახალი ფენები, განათლების მუშაკთა ამოქმედება და მათ შორის ინტერესის გაღვივება პროფმუშაობისადმი მიეწერება საკავშირო ორგანოების ენერგიულ ღონისძიებებს: პროფორგანოები დაუახლოვდნენ მასას, გააძლიერეს ბრძოლა მათი ინტერესების დასაცავად და ახლო მიუდგნენ პროფ. მასის ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებს. პროფორგანოებმა თავის საჭიროებას საფუძვლად დაუდვეს ფართო დემოკრატიზმი, რასაც შედეგად მოჰყვა პროფაქტივის რიცხვობრივი და თვისობრივი ზრდა. თუ მე-6 ყრილობამდე ადგილკომებს, სხვადასხვა კომისიებსა და სამაზრო პროფორგანოებში ჩაბმულ აქტიურ მუშაკთა რიცხვი 2500-ს არა აღემატებოდა, დღეს უკვე ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობს 3700-მდე კაცი. ზემოხსენებულ ორგანოების გარშემო თავს იყრის კიდევ მრავალათასიანი პროფაქტივი, რომელიც ამჟამად განათლების მუშაკთა კავშირის მთავარ ხერხემალს წარმოადგენს. თუ წინად გასაჭირი იყო განათლების მუშაკთა შეკრება ადგილკომის მიერ მოწვეულ კრებებზე სხვადასხვა საჭირბოროტო პროფსაკითხების გადასაწყვეტად, ეხლა ასეთ კრებებზე დასწრება უკვე 60—70 პროც. აღწევს, ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ დასწრება არის არა წინანდებურად პასიური, არამედ აქტიური და გაცხოველებული. დამსწრეთა ერთი მესამედი თუ არა, ერთი მეოთხედი მაინც ღებულობს მონაწილეობას წამოყენებულ საკითხების განხილვაში. ამოქმედება, პროფმოძრაობის საკითხებით დაინტერესება დაეტყო სამეცნიერო მუშაკთა სექციასაც, რომლის ცხოვრებაში შარშანდელ ყრილობის შემდეგ უდიდესი გარდატეხა მოხდა. ამჟამად სექციის წევრები იჩენენ ინტერესს სექციის მუშაობისადმი და გამოყოფილი ჰყავთ რამდენიმე ნამდვილი აქტიური მუშაკი, რომელნიც კავშირის დანარჩენ აქტივთან ერთად ენერგიულ პროფმუშაობას აწარმოებენ. უდავოა, კავშირს საორგანიზაციო დარგში აქვს გარკვეული მიღწევები, მაგრამ მუშაობის ეს დარგი მნიშვნელოვან ნაკლისა და შეცდომებისგანაც არ არის თავისუფალი. ჯერ კიდევ ყველა მაზრებში ადგილკომები არ დაახლოვებიან საკავშირო მასას, ზოგან პროორგანოების დამოკიდებულება მუშაობისადმი „კაზიონურია", ზოგს ჯერ კიდევ შეგნებული არა აქვს პროფესიონალურ დემოკრატიის და თვითკრიტიკის მნიშვნელობა, ბიუროკრატიზმში პროფკავშირის წევრთა ინტერესების დაცვის საქმეში ჯერ კიდევ ბევრ ქვედა უჯრედისათვის დამახასიათებელი თვისება, ალაგ-ალაგ პროფორგანოები იჩენენ დიდ უფლება-მოყვარეობას და ხშირად ითვისებენ ადმინისტრატიულ ორგანოების ფუნქციებს: (ადგილებიდან ადგილზე გადაჰყავთ მასწავლებლები და სხვ.). ყოველივე ეს ანელებს მასის ინტერესს თავის პროფორგანოსადმი და აძლიერებს წევრთა შორის პასიობას და გულგრილობას საკავშირო მუშაობისადმი. ამ ნაკლოვანებათა დაუზოგველი გამომჟღავნება, გადამწყვეტი ბრძოლა ამ მავნე მოვლენების წინააღმდეგ, საკავშირო დემოკრატიის 100 პროცენტით გატარება, ფართო თვითკრიტიკის წარმოება—ჩვენი პროფმუშაობის გადაუდებელი ამოცანებია საორგანიზაციო დარგში.

განათლების მუშაკთა ხელფასი

საანგარიშო პერიოდში კავშირის მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ბრძოლა ხელფასის გასადიდებლად და ამ ბრძოლას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. გაიზარდა საერთოდ როგორც სახალხო განათლებისათვის გაღებული ხარჯების რაოდენობა, ისე მასწავლებელთა ხელფასის ფონდი. თუ სამი წლის წინად განათლების საერთო ხარჯები საქართველოში 12 მილიონს არ აღემატებოდა, დღეს იგი უკვე 17 მილიონ მანეთს შეადგენს. ამ თანხაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხელფასის ფონდს. განსაკუთრებული ზრდა დაეტყო პედაგოგიური შრომის ხელფასს, მას შემდეგ, რაც სასუბვენციო ფონდი 140 მანეთით გადიდდა. თუ 1927 წელს პირველი საფეხურის სკოლის მასწავლებლის ხელფასი 32 მანეთს არ აღემატებოდა, დღეს იგი 42 მანეთს ღებულობს, ხოლო მეორე საფეხურის სკოლის მასწავლებელი 35 მან. მაგივრად თვიურად იღებს 55 მანეთს. ამრიგად, ერთი წლის განმავლობაში სასუბვენციო ფონდზე მყოფ სკოლების მასწავლებელთა ხელფასი პირველ საფეხურისათვის გაიზარდა 31,3 პროცენტით, მეორე საფეხურისათვის—57,1 პროცენტით. მეორე საფეხურის პედაგოგიური პერსონალის ხელფასის გადიდება უფრო მეტი ინტენსიობით ნაკარნახევია შემდეგი მოსაზრებით: მეორე საფეხ. სკოლებში მუშაობენ უფრო მაღალ კვალიფიკაციის პედაგოგ. ძალები, რომელთა ხელფასი უფრო ჩამორჩენილია, ომის წინადროინდელ ხელფასთან შედარებით, ვიდრე პირველი საფეხურის მასწავლებლებისა. მეორე მხრივ მაღალ კვალიფიციურ ძალების შერჩევა და მიმაგრება წარმოებაზე შეუძლებელია, თუ მეტი ყურადღება არ მიექცევა მათ ნივთიერ უზრუნველყოფას. ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა კავშირი მაშინაც, როცა დღის წესრიგში დასვა ხელფასის გადიდება უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგიურ პერსონალისათვის, რომელსაც თავის ნივთიერ და კულტ. საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად უხდებოდა გარეშე საქმეებზე მუშაობა, რაც ბადებდა მათი დეკვალიფიკაციის საშიშროებას. ამ მიმართულებით კავშირის მიერ მიღებულ ღონისძიებებს შედეგად მოჰყვა უმ. სასწ. პედაგოგიური პერსონალის საშუალო თვიური ხელფასის გადიდება —72 მანეთიდან—120 მანეთამდე.

მიუხედავად ხელფასის ასეთი ზრდისა, სხვა დარგის კვალიფიც. მუშათა ხელფასიდან განათლების მუშაკთა ხელფასი მაინც ჩამორჩენილია, ამიტომ კავშირს მართებს კვლავ განაგრძოს ენერგიული მუშაობა ყველა საფეხურის სკოლების პედ. პერსონალის ხელფასის გასადიდებლად.

გან. მუშაკთა უფლებრივი მდგომარეობა

შემდეგ მომხსენებელი ეხება განათლების მუშაკთა უფლებრივ მდგომარეობას და ამბობს, რომ დაბრკოლებათა შორის, რომელნიც ხელს უშლიან განათლების საქმის სალ ნიადაგზე დაყენებას და სკოლის გაჯანსაღებას,—მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განათლების მუშაკთა უფლებრივ მდგომარეობის შელახვას. განათლების მუშაკთა კავშირი კერძო შემთხვევებში ამა თუ იმ სკოლის გასაჯანსაღებლად საჭიროდ აღიარებს კავშირის წევრისადმი უკიდურესი ზომების მიღებას (ადგილიდან მოხსნას და სხვ.), მაგრამ ამ ზომას იგი იზიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსახსნელი პირის უვარგისობა სავსებით გამორკვეულია, განათლების ორგანოები ხშირად ამას ანგარიშში არ უწევენ და განათლების მუშაკის ბედს სწყვეტენ სათანადო ორგანოების დაუკითხავად. მომხსენებელი ასახელებს მასწავლებლებისადმი უპასუხისმგებლო მოპყრობის რამდენიმე მაგალითს, (უმიზეზო დათხოვნა, ადგილიდან გადაყვან-გადმოყვანა, მასწავლ. პიროვნების დამცირება, ცილისწამება და სხვ.) არის შემთხვევები, როცა მასწავლებლის უფლებრივი მდგომარეობა ილახება განათლების სახალხო კომს. ინსტრუქტორების მიერ, რომელნიც მიმართავენ მოულოდნელ რევიზიას, ქმნიან პანიკურ მდგომარეობას, აშინებენ მასწავლებლებს, მოითხოვენ მასწავლებლებისაგან შეუძლებელის შესრულებას და სხვ. ხშირად თვით პროფორგანოები, ადმინისტრაციის ასეთ საქციელს გულგრილად უცქერიან და ზოგ შემთხვევაში ხელსაც აფარებენ. მასწავლებელთა აბუჩად აგდებას ბოლო უნდა მოეღოს, რისთვისაც აუცილებელია საკავშირო ორგანოებმა ენერგიულად მოჰკიდონ ხელი თავის წევრთა უფლებების დაცვას, ხოლო თვით განათლების მუშაკებმა გაარღმავონ თვითკრიტიკა და დაუზოგველად გამოააშკარავონ ადმინისტრაციის თვითნებობა და გაუმართლებელი მოქმედება.

კულტურული და საზოგადოებრივი მუშაობა

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება რა კულტმუშაობის საკითხებზე—აღნიშნავს, რომ მიუხედავათ მიღწევებისა ამ დარგში,—კულტმუშაობას მაინც აქვს მრავალი ნაკლი, რომელთა შორის აღსანიშნავია კულტმუშაობის ტრაფარეტული მეთოდები ყველგან იმის განურჩევლად, შეეფერება თუ არა ეს მეთოდი ამა თუ იმ მაზრას. პროფორგანოებს ჯერ კიდევ მათლად არა აქვთ გათვალისწინებული ის, რომ აჭარისტანში სულ სხვა ხასიათის კულტმუშაობაა საჭირო, ვიდრე—ვსთქვათ—შორაპანის, ან ქუთაისის მაზრებში. კულტმუშაობას აფერხებს აგრეთვე ისიც, რომ დღემდე გამორკვეული არ არის, თუ რა მნიშვნელობა უნდა მიიღონ, როგორ უნდა დაეხმარონ განათლების ორგანოები პროფორგანოებს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში.

დასასრულ, მომხსენებელი ეხება განათლების მუშაკთა საზოგადოებრივ მუშაობას. უკანასკნელ დრომდე მასწავლებლები, განსაკუთრებით სოფლად, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივ მუშაობაში, მაგრამ ამ მონაწილეობას აქვს მეტ წილად, დავალებითი ხასიათი. მასწავლებლებს ავალებენ ამა თუ იმ საზოგადო საქმეს და ისიც შეძლებისდაგვარად აკეთებს მას. საჭიროა მასწავლებელი თავის ინიციატივით, თავის ნებასურვილით ჩაებას საზოგადოებრივ საქმიანობაში. საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებშიაც ამ გარემოებას მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ და განათლების მუშაკი იმთავითვე დააინტერესონ ამა თუ იმ საქმით: საჭიროა მასწავლებელი არა მარტო დავალებით მუშაობდეს, არამედ თავადვე მონაწილეობას ღებულობდეს გასაკეთებელი საქმის გეგმის გამომუშავებაში და სხვა.

ამხ. გეგენავას მოხსენებით დამთავრდა დილის სხდომა.

—:—

საღამოს სხდომაზე მთავრობისა და საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას სახელით ყრილობას მიესალმენ ამხ. ფ. მახარაძე და ლ. ღოღობერიძე.

მათი სიტყვები მოყვანილი იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

საბჭოთა მომავალი არჩევნები

(თათბირი ამიერ-კავკასიის ცაკში)

საბჭოთა მომავალ არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხების დასამუშავებლად გუშინ ამიერ-კავკ. ცაკში გაიხსნა საორგანიზაციო თათბირი, რომელზედაც მონაწილეობას იღებენ საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ცენტრ. აღმ. კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებების, ქალთა განყოფილებების, პროფკავშირების, წითელი არმიის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საბჭოთა მომავალი არჩევნების ჩატარების შესახებ მოხსენება გააკეთა ამიერ-კავკ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. მელნიკოვმა. მომხსენებელი ვრცლად შეეხო არჩევნების ჩატარების ტეხნიკურ მხარეს და აღნიშნა, რომ ინსტრუქციები არჩევნების შესახებ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საგრძნობლად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. ეს განსხვავება განსაკუთრებით საგრძნობია ინსტრუქციის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საარჩევნო უფლებებს. მიმდინარე კამპანიაში ეს დეფექტი აუცილებლად აღმოფხვრილი უნდა იქნეს. ჩატარებული უნდა იქნეს ინსტრუქციის მაქსიმალური პოპულიარიზაცია. მომხსენებლის აზრით, მოსამზადებელი მუშაობა დაწყებული უნდა იქნეს დაუყოვნებლივ. საანგარიშო კამპანია ჩატარებული უნდა იქნეს ორი თვის განმავლობაში და საარჩევნო კამპანიაც 2 თვის ვადაში.

შემდეგ თანამომხსენებლებით გამოვიდნენ რესპუბლიკანურ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეები, რომლებიც საჭიროთ სთვლიან, რომ საანგარიშო კამპანიაც და საარჩევნო კამპანიაც დამთავრებული იქნეს 2 თვის განმავლობაში.

ამხ. ვარძიელმა აღნიშნა, რომ მომავალ არჩევნებში ყურადღება უნდა მიექცეს მასიურ თვითკრიტიკის და მასების აქტივობის გაძლიერებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საანგარიშო კამპანიას და მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ მომხსენებლებმა ნათლად გააშუქონ საბჭოების მიერ ჩატარებული მუშაობა.

პარტიაში

ნოემბერში ჩატარდება მშრომელ ქალთა შორის მომუშავე განყოფილებების არსებობის 10 წლის იუბილე.—უჯრედების ბიუროების გადარჩევის კამპანია ფართე თვითკრიტიკის და შინაპარტიული დემოკრატიის გზით მიმდინარეობს

მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ

უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ესალმება კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მიმართვას

ხარკოვი, 27 ოქტომბერი. უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიესალმება საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვას მოსკოვის ორგანიზაციისადმი და მოსკოვის ორგანიზაციის პოლიტიკური შეცდომებისა და მერყეობის საკითხის პირდაპირი და აშკარა დაყენებისათვის პარტიის წინაშე.

პოლიტბიურო კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მოსკოვის ორგანიზაციამ და მოსკოვის კომიტეტმა შესძლეს სათანადო წინააღმდეგობა გაეწიათ მემარჯვენე გადახრისათვის და შემარიგებელი განწყობილებებისათვის და ხელი შეუწყვეს ცალკე ხელმძღვანელი მუშაკების შეცდომების გამოსწორებას (ადს).

ქალთა შორის მუშაობის გაძლიერებისათვის

საქართველოს კომპარტიის (ბ) საოლქო კომიტეტებს, სამაზრო კომიტეტებს და თბილისის კომიტეტს

მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებები ნოემბერში ჩაატარებენ მუშა და გლეხ ქალთა 1-ლი ყრილობის ათი წლის თავს, ქალთა განყოფილებების არსებობის ათი წლის იუბილეს.

ეს დღე უნდა ჩატარდეს როგორც მასიური საერთო პოლიტიკური კამპანია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო ქალთა მასები, არამედ ყველა მშრომელთა ფართო ფენები.

ამ დღის პრესასა და მასიურ კრებებზე უნდა გაშუქებულ იქნას ქალთა შორის ათი წლის მუშაობის შედეგები, მიღწევები და დეფექტები მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობაში და პარტიის მორიგი ამოცანები მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის დარგში.

ერთ-ერთი პარტიული დღე ნოემბერში უნდა გადაიდოს ამ საკითხისათვის, მისი პოპულიარიზაციისათვის გამოყენებულ უნდა იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებების გადაწყვეტილებანი საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცეკას მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების მუშაობის შესახებ და საკავშირო კომ. პარ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილებანი („იზვესტია". ივნისი 1928 წ. № 7/32, უჯრედებში ამ საკითხების განხილვის პრაქტიკული შედეგი უნდა იყოს პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება ქალთა შორის მუშაობაში და უჯრედების მთელი მუშაობის უფრო მეტი შეგუება მუშა და გლეხ ქალთა კულტურულ და ყოფა-ცხოვრების საჭიროება—მოთხოვნილებებისათვის.

ქალთა განყოფილებების არსებობის ათი წლის აღსანიშნავად უნდა მოწვეულ იქნას დელეგატთა საზეიმო კრებები, და მათ წინაშე უნდა დასმულ იქნას პარტიის მორიგი ამოცანების ძირითადი საკითხები მშრომელ ქალთა მასებს შორის მუშაობის შესახებ.

ამ დღის უნდა შეეფარდოს და მომზადდეს კომპარტიაში და ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირში გადასვლა აქტიურ, ნაცადი მუშა ქალებისა, სოფლის მოჯამაგირე ქალებისა და სოფლის მეურნეობის მუშა ქალებისა, აგრეთვე ამ დღის შეეფარდოს ყოფა-ცხოვრების ისეთი დაწესებულებათა ორგანიზაცია, რომლებიც ქალთა განთავისუფლებას ემსახურებიან.

ფაქტიურად განხორციელებულ იქნას მუშა და გლეხი კომუნისტი ქალების დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე.

ქალთა განყოფილებების იუბილე კულტურულად ჩამორჩენილ რაიონებში, ქალთა ფაქტიურად განთავისუფლების დღეთ უნდა გადაიქცეს ძველ ადათ-ჩვეულებებისაგან (ყალიმი, მრავალცოლიანობა, ჩადრი, მოტაცება). ამასთან ერთად ეს დღე ყოფა-ცხოვრების დაწესებულებების ორგანიზაციის დღედ უნდა იქცეს.

საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცეკას მდივანი ლ. ღოღობერიძე.

საქართველოს კომ. პარ. (ბ) ც. კომიტეტის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების გამგე— ვ. ჯაფარიძე.

ქალაქის რაიკომი ამომრჩეველთა წინაშე

ჯგუფური კრება საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბში

გუშინ, 27 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბში შესდგა მე-6 სტამბის, მუშკოოპის, მიწად-მოქმედების კომისარიატის, რუსთაველის თეატრის ცეკავშირის, განათლების კომისარიატის, სახკომსაბჭოს, სახ. გამომცემლობის, საქართველოს ცენტრ. სტატისტიკური სამმართველოს, შრომის კომისარიატის, 1-ლი სტამბის, სახ. უნივერსიტეტის, ტელეგრაფის, სახალხო კვების, სოფლის კავშირის, მე-5 სტამბის, ამიერ-კავკასიის და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის, გინეკოლოგიური ინსტიტუტის და ლუდის ქარხნის კომუჯრედების ჯგუფური კრება.

ქალაქის რაიკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მორჩილაძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა რაიკომის მიერ ჩატარებული მუშაობა წარმოებების რაციონალიზაციის, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის, იდეოლოგიურ გადახრათა წინააღმდეგ ბრძოლის, ქალთა შორის მუშაობის, კომკავშირზე ხელმძღვანელობის და სხვა საქმეში.

კამათში გამოსული ამხანაგები: მუსერიძე, ჩიტაშვილი, კიკნაძე, ალხაზიშვილი, მორბედაძე, დანელია, დავითიანი და თაქთაქიშვილი უმთავრესად აღნიშნავდნენ იმას, რომ ზოგიერთ წარმოებებში თვითკრიტიკა სუსტადაა გატარებული, პრესაში გამოქვეყნებულ მამხილებელი ხასიათის წერილების ირგვლივ გამოკვლევა დაგვიანებით სწარმოებს, ან სულ არ სწარმოებს, ზოგან ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების საქმეში ადგილი ჰქონდა დამახინჯებას, ხშირად უჯრედები სათანადო სერიოზულობით არ ეკიდებიან ქალთა შორის მუშაობის საქმეს, მუშების დაწინაურება საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ზოგჯერ მოუმზადებლად ხდება, დაწინაურებულ მუშებს არ ეწევა სათანადო ხელმძღვანელობა. საჭიროა სასწავლებლების კომუჯრედების და კომკავშირის უჯრედების მუშაობის უფრო გაძლიერება უპარტიო ახალგაზრდათა შორის. ზოგიერთი უჯრედები სათანადო ყურადღებით ვერ ეპყრობიან ბიუროკრატიზმთან და „ვოლოკიტასთან" ბრძოლის საქმეს.

პროტექციონიზმთან ბრძოლაში ბოლო დროს მიღწევები თვალსაჩინოა, მაგრამ რადგანაც ეს სენი სავსებით აღმოფხვრილი კიდევ არ არის, უჯრედების ამოცანას შეადგენს ამ მახინჯ მოვლენასთან დაუღალავი ბრძოლის წარმოება; არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ დაწესებულებაში ბიუროკრატობისათვის მოხსნილი პირი სხვა დაწესებულებაში ეწყობა უფრო დიდ თანამდებობაზე, რაც ხელს უშლის ბიუროკრატიზმთან წარმატებით ბრძოლის საქმეს და სხვა.

ამხ. მორჩილაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომლითაც რაიკომის მუშაობა ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად.

გარდა ამისა ჯგუფური კრება ავალებს რაიკომს ცხოვრებაში გაატაროს შემდეგი: მიიღოს ზომები მემარჯვენე გადახრათა წინააღმდეგ და გააძლიეროს პარტგანათლების საქმე. თვალყური ადევნოს პარტიის გადაწყვეტილების შესრულებას ადგ. სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ, მიიღოს ზომები თვითკრიტიკის ლოზუნგის ცხოვრებაში გატარებისათვის, წარმოების რაციონალიზაციისათვის და გადამჭრელი ზომები იქნას მიღებული ბიუროკრატიზმისა და პროტექციონიზმის აღმოსაფხვრელად.

უჯრედების ბიუროების გადარჩევა

ხე-ტყის ქარხანაში

ტყის მრეწველობის ტრესტის ხე-ტყის ქარხნის (მადათოვის კუნძ. მდ.) პარტუჯრედის კრებამ მოისმინა უჯრედის პასუხისმგებელ მდივნის ამხ. ავაქოვის მოხსენება ბიუროს 6 თვის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა მთელი რიგი მიღწევები უჯრედის ბიუროს მუშაობაში, რაც გამოიხატება პარტმუშაობის გამოცოცხლებაში, ქარხნის მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ადმინისტრაცია-ადგილკომ-უჯრედის შეთანხმებულ მუშაობაში. გარდა ამისა ამხ. ავაქოვი შეეხო ქარხანაში მასიურ მუშაობას და აღნიშნა, რომ მუშები მოურიდებლად ამხელენ ყოველგვარ ნაკლოვანებებს.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. გაგუამ, ცაგურიამ, ენუქიძემ და სხ. ორატორები აღნიშნავენ, რომ ბიურო სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევდა თავისუფალ ორგანიზაციებს, „რემდასის" საქმიანობა ვერაა თავის დონეზე დაყენებული, ქარხანას არა ჰყავს საშეფო სოფელი, რომ იქ კულტმუშაობა აწარმოოს; გარდა ამისა, ბიურო ყურადღებას არ აქცევდა ქარხკომთან არსებულ კომისიებს, რის გამო მათი მუშაობა მოისუსტებდა. ამასთანავე თანამოკამათეებმა აღნიშნეს, რომ ნაწილობრივ მოისუსტებს აგიტკომისიის მუშაობაც.

კამათის დასრულებისა და აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ, კრებამ ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და მომავალში პარტმუშაობის გაჯანსაღების მიზნით შეიმუშავა პრაქტიკული წინადადებები.

ამის შემდეგ მოხდა ბიუროს არჩევნები. ბიუროს ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ავაქოვი, შავერდოვი, სარუკინი, კუტანჯიანი, ანტონოვი და 2 კანდიდატი.

სარაიონო პარტკონფერენციაზე კრებამ აირჩია 3 დელეგატი.

ს—ტ.

თბილისის საქონლის სადგურში

26 ოქტომბერს მტვირთველ მუშების აუდიტორიაში მოწვეულ იქნა თბილისის საქონლის სადგურის პარტუჯრედის კრება. კრებას 100-მდე კაცი დაესწრო: ამხ. ანდღულაძემ დაწვრილებით გააცნო დამსწრეთ ბიუროს მიერ ჩატარებული მუშაობა საანგარიშო ხნის განმავლობაში.

საანგარიშო ხნის განმავლობაში, ამბობს მომხსენებელი ბიურო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა წარმოების რაციონალიზაციის გატარებას და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების 20 პროც. შემცირებას, აგრეთვე ბიურო ზრუნავდა მუშების შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით შექმნილ იქნა ტვირთის მექანიკურად აწევის მანქანა. საწარმოო თათბირის დადგენილებები ნაწილობრივ ტარდება ცხოვრებაში. შემდეგ მომხსენებელი შეეხო ზოგიერთ ნაკლოვანებასაც.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილე ამხანაგებმა აღნიშნეს უჯრედის ბიუროს მუშაობის უარყოფითი მხარეები. კრებამ ბიუროს საქმიანობა მოიწონა და აირჩია, როგორც ახალი ბიურო, ისე რაიონულ პარტკონფერენციაზე გასაგზავნი დელეგატები.

პატ.

საქ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი

იუწყება, რომ ორშაბათს, 29 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე,

სახელმწიფო ოპერის თეატრში მოწვეულია

საქ. ლენ. კომკავშირის თბ. ორგანიზ. აქტივის საზეიმო სხდომა

უპარტიო მუშა-ახალგაზრდობის აქტივთან ერთად

დღის წესრიგში სდგას ამხ. გაიოზ დევდარიანის მოხსენება ლენინურ კომკავშირის საქმიანობის შესახებ.

ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტების, ცეკას, თბილისის კომიტეტის, რაიონულ კომიტეტების და სარევიზიო კომისიის წევრები სხდომაზე შედიან თავიანთი მანდატებით. დანარჩენი ამხანაგები შესასვლელ ბილეთებს მიიღებენ სათანადო რაიკომებში

საქ. ა.ლ.კ.კ. თბ. კომიტ. პასუხისმგებელი მდივანი: აჯარაშვილი.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

ლოძის გაფიცვის გაკვეთილები.—პილსუდსკის ანტისაბჭოთა გეგმები.—„ფორვერტს" — მენდელსონის მთლიანი ფრონტი.—ამერიკის ელექტრონის კომპანიასთან დადებულ შეთანხმების გარშემო

პოლონელ რეფორმისტებმა, მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, ვერ შესძლეს ლოძის ფეიქართა გაფიცვის აცილება. ამის შემდეგ მთელი მათი მუშაობა მიმართული იყო გაჩაღებულ კლასობრივ ბრძოლის ჩაშლისაკენ. მასების ზეგავლენით ისინი თვალთმაქცურად მიეშხრენ გაფიცვას, რომ იგი შიგნიდან აეფეთქებიათ.

და ჩვენ ვხედავთ, რომ გადამწყვეტ მომენტში მათ მუშებს ზურგიდან მოღალატურად ლახვარი ჩასცეს. ამ მიზნით, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო, „სოციალისტებს" ხელში ჩაეგდოთ საგაფიცვო კომიტეტი, სადაც უმრავლესობას მემარცხენენი შეადგენდნენ. ეს ადვილად მოახერხეს მათ ამ კომიტეტში იმ კავშირების რეფორმისტ - წარმომადგენლების გაგზავნით, რომელთაც გაფიცვას მხარი დაუჭირეს. ამ გზით შევსებულმა საგაფიცვო კომიტეტმა გამცემლების ხმების უმრავლესობით, გაფიცვა დასრულებულად გამოაცხადა. — საყოველთაო გაფიცვა ჩაშლილია და ამიტომ ფეიქრებს მარტო არ შეუძლიათ ბრძოლის გაგრძელებაო — ასეთი იყო მათი „არგუმენტი". მაგრამ, ჯერ ერთი, გაფიცვა სულ უფრო ფართოვდებოდა და მასში სხვადასხვა დარგების მუშები ებმებოდნენ; შემდეგ, თუ ეს საჭირო სისწრაფით და მასშტაბით არ ხდებოდა, მთელი დანაშაული ამაში მიუძღვით მხოლოდ რეფორმისტებს, რომელნიც ყოველნაირად აგვიანებდნენ კავშირების მხრით სოლიდარობის გაფიცვის განხორციელებას, რომ ფეიქრები დაუძლურებულიყვნენ.

საგულისხმოა, რომ საგაფიცვო კომიტეტმა გაფიცვის ჩაშლა ისე გადაწყვიტა, რომ ამის შესახებ არა თუ მუშათა მასებმა არ იცოდნენ არაფერი, არამედ ფაბრიკების დელეგატებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა იმ სხდომაზე, რომელზედაც ეს, მუშებისათვის სიკვდილ - სიცოცხლის საკითხი ირჩეოდა. ამავე დროს ხსენებული საბედისწერო გადაწყვეტილება მუშებს აცნობეს მოულოდნელად და სულ უკანასკნელ მომენტში, რომ ისინი დაბნეულიყვნენ და, რომ მათ წინააღმდეგობის გაწევის საშუალება მოსპობოდათ.

გაფიცვის ჩაშლის გამოცხადება სრულებით არ ყოფილა ფეიქართა რევოლიუციონურ ნებისყოფის გატეხის და მათი რიგების დეზორგანიზაციის შედეგი. მიუხედავად მებრძოლ მუშების სიმშილისა, მიუხედავად მათ წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ რეპრესიებისა, ისინი იშვიათ სიმტკიცეს იჩენდნენ. შტრეიკბრეხერების ცალკე შემთხვევები აღკვეთილ იქნა. 20 ოქტომბერს, შაბათს, როცა სოციალ-გამცემლებმა გამოიტანეს დადგენილება გაფიცვის შეწყვეტის შესახებ, საფეიქრო მრეწველობაში საყოველთაო გაფიცვა ტარდებოდა. უფრო საყურადღებოა, რომ გაფიცვის ჩაშლის გამოცხადების შემდეგ მუშაობა განაახლა მუშების მხოლოდ ათმა პროცენტმა. დანარჩენები ბრძოლას განაგრძობდნენ. ეს ფაქტი მოწმობს, რომ მუშების მერყეობით, მათი ბრძოლის წყურვილის და უნარის შესუსტებით კი არ აიხსნება რეფორმისტების ნაბიჯი, არამედ უკანასკნელთა აღმაშფოთებელი გაცემლობით.

ყველაფერ იმის შემდეგ, რაც მოხდა, ადვილად შესაძლებელია, რომ ფეიქართა ბრძოლა ამჟამად მარცხით დამთავრდეს. მაგრამ ლოძის ფეიქართა გაფიცვა ამით როდი კარგავს თავის უდიდეს მნიშვნელობას. მან ნათლად დაანახა მუშებს პოლონელ „სოციალისტების" — როგორც კაპიტალისტების და ფაშიზმის აგენტების ნამდვილი სახე, და მათ შორის ამოუვსებელი ორმო გათხარა. ეს გარემოება უეჭველად დააჩქარებს რეფორმისტულ ილუზიებისაგან მუშების განთავისუფლების და მათი შეურიგებელ კლასობრივ ბრძოლის გზაზე დაყენების საქმეს. ეს თავის მხრივ ნიშნავს კომპარტიის გავლენის ზრდას. ლოძის ამბებმა მუშებს დაანახვეს, რომ მხოლოდ კომუნისტები იბრძვიან ნამდვილად მათი ინტერესებისათვის, და აქედან ისინი ერთად - ერთ დასკვნას გამოიყვანენ: მუშათა კლასი მთლიანად კომპარტიის გარშემო უნდა დაირაზმოს და თავისი ბედი მან ამ პარტიას უნდა მიანდოს, ხოლო სოციალ - დემოკრატიას ისევე შეუბრალებლად უნდა ებრძოლოს, როგორც ექსპლოატატორებს. ლოძის გაფიცვა ამ მხრივ გაკვეთილია არა მარტო პოლონეთის, არამედ მთელი საერთაშორისო პროლეტარიატისათვის. იმ უდიდეს კლასობრივ ბრძოლის დროს, რომელიც დაწყებულია და შემდეგში უფრო გაიშლება ევროპაში, მუშათა მასები ლოძის გაფიცვის ამ გაკვეთილს ვერ დაივიწყებენ.

⁂

პოლონეთის ფაშიზმი მუშათა კლასზე შეტევას აძლიერებს არა მარტო იმ მიზნით, რომ ქვეყნის შიგნით განამტკიცოს თავისი ბატონობა, არამედ მუშათა მოძრაობის მოსპობით მას აგრეთვე სურს ზურგი გაიმაგროს მომავალ ომების შემთხვევისათვის.

პოლონელი იმპერიალისტები, რა თქმა უნდა, უმთავრესად საბჭოთა კავშირისაკენ იშვერენ ხელებს. პატეკის უკანასკნელმა განცხადებამ პოლონეთ-საბჭოთა დამოკიდებულების შესახებ ვერ გაფანტა ამ მხრივ არსებული ეჭვები. პოლონეთის მოსკოველმა ელჩმა იუზეფოვსკის ცნობილ გამოსვლის გამო მხოლოდ განიმეორა ის განმარტება, რომელიც თავის დროზე პოლონეთის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა ვოლინის გუბერნატორის სიტყვის შინაარსი სისწორით არ ყოფილა გადმოცემულიო. მაგრამ ასეთი განმარტება სრულებით არ არის დამარწმუნებელი. უდავოდ გამორკვეულია, რომ იუზეფოვსკიმ თავის სიტყვაში წამოაყენა საბჭოთა კავშირიდან უკრაინის ჩამოგლეჯის ლოზუნგი. ამასთან ხაზგასასმელია, რომ არც პოლონეთის მთავრობამ მთლიანად და არც პატეკმა კერძოდ საჭიროდ არ სცნეს ამ ლოზუნგისაგან გამიჯვნა და ამით ცხადყვეს, რომ პოლონელი იმპერიალისტები აღმოსავლეთით, საბჭოთა კავშირის ხარჯზე გაფართოების ზრახვებს ატარებენ.

რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს „ოსტ-ექსპრეს"-ის სააგენტოს მხილებაც. ამ სააგენტოს გადმოცემით, ვარშავაში შემდგარა რუმინეთის და პოლონეთის სამხედრო შტაბების წარმომადგენელთა საიდუმლო კონფერენცია, რომელიც ამუშავებდა სტრატეგიულ გეგმას ამ ორი ქვეყნის შეიარაღებულ ძალების გაერთიანებულ და შეთანხმებულ მოქმედების შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ — მასთან ომის შემთხვევაში. ამასთან, პილსუდსკი მოითხოვდა, რომ რუმინეთი შეერთებოდა უკრაინის საბუფერო სახელმწიფოს შექმნის პროექტს. თუ ამაზე რუმინეთი დასთანხმდებოდა, პილსუდსკი მას პირდებოდა რუმინეთისათვის ოდესის თავისუფალ ნავთსადგურად გადაქცევას (სხვის ხარჯზე გულუხვობაც ასეთი უნდა!). აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებაში აქტიური მონაწილეობა მიუღია საფრანგეთს, რომელსაც აღუთქვამს რუმინეთისა და პოლონეთისათვის სამხედრო მასალების მიწოდება, ოფიცრებით და ჯარებით დახმარების აღმოჩენა. ლონდონსა და პარიზს ჩეხოსლოვაკიის მთავრობაც დაუთანხმებიათ რუმინეთისათვის სამხედრო მასალების მიწოდებაზე.

ასეთია „ოსტ-ექსპრეს"-ის ცნობა. ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ ვარშავის კონფერენციის შემდეგ, პილსუდსკი ეწვია რუმინეთს ხსენებულ მოლაპარაკების დასამთავრებლად. ამგვარად, იმპერიალისტების ზრახვები და გეგმები გამოაშკარავებულია. მაგრამ ერთია ზრახვები და გეგმები, ხოლო მეორეა მათი განხორციელება. და აი, სწორედ ამ მხრივ პოლონელ იმპერიალისტებს და მათ მოკავშირეთ ხელები მოკლე აქვთ. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ პილსუდსკიმ ვერ შესძლო რუმინეთისა და უნგრეთის შეთანხმება. ამ ორ ქვეყანას შორის ღრმა წინააღმდეგობას აქვს ადგილი ტერიტორიულ და სხვა საკითხების გამო, და რუმინეთს ეშინია, რომ, თუ იგი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომს დაიწყებს, ამით უნგრეთი ისარგებლებს და ზურგიდან დაესხმის მას. უფრო საგულისხმოა პოლონეთ - გერმანიის შეურიგებლობა, რამაც უკანასკნელად, სხვათა შორის, გამოხატულება ჰპოვა მათ შორის ეკონომიურ მოლაპარაკების შეწყვეტაში. ასეთი პირობები ნაკლებად უწყობენ ხელს პოლონელ და რუმინელ იმპერიალისტების საგარეო ავანტიურას.

ამავე დროს კაპიტალისტურ ქვეყნებში, კერძოდ პოლონეთში ჩვენ კლასობრივ ბრძოლის უკიდურესად გამწვავების მოწმენი ვართ, რაც იმპერიალისტებს ხელ-ფეხს უბორკავს. მათ ჯერ კიდევ შესწევთ ძალა დროებით დაამარცხონ მებრძოლი მუშათა კლასი, მაგრამ თუ ისინი გაილაშქრებენ ერთად - ერთ პროლეტარულ სახელმწიფოს წინააღმდეგ, ეს მუშათა კლასისათვის იქნება სიგნალი სამოქალაქო ომის დაწყებისათვის, აჯანყებისათვის სისხლის ღვრის მოციქულ ფაშისტების ბატონობის წინააღმდეგ, რაც ადვილად შესაძლებელია მათთვის კატასტროფით დამთავრდეს.

⁂

„რუსეთის კრედიტორებს" ამ ბოლო დროს ერთგვარი ამოძრავება ეტყობათ. უკვე იყო აღნიშნული, რომ გერმანელ ბანკირთა ჯგუფი მენდელსონის მეთაურობით შეუერთდა „რუსეთის კრედიტორებს საერთაშორისო ასოციაციას". ეს ფაქტი უეჭველად შეაფერხებს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებას.

სააგენტო ვოლფის განმარტება, რომ „გერმანელ ბანკების ამ ნაბიჯს არაფერი აქვს საერთო რაპალოს ხელშეკრულებისადმი მთავრობის დამოკიდებულებასთანო", აშკარად არ არის დამაკმაყოფილებელი. ჯერ ერთი ,საჭიროა გერმანიის მთავრობის პოზიციის სრული გარკვეულობა. ამ საკითხში—კიცხავს თუ მხარს უჭერს იგი მენდელსონის ამ აქტს, როგორც სჩანს, ბერლინის მთავრობას ოფიციალურად თითქო „ნეიტრალური" პოზიცია უკავია, რაც არ შეიძლება შეფასებულ იქნეს როგორც იმის მაჩვენებელი, რომ მას გულწრფელად სწადია საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარება. ეს მით უმეტეს, რომ „ნეიტრალიტეტი" ამ შემთხვევაში მეტად საეჭვო ხასიათისა. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ გერმანიის სახალხო მეურნეობის მინისტრმა, კურციუსმა, უცხოეთის ფასიან ქაღალდების პატრონთა ინტერესების დასაცავად გასულ სექტემბერს შემდგარ ბანკირთა ყრილობაზე, ცხადად აღნიშნა მთავრობასთან იმ საბანკო ორგანიზაციების თანამშრომლობა, რომელნიც შემდეგ კრედიტორების საერთაშორისო ორგანიზაციას შეუერთდნენ. გერმანელი პრესის ნაწილი ამაოდ ცდილობს დაამტკიცოს, რომ მენდელსონის ჯგუფის აქტი თითქო არ ბოჭავდეს გერმანიის მთავრობას, არ ატარებდეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრულ გამოსვლის ხასიათს, ვითომ კრედიტორების კავშირი პოლიტიკურ მიზნებს არ ისახავდეს. ნამდვილად საქმის ვითარება, რა თქმა უნდა, სულ სხვანაირია. ჯერ ერთი, განა მტკიცება უნდა, რომ ბანკირები დიდ გავლენას ახდენენ მთავრობის პოლიტიკაზე და შემდეგ - ვინ დაიჯერებს, რომ მეფის ვალების გადახდის მოთხოვნა, რაც „კრედიტორების" გაერთიანების ძირითად ამოცანას შეადგენს, უაღრესად პოლიტიკური, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნა არ არის.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია სოციალ-დემოკრატიულ „ფორვერტს"-ის გამოსვლა. მას სულმა წასძლია და ბანკირების აქტი გამოიყენა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მორიგი გამოლაშქრებისათვის. ის, რა თქმა უნდა, დასაშვებად და მართებულად სთვლის ბანკირების ნაბიჯს, ამასთან აცხადებს, რომ „მარტო ძალაუფლების ხელში ჩაგდებით რევოლიუციას არასოდეს არ გაუმარჯვნია"-ო და საერთო რევოლიუციის მიზანშეწონილობას „ასაბუთებს". ძნელი წარმოსადგენია სოციალ დემოკრატიის მეტი დაცემა და გახრწნილება, ვიდრე მისი კავშირი ბანკირებთან საბჭოთა კავშირთან ბრძოლის საქმეში. მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურისადმი ბრმა სიძულვილი და თავისი „ხაზეინების" გულის მოგების სურვილი მენშევიკების ორგანოს ყველაფერს ჩაადენიებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბანკირები — „ფორვერტს"-ის ბატონები არიან ამ სიტყვის არა მარტო პოლიტიკური, არამედ ფინანსიური გაგებითაც: ისინი ამ გაზეთს „სესხის" სახით უხვ სუბსიდიას აძლევენ.

მაგრამ მენდელსონ — „ფორვერტს"-ის პოზიცია უდავოთ საზიანოა გერმანიის ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებისათვის. თუ გერმანია ბანკირთა ჯგუფს სრულიად განუხორციელებელ პრეტენზიებს აყვება, ამით იგი დაკარგავს მისთვის უაღრესად საჭირო საბჭოთა ბაზარს და ამავე დროს საბჭოთა კავშირთან პოლიტიკურ დამოკიდებულების გართულებით ძალზე შეირყევა მისი საერთაშორისო მდგომარეობაც. გერმანიის უფრო გონიერ სამეურნეო და პოლიტიკურ წრეებს ეს თითქო ესმით, და უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი შეეცდებიან ცალკე ჯგუფების ვიწრო ეგოისტური მადის შეკვეცას და მისთვის თავიანთი ქვეყნის საერთო ინტერესების დაპირდაპირებას.

⁂

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ „რუსეთის კრედიტორების" ამოძრავებაზე, მხედველობაში გვაქვს არა მარტო გერმანელ ბანკირთა ჯგუფის ხსენებული აქტი. სხვადასხვა ქვეყნების ბანკირები, რომელთაც მოეპოვებათ მეფის რუსეთის ფასიანი ქაღალდები, ზომებს ღებულობენ, რომ აქტიურად და შეთანხმებულად დაიწყონ „მუშაობა". „რუსეთის კრედიტორების დამცველთა საერთაშორისო კომიტეტმა" ამას წინად გამოაქვეყნა განცხადება, რომ კომიტეტს საქმე ექნება მეფის მთავრობის ან ყოფილ მუნიციპალიტეტების ვალებთან და რომ მას არავითარი პოლიტიკური მიზნები არა აქვს, არავითარი მტრული მოტივები არ ამოქმედებს რუსეთის მიმართ; მისი ერთად ერთი მიზანია კრედიტების ინტერესების დაცვა, აგრეთვე სათანადო აპარატის მოწყობა მომავალი მოლაპარაკებისათვის, როცა შესაფერი დრო დადგება"-ო.

ჩვენ აქ ზედმეტად მიგვაჩნია იმის განმეორება, რომ ეს ორგანიზაცია უთუოდ ანტისაბჭოთა პოლიტიკური გაერთიანებაა. „კომიტეტის" საწინააღმდეგო განცხადება, ცხადია, თვალთმაქცობაა და მას არავითარი ღირებულება არა აქვს. უფრო საყურადღებოა „კრედიტორების" დეკლარაციის ის ადგილი, სადაც ისინი „სინანულს" გამოსთქვამენ იმის გამო, რომ ამ კომიტეტში ამერიკული კრედიტორები არ ღებულობენ მონაწილეობას. უეჭველია, რომ ჩვენი უკანასკნელი სავაჭრო გარიგება ამერიკასთან (ამერიკის ელექტრონის კამპანიასთან დადებული ხელშეკრულება), რომლითაც გარღვეულ იქნა კაპიტალისტურ ქვეყნების საკრედიტო ბლოკადა საბჭოთა კავშირის მიმართ,—ეს გარიგება „კრედიტორებს" მოსვენებას არ აძლევს. მათი აქტივობა ნაწილობრივ ამითაც აიხსნება: „კრედიტორების" მიზანია აღნიშნულ ხელშეკრულებით გამოწვეულ შთაბეჭდილების და მისი შედეგების გაქარწყლება.

მაგრამ ამას ისინი ვერ მოახერხებენ. პირიქით, ამერიკელ კაპიტალისტების ნაბიჯი ევროპიელ „კრედიტორებს" მიუთითებს იმ ერთად ერთ გზაზე, რომელიც მათ უნდა აირჩიონ ჩვენთან დამოკიდებულებაში. ამაოდ ცდილობს „ფრანკფურტერ ცეიტუნგ"-ი ჩრდილი მიაყენოს ამერიკის ელექტრო კომპანიასთან დადებულ შეთანხმებას და ამით გაამართლოს გერმანელ ბანკირების პრეტენზიები. ეს შეთანხმება საბჭოთა კავშირის მხრით ძველ ვალდებულებების ცნობას შეიცავსო. რა თქმა უნდა, ეს ოდნავადაც არ შეეფერება სინამდვილეს. ამერიკის ელექტროკომპანიამ გადაჭრით აიღო ხელი ძველ ვალდებულებების განაღდების უიმედო მოთხოვნაზე და ამის მაგივრად ამჯობინა საბჭოთა კავშირთან აღებ-მიცემობის გაფართოვება და ამისათვის საჭირო კრედიტების გახსნა.

არა ნაკლებ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ელექტრონული კომპანიის შეთანხმება „ამტორგ"-თან დადებულია ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დასტურით, როგორც ამერიკული პრესა იუწყება. კელოგის სამინისტრო წინააღმდეგი არ არის, რომ ამერიკელმა კომპანიებმა საბჭოთა კავშირს გრძელვადიანი კრედიტები მისცენ. ეს უეჭველად მნიშვნელოვანი გარდატეხაა ამერიკის საგარეო პოლიტიკაში, მის დამოკიდებულებაში საბჭოთა კავშირისადმი. როგორც ვიცით, დღემდე სწორედ ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო ყოველნაირად აფერხებდა ჩვენთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას. მაგრამ მდგომარეობა იცვლება. ამერიკისათვის სულ უფრო მწვავედ დგება გასაღების ბაზრების საკითხი. ამასთან იზრდება წინააღმდეგობა ამერიკა-ინგლისს შორის. აქედან — ჩვენ ვხედავთ ამერიკა-საბჭოთა კავშირის დაახლოვების პირველ ნიშნებს. ამერიკის საქმიანი წრეები ბოლო დროს უფრო დაბეჯითებით აყენებენ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხს, ვინაიდან მხარეთა შორის პოლიტიკურ ურთიერთობის აღდგენა დიდათ შეუწყობს ხელს მათ ეკონომიურ თანამშრომლობის გაშლას. რა თქმა უნდა, ამერიკის მიერ საბჭოთა კავშირის იურიდიულ ცნობაზე ჯერჯერობით ნაადრევია ლაპარაკი, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ამერიკას ჩვენს ცნობას უკარნახებს ეკონომიური აუცილებლობა, რომელსაც ბოლოს და ბოლოს არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს.

გ. კ—ლი.

ა. ლ. კ. კ. ათი წლის თავი

ახალგაზრდათა ლენინურ კომკავშირის ათი წლის თავის გამო

(1918 წ.—ოქტომბერი—1928 წ.)

მუშათა ახალგაზრდობის ორგანიზაციები ყოფილი რუსეთის იმპერიის — დღევანდელი ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის—ტერიტორიაზე გაჩნდნენ 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის პირველ დღეებშივე და განსაკუთრებით დიდი ოქტომბრის შემდეგ. „ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირად“ ეს ორგანიზაციები ჩამოყალიბდნენ 1918 წლის 29 ოქტომბერს პირველ ყრილობაზე. შემდეგში ამ კავშირმა მიიღო პროლეტარული რევოლუციის დიდი ბელადის დაუვიწყარ ამხანაგ ლენინის სახელი.

ლენინი 1920 წელს ასე ახასიათებდა მას:

„კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი უნდა იყოს დამკვრელი ჯგუფი, რომელიც ყოველგვარ მუშაობას უნდა უწევდეს დახმარებას, ყველგან უნდა იჩენდეს თავის ინიციატივას“.

გაამართლა თუ არა ან ამართლებს თუ არა ის ამას თავისი არსებობის მთელი ათი წლის მანძილზე და დღეს?

თუ დავაკვირდებით ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის განვითარებისა და მუშაობის ყველა ეტაპს ყველა მის ორგანიზაციაში—ჩრდილოეთშიაც—ლენინგრადი, მოსკოვი და სხვ.,—შორეულ აღმოსავლეთშიაც, უკრაინაშიაც, ბელორუსიაშიაც და მრავალი ერით დასახლებულ ჩვენს ამიერ-კავკასიაშიაც, კერძოდ საქართველოში,—შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მან სავსებით გაამართლა და ამართლებს მასზე დაკისრებულ დიდ და ძნელ ამოცანებს.

ლენინურმა კომკავშირმა, — ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთმა სახელოვანმა და მებრძოლმა სექციამ, რომელმაც გადალახა უდიდესი სიძნელენი და ყოველგვარი დაბრკოლებანი, დაამტკიცა და ამტკიცებს, რომ ის მოწინავე რაზმია როგორც სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ქალაქში და სოფლად, ისე, რა თქმა უნდა, კულტურული რევოლუციის ფრონტზედაც, რომლის წარმატების გარეშე ჩვენ ვერ დავამყარებთ სოციალიზმს. ამ მუშაობაში ლენინური კომკავშირი ავრცელებს თავის გავლენას მშრომელთა ყველა მასებზე.

მართალია, კომკავშირის მუშაობაში, ისე, როგორც პარტიის მუშაობაში, ჯერ კიდევ ადგილი აქვს მრავალ დიდ ნაკლს, შეცდომას და გადამახინჯებას, განსაკუთრებით ამჟამად, როდესაც ჩვენს დიად საბჭოთა ქვეყანაში ადგილი აქვს მრავალ სპეციალურ ობიექტიურ დაბრკოლებას, რომელიც აპარატის ზოგიერთ წვერებშიც კი იწვევს მერყეობას და ქანაობას.

მაგრამ ცალკე ავადმყოფურ გაწყობილებებს ჩვენ დავსძლევთ, კოლექტიური და ერთსულოვანი მუშაობით აღმოვფხვრით მათ.

ლენინურმა კომკავშირმა დახმარება უნდა გაუწიოს პარტიას როგორც ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების გასამხედროების საქმეში დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად, ისე ისეთი უდიდესი ამოცანების გადაჭრის საქმეში, როგორიცაა: მრეწველობის და საბჭოთა ხელისუფლების აპარატების სოციალისტური რაციონალიზაცია, სოფლის მეურნეობის განვითარება, მისი ინდუსტრიალიზაცია ახალ ტექნიკურ საფუძველზე — მრეწველობასთან ერთად, მიწათმოქმედების ახალი წესების შემოღება, ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობებში მარცვლეული და სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდება, მსხვილი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების შექმნა და მათში ტექნიკისა და მეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა გამოყენება, აგრეთვე ძველი, დახავსებული ყოფა-ცხოვრების ნაცვლად შექმნა ახალი სოციალისტური ყოფა-ცხოვრებისა, რომელიც უნდა იქნეს მომავალი უკლასო და უსახელმწიფო, ნათელი და ძმური, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების — კომუნისტური საზოგადოების დამახასიათებელი თვისება.

ჩვენი საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) ლენინური კომკავშირის მეშვეობით ამოცანად ისახავს მშრომელი ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმას ახალი ქვეყნის მშენებლობაში.

ლენინი ბევრჯერ ამბობდა: „სწორედ ახალგაზრდობას დაეკისრება კომუნისტური საზოგადოების შექმნის ნამდვილი ამოცანა“.

ჩვენი მტრები სცდილობენ ჩამოაშორონ ახალგაზრდობა ამ დიად საქმეს. ბურჟუაზია ნეპმანების სახით ქალაქებში და კულაკების სახით სოფლად, დაკავშირებული საერთაშორისო კაპიტალთან და მის ლაქიებთან — მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალის კონტრრევოლუციონურ სოციალ-დემოკრატ მენშევიკებთან, აგრეთვე ყოველგვარი „ცოცხალი“ და მკვდარი რელიგიების შავბნელ მსახურებთან—ცდილობს აღზარდოს ახალგაზრდობა კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმისათვის სამსახურის პრინციპებზე.

თუ იმპერიალისტები ისევ შეეცდებიან აღმართონ თავიანთი იარაღი პროლეტარიატის დიქტატურის პირველი ქვეყნის — მუშურ-გლეხური საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ,—ჩვენი ორმილიონიანი ლენინური კომკავშირი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის მრავალმილიონიან მასებთან ერთად, მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის აშკარა და აქტიური თანაგრძნობით და ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცებით, ახალგაზრდათა კომინტერნის ხელმძღვანელობით და რევოლუციის უზენაესი ხელმძღვანელის — კომპარტიის (კომინტერნისა და მისი სახელოვანი სექციის — ჩვენი საკავშირო კომპარტიის სახით) მოწოდებით — შესძლებს ოქტომბრის დიად მონაპოვართა დაცვას. ხოლო განსაზღვრული საერთაშორისო რევოლუციონური სიტუაციის პირობებში ჩვენი ლენინური კომკავშირი შესძლებს თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდეს, რათა დაეხმაროს მებრძოლ საერთაშორისო პროლეტარიატს და ჩინეთის, ინდოეთის და სხვა კოლონიებისა და ნახევრად კოლონიების მებრძოლ მრავალმილიონიან რევოლუციონურ მასებს, რომლებსაც დღეს ასე სასტიკად სჩაგრავს მომაკვდავი კაპიტალიზმი და მტაცებლური იმპერიალიზმი.

ლენინური კომკავშირი იბრძოლებს იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს კაპიტალიზმის ბატონობას და მთელ დედამიწის ზურგზე გაიმარჯვოს მსოფლიო პროლეტარულმა კომუნისტურმა რევოლუციამ, კომუნიზმმა.

ვუსურვოთ ჩვენს სახელოვან შემცვლელს—ლენინურ კომკავშირს, მეორე ათწლეულშიაც მტკიცედ იდგეს ლენინურ გზაზე და ერთნაირად უკუაგდოს ყოველგვარი გადახრა—როგორც ტროცკისტული („მემარცხენე“), ისე, განსაკუთრებით (დღეს აშკარა ოპორტუნისტული — მემარჯვენე გადახრა.

გაუმარჯოს ახალგაზრდათა კომინტერნს, გაუმარჯოს მის სახელოვან სექციას — საკავშირო ლენინურ კომკავშირს რევოლუციის და სოციალიზმის მშენებლობის დიად პოსტზე!

მიხა ცხაკაია.

ათი წელი

ლენინური კომკავშირი—შემცვლელი თაობაა ბოლშევიკ-ლენინელებისა, რომელნიც იბრძვიან სრული სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად საბჭოთა კავშირში და მსოფლიო სოციალისტური რევოლუციისათვის.

სოციალიზმის მშენებლობა საბჭოთა კავშირში მარტო სამეურნეო ამოცანა კი არა, კულტურული ამოცანაც არის. ბრძოლა სოციალისტური ელემენტების გამარჯვებისათვის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ბრძოლა ახალი სოციალისტური კულტურისათვის მშრომელთა უფართოესი მასების კულტურისათვის, ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის, ბრძოლა ძველი ყოფა-ცხოვრების წინააღმდეგ, ყალბი რელიგიური შეხედულებების წინააღმდეგ, ლოთობის, დაუდევრობის, გულგრილობის, საქმის აბუჩად აგდების წინააღმდეგ, ბრძოლა საკუთარი თავის სრული განთავისუფლებისათვის ყოველგვარი ძველი ბურჟუაზიული და მეშჩანური ჩვეულებებისაგან, ძველი ადამიანის ყველა ცუდი თვისებებისაგან, ბრძოლა თავისი თავის სოციალისტური ხელახალი აღზრდისათვის—აი ძირითადი გზები სოციალიზმისაკენ.

ტექნიკური და სპეციალური ცოდნით შეიარაღება, პლიუს პოლიტიკური სწავლა-მეცადინეობა,—აი, მთავარი საშუალებანი, რომლებიც აადვილებენ ძლევამოსილ მსვლელობას სოციალისტური მშენებლობის გზით.

მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, რევოლუციის გამარჯვება კაპიტალისტურ ქვეყნებში,— კოლონიებში და ნახევარ კოლონიებში მარტო ამ ქვეყნების პროლეტარებისა და ჩაგრულ-დევნილთა საქმე კი არ არის, არამედ საბჭოთა კავშირის გამარჯვებული პროლეტარიატის საქმეც არის, გამარჯვებული კომუნისტური პარტიის (ბ) და მისი სახელოვანი შემცვლელის—ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის საქმეც.

საკუთარი თავისა და მთელი მშრომელი ახალგაზრდობის აღზრდა მებრძოლი კომუნიზმისა და რევოლუციონური ინტერნაციონალიზმის მიმართულებით—უზრუნველჰყოფს ლენინური კავშირის ბრძოლას მსოფლიო სოციალისტური რევოლუციისათვს.

ჩვენმა სახელოვანმა ახალმა თაობამ ფეხი უნდა შესდგას თავის არსებობის მეორე ათწლეულში იმ ამოცანების სრული შეგნებით, რომლებიც მოითხოვენ ბრძოლას სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა კავშირში, ბრძოლას ახალი სოციალისტური კულტურისათვის, ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის, ახალი ადამიანისათვის, ტექნიკისათვის, პოლიტმეცადინეობისათვის, მსოფლიო სოციალისტური რევოლუციისათვის, მან ფეხი უნდა შესდგას რკინისებური მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ეს ამოცანები შესრულებული იქნება. გულწრფელად ვუსურვებთ მას გამარჯვებას ამ სახელო ბრძოლის გზაზე!.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: ს. მამულია.

მზადება თავდაცვისათვის

ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის მიმართვა

საბჭოთა კავშირის ლენინურ კომკავშირისადმი

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. ამხანაგებო! ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი მხურვალე რევოლუციონურ სალამს უძღვნის საბჭოთა კავშირის ლენინურ კომკავშირს მისი 10 წლის იუბილეს გამო. კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდა კომუნისტები ამაყად შეჰყურებენ იმ თავდადებულ და გამოცდილ თანამებრძოლთ, რომელნიც იბრძვიან პირველ მუშურ-გლეხურ რესპუბლიკაში. ახალგაზრდათა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას ახსოვს ის ურიცხვი ახალგაზრდა კომუნარები, რომელმაც თავისი სიცოცხლე შესწირეს პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას. საბჭოთა კავშირის კომკავშირი წარმოიშვა და აღიზარდა პროლეტარული რევოლუციის ცეცხლში და მისი გმირული წარსული არასოდეს არ მოშორდება პროლეტარული განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიის ფურცლებს. ამ წყაროდან კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი ახალგაზრდობა მუდამ შეიმატებს ახალ სიმხნევეს და ახალ გამოცდილებას მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ისეთივე აღფრთოვანებით, როგორც სამოქალაქო ომის წლებში, საბჭოთა კავშირის კომკავშირი განაგრძობს თავის მუშაობას სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. ქალაქში და სოფლად, მაღაროებში და ქარხნებში, საბჭოებში, სკოლებში, არმიაში და ფლოტში კომკავშირელთა მრავალრიცხოვან არმიას თავისი წილი შეაქვს სოციალისტური მეურნეობისა და ახალი კულტურის მშენებლობაში მთელ მსოფლიოს ჩაგრულთა ერთად-ერთ სამშობლოს განსამტკიცებლად და დასაცავად.

ახალგაზრდათა ლენინ. კომკავშირი თავისი ისტორიული გამოცდილების წყალობით, რომელიც მან მიიღო პროლეტარული ბრძოლის ყველა საფეხურზე—კაპიტალიზმის დამხობიდან და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებიდან სოციალიზმის მშენებლობამდე იქცა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ხელმძღვანელ ორგანიზაციად და გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად ყველა ქვეყნის მშრომელი ახალგაზრდობისათვის. ახალგაზრდათა კომუნისტურმა ინტერნაციონალმა იცის, რომ ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირი ყოველთვის დასაყრდენი იქნება საკავშირო კომუნისტური პარტიისათვის, ის მომავალშიც შეურყევლად, მიუხედავად ყოველივე დაბრკოლებათა, გასწევს სოციალიზმისაკენ ლენინის მიერ ნაჩვენებ გზით. ახალგაზრდათა კომუნისტურმა ინტერნაციონალმა იცის, რომ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტურ კავშირში საერთაშორისო მუშათა კლასი და მისი ახალგაზრდობა დაინახავს მსოფლიო რევოლუციის ერთ-ერთ საუკეთესო რაზმს. ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი არწმუნებს საბჭოთა კავშირის ყველა ნორჩ კომუნისტს, რომ კაპიტალისტური ქვეყნების მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა აწარმოებს ამჟამად და მომავალშიაც კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობასთან ერთად დაუღალავ ბრძოლას კაპიტალიზმის ბატონობის დასამხობად და იმპერიალისტების მიერ საბჭოთა კავშირის მიმართ ახალი ომისა და თავდასხმის მზადების წინააღმდეგ, ომს, რომელსაც იმპერიალისტები და მათი დამქაშები სოციალ-დემოკრატები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მთელი ქვეყნის მშრომელები გადააქცევენ სამოქალაქო ომად, რომელიც დაჩაგრულ კაცობრიობას გაანთავისუფლებს კაპიტალიზმის უღლისაგან.

გაუმარჯოს სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტურ კავშირს! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას!

გაუმარჯოს ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას!

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი.

კომკავშირის შაბათობა სკოლის დასახმარებლად

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის და საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციონურ საბჭოს მიმართვა

მუშურ-გლეხური წითელი არმიის წითელარმიელთა, მეთაურთა და პოლიტიკურ შემადგენლობისადმი

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. წითელდროშოვანი საკავშირო ლენინური კომკავშირი, თავისი არსებობის ათი წლის თავთან და ოქტომბრის რევოლუციის მეთერთმეტე წლის თავთან დაკავშირებით, 27 ოქტომბრიდან 14 ნოემბრამდე აწარებს კომკავშირის საკავშირო შაბათობას სკოლის დასახმარებლად. სამოქალაქო ომის წლებში ლენინური კომკავშირი მუშათა კლასის პირველ რიგებში იდგა და თავისი გულმკერდით იცავდა ოქტომბრის მონაპოვარს მემამულეთა და კაპიტალისტების შეიარაღებული ბანდებისაგან. ასეთივე ენთუზიაზმითა და ენერგიით გამოდის იგი დღეს სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე ჩამორჩენილობის, უმეცრების, წერა-კითხვის უცოდინრობის, სიბნელისა და უკულტურობის წინააღმდეგ. ეს ახალი ფრონტი, კულტურული რევოლუციისათვის ბრძოლა, მხურვალე გამოძახილს პოულობს წითელი არმიის რიგებში. წითელ არმიელებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა მშვენივრად იციან, რომ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის საერთო კულტურული დონის აწევით, მხოლოდ საერთო ცოდნის გავრცელებით ახალგაზრდობაში, მხოლოდ საბჭოთა სკოლის საუკეთესოდ დაყენებით შეიძლება უზრუნველვყოთ წითელი არმიის შევსება ისეთი ელემენტებით, რომლებიც საუკეთესოდ შეეგუებიან მაღალ დონეზე დაყენებულ სამხედრო საქმისა და სამხედრო ტექნიკის შესწავლის დროს. ამიტომ კომკავშირის მოწოდებამ სკოლისათვის, სახალხო განათლების საქმისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ მხურვალე გამოძახილი უნდა ჰპოვოს და აუცილებლად ჰპოვებს კიდეც წითელი არმიის მთელ საზოგადოებრიობაში. როგორც შეიარაღებული ბრძოლის ფრონტებზე კომკავშირი შედიოდა წითელი არმიის რიგებში და სიმხნევეს და გამარჯვების რწმენას უნერგავდა მას, ისე კულტურული რევოლუციისათვის წარმოებული მედგარი ბრძოლის ფრონტზე წითელი არმია მთელი თავისი ძალღონით უნდა დაეხმაროს კომკავშირს. სამხედრო რევოლუციონური საბჭო დარწმუნებულია, რომ წითელარმიელთა და მეთაურთა შემადგენლობაში არ აღმოჩნდება არც ერთი კაცი, რომელმაც პირადად არ მიიღოს აქტიური მონაწილეობა კომკავშირის საკავშირო შაბათობაში. ეს პირადი მონაწილეობა უნდა გამოიხატოს, უმთავრესად, საბჭოთა სკოლისათვის რეალური დახმარების აღმოჩენაში. შაბათობის დროს მუშაობა, დამტვრეული და ნარჩენი მასალის შეგროვება, სკოლების შეკეთებასა და მოწყობაში მონაწილეობის მიღება, სპეციალურ ნაწილებში სკოლების სასარგებლოდ სხვადასხვა მუშაობის გამართვა, თანხების შეგროვება და სხვადასხვა—აი ის ფორმები, რომლებშიაც უნდა გამოიხატოს ჩვენი აქტივობა. კიდევ უფრო უნდა შევეცადოთ საბჭოთა მოწყობის წითელი არმიის მონაწილეობით საშეფო სკოლების შესაკეთებლად—მათში სამხედრო კუთხეების მოსაწყობად, რითაც ნამდვილ დახმარებას მიიღებენ მოჯამაგირეებისა და ღარიბი გლეხების შვილები და ამასთან ერთად ფართოდ გავრცელდება ელემენტარული სამხედრო ცოდნა. საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციონური საბჭო მოუწოდებს წითელი არმიის მთელ შემადგენლობას მონაწილეობა მიიღოს საკავშირო შაბათობაში, სამხედრო-რევოლუციონური საბჭო დარწმუნებულია, რომ წითელარმიელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები დაიჭერენ ადგილს საბჭოთა კულტურული შრომის სკოლისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

სამხედრო - საზღვაო სახალხო კომისარის და სამხედრო-რევოლუციონურ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე უნშლიხტი.

კომკავშირელები წარმოებაში.

ლენინის თაობის ახალ გვარდიას

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის სახელით გულმხურვალედ ვესალმებით **ლენინური კომკავშირის** სახელოვან ათი წლის თავს.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი უკანასკნელ წლებში დიდ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალად იქცა.

ლენინური კომკავშირის როლი და მნიშვნელობა სოციალისტური მშენებლობის საქმეში წლითი-წლობით იზრდება. კომკავშირი იწყებს თავის არსებობის მეორე ათწლეულს სოციალისტური მშენებლობის ახალ საფეხურზე, როდესაც მუშათა კლასს უდიდესი სიძნელეების დაძლევა სჭირდება. **ჩვენს ქვეყანაში არსებობს ყველა საჭირო პირობა ამ სიძნელეთა დასაძლევად, სრული სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად.**

სოციალისტური მშენებლობის სიძნელენი, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ჩვენს ქვეყანაში აუცილებლად იწვევენ წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის მოძალებას მუშათა კლასზე და მის პარტიაზე, ჰქმნიან ცალკე ელემენტების მერყეობას ჩვენი პარტიისა და კომკავშირის შიგნით, ლენინიზმისაგან დაშორებას, რწმენის უქონლობას სოციალისტური მშენებლობისადმი, ლიკვიდატორულ უკუქცევას ბურჟუაზიული ელემენტების შემოტევის გამო. აქედან წარმოიშვა ჩვენი პარტიიდან გატყორცნილი კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმი, რომლის ნაშთებთანაც პარტია და კომკავშირი ულმობელ ბრძოლას განაგრძობენ. აქედანვე წარმოიშვენ აშკარა ოპორტუნისტული ელემენტები მემარჯვენე ლიკვიდატორებისა, რომელიც მოითხოვს ლენინური პოზიციებიდან უკან დახევას, ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელებას, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე ხელის აღებას, კულაკთან და ნეპმანთან ბრძოლის შენელებას, ახალი ეკონომიური პოლიტიკის გაფართოებას და სხვა.

ნილაბჩამოგლეჯილი კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის შემდეგ ეს მემარჯვენე გადახრა მთავარ საფრთხეს წარმოადგენს საკავშირო კომპარტიისა (ბ) და კომკავშირისათვის. ამავე დროს პარტიაში არიან ცალკე პირები, რომლებიც შეუწყნარებელ ლმობიერ დამოკიდულებას იჩენენ მემარჯვენე გადახრისადმი, შერიგებისათვის არიან განწყობილნი მისდამი, რითაც კალთას აფარებენ მემარჯვენე საფრთხეს და ობიექტიურად ხელს უწყობენ მის ზრდას. დღევანდელ პერიოდში პარტიის ძირითად, უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ტროცკიზმის აღორძინების ცდასთან ბრძოლის შეუნელებლად,—გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება მემარჯვენე გადახრისა და მისდამი შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიისა და საქართველოს პირობებში ამ მემარჯვენე საფრთხეს ერთვის ნაციონალიზმისა და შოვინიზმის საფრთხე. კლასობრივი ბრძოლის დროს აუცილებელია ბრძოლის გამწვავება იდეოლოგიურ ფრონტზე—ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოცოცხლება და, მეტადრე, ჩვენს პირობებში, ნაციონალისტური ტენდენციების გაძლიერება. ნაციონალისტურ-შოვინისტური იდეოლოგიის ზემოქმედება ჩვენი პარტიის მერყევ ელემენტებზე ჰქმნის ნაციონალისტურ სულიერ განწყობილებას ჩვენი პარტიისა და კომკავშირის განსაზღვრულ ნაწილში. **გადამწყვეტი ბრძოლა ნაციონალიზმის აღორძინების ცდის წინააღმდეგ—პარტიისა და კომკავშირის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.**

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ამოცანები, ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა,—შეუძლებელია უიმისოდ, რომ მთელი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში უაღრესად აქტიური მონაწილეობა არ მიიღონ მუშათა კლასის, ღარიბი გლეხობის, მოჯამაგირეებისა და მშრომელი გლეხობის უფართოესმა მასებმა. **მასების ჩაბმა ამ მშენებლობაში, მათი დარაზმვა პარტიის მორიგი ამოცანების გარშემო, მუშურ-საბჭოთა დემოკრატიის და თვითკრიტიკის უაღრესად თამამი და გაბედული განვითარება—პარტიისა და კომკავშირის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.**

კომკავშირის წინაშე სდგას აგრეთვე კავშირის შიგნით მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები: კომკავშირელთა მასის თვითმოქმედებისა და აქტივობის განვითარება, ახალგაზრდობის პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლება, გადაჭრით გადასვლა მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე კომკავშირის მე—8 ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

თავისი უფროსი თანამოძმე ხელმძღვანელისა და ბელადის—კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინის კომკავშრი მისი არსებობის განმავლობაში ერთგულად და ფხიზლად იდგა მებრძოლი ლენინიზმის სადარაჯოზე, ენერგიულად და თამამად იბრძოდა ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული გადახრის წინააღმდეგ, ტროცკიზმის, ნაციონალიზმის და უკლონიზმის წინააღმდეგ.

პარტიის თბილისის კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ ლენინური კომკავშირი თავისი არსებობის ათი წლის თავზე, საკავშირო კომპარტიის (ბ) დროშის ქვეშ კიდევ უფრო მეტად შეამჭიდროებს თავის რიგებს პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის, ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე გადამწყვეტი შეტევისათვის, საკავშირო კომპარტიის (ბ) და კომკავშირის ლენინური მთლიანობისათვის—მემარჯვენე გადახრისა და მისდამი შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ, ტროცკისტული ოპოზიციის ნამსხვრევების წინააღმდეგ და ნაციონალ-შოვინიზმის წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის სახელით ლენინურ კომკავშირს და მის სახელოვან რაზმს—საქართველოს კომკავშირის თბილისის ორგანიზაციას გულმხურვალედ ვუსურვებთ ამ გზაზე წარმატებასა და გამარჯვებას.

გაუმარჯოს ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტური კავშირის ათი წლის თავს.

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას (ბ).

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი: **ლ. სუხიშვილი.**

საკავშირო ლენინურ ცეკას მოწოდება

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. კომკავშირის ათი წლის თავის გამო საკავშირო ლენინური კომკავშირის ცეკამ მოწოდებით მიმართა ყველა კომკავშირელს და მთელს მშრომელ ახალგაზრდობას. მოწოდებაში, სხვათა შორის ნათქვამია:

„ბევრი ჩვენგანი გაიზარდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის წლებში. ჩვენ ვსარგებლობთ ოქტომბერში მოპოებული უფლებებით და არც კი გვახსოვს სხვა საზოგადოებრივი წყობილება. ჩვენ მოვედით, როცა პროლეტარიატი გამარჯვებული იყო. ჩვენთვის რევოლუცია—ყოფა-ცხოვრებაა, სოციალიზმის მშენებლობა—ყოველდღიური მუშაობა“.

მოწოდება ეხება კომკავშირის განვითარების ისტორიას, კომკავშირის მონაწილეობას სამოქალაქო ომში და ამბობს:

„ახალგაზრდობის კომინტერნის შენება, ფრონტები, სახურსათო გაწყვეტა, ბრძოლა ანარქიასთან და შიმშილთან—აი იმ წლების გმირული ბრძოლის ამბები, რომელთაც აღზარდეს რუსეთის კომკავშირი, გააკეთეს მისი ნებისყოფა, გახადეს ის საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობის შემადგენელ ნაწილად.

კომკავშირი იზრდება სოციალისტური მშენებლობის ყოველ დარგში, იძენს ახალ გამოცდილებებს, იპყრობს ახალგაზრდობის ახალ-ახალ ფენებს. ამჟამად იგი თავის რიგებში აერთიანებს ორივე სქესის 2 მილიონ ახალგაზრდას.

ამჟამად, თვალს ვავლებთ რა ათი წლის განმავლობაში განვლილ გზას, ჩვენ ვეუბნებით ჩვენს თავს: „ჩვენ შესისხლხორცებულნი ვართ კლასთან და პარტიასთან. ჩვენ, ბოლშევიკური ოჯახის ახალი და ძველი თაობა, შეკავშირებულნი ვართ საერთო მიზნით“.

კომკავშირელთა გმირობა და თავდადება სამოქალაქო ომის ფრონტებზე აღნიშნულა რესპუბლიკის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი—წითელი დროშის ორდენით. ჩვენ ვალდებულნი ვართ მოვიპოვოთ მეორე ორდენი შრომისა და კულტურის ფრონტზე ბრძოლისათვის.

ამხ. მილჩაკოვი — საკავშირო კომკავშირის ცეკას მდივანი

დღეს ჩვენ ჩაბმულნი ვართ მშენებლობასა და გასუფთავებაში. გვაქვს ნავთი, ვასუფთავებთ ნიადაგს ჯირკვებისა და ძირებისაგან წარსული სამეურნეო წყობილების უვარგის ნაშთებისაგან. მეურნეობას ვაშენებთ ახალ საფუძველზე. ძლევამოსილ შეტევას ვაწარმოებთ ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ. ვდევნით მათ წარმოებიდან, ბაზრიდან და სასოფლო მეურნეობიდან. ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სექტორის შეტევით შევიწროვებული კლასობრივი მტრები უკანასკნელ ძალ ღონეს იკრებენ, რომ დაიცვან თავი. მათ გადასწყვიტეს კონტრშეტევაზე გადმოსვლა. 1927—28 სამეურნეო წელს მათ მოაწყვეს ნამდვილი გაფიცვა პურის დამზადების კამპანიის ჩასაშლელად. ისინი ცდილობენ გამოიყენონ რეკონსტრუქციის სიძნელენი, საქონლის სიმცირე, მერყეობა და ქანაობა პროლეტარიატისა და მისი პარტიის შიგნით. ისინი ცდილობენ მიიმხრონ საშუალო გლეხ და თვით პროლეტარიატის ჩამორჩენილი ფენებიც. მათ უნდა შეაფერხონ და ჩაშალონ სოციალისტური მშენებლობის სწრაფი ტემპი.

კულაკები, ნეპმანები, დამზიანებლები, ბიუროკრატები ცდილობენ დაარღვიონ მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან და გააღვივონ ნაციონალური შუღლი საბჭოთა კავშირის ერებს შორის. იერიში მათ მოაქვთ ახალგაზრდობაზე. მათი ანგარიში მარტივი და ადვილად გასაგებია. „ახალგაზრდობას არა ჰქონია საქმე არც ფაბრიკის პატრონთან, არც მემამულესთან, ახალგაზრდობას არ უბრძოლნია მენშევიკების, ესერების და ნაციონალისტ-შოვინისტების წინააღმდეგ. ის უფრო ადვილად მოსტყუვდება“. და კლასობრივი მტრები ცდილობენ გამოიყენონ გარდამავალი პერიოდის სიძნელენი და წინააღმდეგობანი. მათ უნდათ სულიერად განაიარაღონ პროლეტარიატის მოზარდი თაობა, მოადუნონ მისი კუნთები, წყალი შეურიონ მის სისხლში, მაგარი კბილების ნაცვლად მისცენ ხელოვნური კბილები უვნებელი ვეგეტარიანული საჭმელისთვის, დაუბნელონ გონება ლაყბობით სიტყვის, პარტიების და პიროვნების თავისუფლების შესახებ.

პროლეტარიატის მოზარდი თაობა ვალდებულია შექმნას ფართო თეორეტიული მოძრაობა ახალგაზრდობის შორის, აღზარდოს ახალგაზრდობა შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის პრინციპებზე და შეაიარაღოს ის მარქსიზმის რევოლუციონური თეორიით. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გატარება, მძლავრი მრეწველობის შექმნა, მოსავლიანობის გადიდება და მიწათმოქმედებისათვის ახალი ტექნიკური ბაზისის შექმნა, გლეხთა მასების კოოპერაციაში გაერთიანება, წვრილ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანება მსხვილ კოლექტივებში, საბჭოთა მეურნეობების განვითარება, ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვა და დაძლევა, პროლეტარიატის და ღარიბი და საშუალო გლეხობის კავშირის განმტკიცება, რევოლუციონური ტალღის ახალი აზვირთების ენერგიული მზადება დასავლეთში და აღმოსავლეთში, „ისეთი საზოგადოებრივი წყობილების შექმნა, რომელიც უზრუნველჰყოფს ადამიანის ბუნებაში ჩანერგულ ყველა შესაძლებლობის მაქსიმალურ განვითარებას“ (მარქსი),—აი რა დაგვაკისრა ჩვენ ისტორიამ, აი რით უნდა დავეხმაროთ ჩვენ პარტიას.

თვითეული ჩვენთაგანი ვალდებულია შეეკითხოს თავის თავს: რას ვაკეთებ მე ამ დიდ ამოცანების განხორციელებისათვის, რით ვეხმარები მე პროლეტარული რევოლუციის საქმეს?

ჩვენი ახალი მშენებლობა არის კლასობრივი ბრძოლა. ყოველდღიურ მუშაობაში ფაბრიკებსა და დაწესებულებებში, აღმშენებლობის ყოველ დარგში ხდება შეჯიბრება ძველ და ახალ სამეურნეო წყობილებებს შორის, ჩვენი მეურნეობის საბჭოთა და კაპიტალისტურ ელემენტებს შორის. ჩვენ უნდა გავადიდოთ ახალი სოციალისტური მეურნეობის ნაყოფი, უნდა „მოვსპოთ უვარგისი და ხელი შევუწყოთ ყოველსავე კარგს“. ჩვენ უნდა დავეხმაროთ პარტიას პროლეტარიატის თვით აღზრდის საქმეში, მშრომელი გლეხობის კლასის გათვითცნობიერებასა და გარდაქმნაში.

თვით ჩვენგან, მშრომელი ახალგაზრდობის მთელი მოზარდი თაობისაგან ჩვენ უნდა აღვზარდოთ სხვაგვარი ადამიანები, უნდა შევქმნათ სხვაგვარი დამოკიდებულება შრომისა მშენებლობისადმი. ჩვენ უნდა ავაშენოთ სოციალიზმი, ჩვენ უნდა აღვზარდოთ ჩვენი თავი ნამდვილ კომუნისტებად“.

მოწოდება მიმართავს წარმოებაში მომუშავე კომკავშირლებს და ამბობს:

ყოველი, მრუდე ქანჩი, ყოველი გაფუჭებული ფეხსაცმელი, გაფუჭებული ქსოვილის ყოველი მეტრი—არის უნაყოფოდ დაღვრილი მუშის ოფლი, წყალში გადაყრილი მუშათა სახელმწიფოს ფული. გლეხობას უნდა მივაწოდოთ კარგი და იაფფასიანი საქონელი. თუ დაზგას შეუძლია ორჯერ მეტი დაამზადოს, თუ მკვეთელს შეუძლია ორჯერ მეტი გამოკვეთოს, მაშინ არ უნდა მისცე უფლება დაზგას გაზარალოს შენ და აზარალოს სახელმწიფო.

სოფლის კომკავშირელნო, ახალგაზრდა გლეხებო, ახალგაზრდა მოჯამაგირენო!

აიძულეთ მიწა—მოგცეთ ერთი ორად ნაყოფიერი მოსავალი, გააერთიანეთ გლეხთა მეურნეობები კოლექტივებში, განამტკიცეთ საერთო შეთანხმებული შრომა საერთო მიწაზე. პარტიის ხელმძღვანელობით, აგრონომების, მიწის მზომელთა და მელიორატორთა დახმარებით კომკავშირმა უნდა გამოაცოცხლოს სოფელი, აგროპროპაგანდის საშუალებით უნდა გააფართოვოს იდეური აღზრდა წვრილ-პრიმიტიულ მეურნეობათა წინააღმდეგ, კულაკების თვითნებობის წინააღმდეგ, წვრილ მესაკუთრის ჩამორჩენილობის წინააღმდეგ.

ნაციონალური რესპუბლიკების და განაპირა ოლქების მშრომელო ახალგაზრდობავ! კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხელისუფლება და კომკავშირი მოწოდებულნი არიან წაშალონ სამარცხვინო ზღვარი სხვადასხვა ეროვნებების მშრომელთა შორის, განავითარონ კულტურა ადგილობრივ მშობლიურ ენებზე, განავითარონ მეურნეობის გაძღოლის ტექნიკა, გარდაქმნან ჩამორჩენილ ეროვნებათა დახავსებული ყოფა-ცხოვრება. ნაციონალური სკოლა ჯერ კიდევ ხშირად მოლების და შოვინისტების ხელშია, რომელნიც რელიგიური ზღაპრებით და ნაციონალური ცრუმორწმუნეობით უმეცრების ბურუსში ხვევენ ხალხს. ნაციონალური რესპუბლიკების და განაპირა კუთხეების მშრომელი ახალგაზრდობა საბჭოთა ხელისუფლების საიმედო დასაყრდენი უნდა გახდეს ჩამორჩენილ ეროვნებებს შორის სოციალიზმის და საბჭოთა კულტურის მშენებლობის საქმეში.

კანტორების და დახლების ახალგაზრდა მოსამსახურე-კომკავშირელნო!

მძიმე, მოუქნელი და ძვირია ჩვენი აპარატი. საჭიროა დაუზოგავი ბრძოლა საქმის გაჭიანურების და ხელგაშლილობის წინააღმდეგ. საჭიროა დაწესებულებების ყველა თანამშრომელი გადაიქცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის აგენტად.

სკოლების დასახმარებლად კომკავშირი აწყობს ოქტომბრის შაბათობას. კომკავშირი მოგიწოდებთ თქვენ, ახალგაზრდა მუშებს, გლეხებს, მოსამსახურეებს და მოსწავლეებს, ქვეყნის ყველა მშრომელს კულტურულ ლაშქრობისაკენ სიბინძურის, ლოთობის, წერა-კითხვის უცოდინარობის, უმეცრების წინააღმდეგ, მოგიწოდებთ კულტურული რევოლუციის განვითარებისაკენ უგზო, უკულტურო, ჩამორჩენილ რუსეთში, რომელიც გახდა მსოფლიოში პირველი მუშათა რესპუბლიკა. ჩვენ თვალები უნდა აუხილოთ 20 მილიონ წერა-კითხვის უცოდინარს. 150 მილიონ კაცს ჩვენ უნდა ვასწავლოთ ცხოვრება უფრო სუფთად, კულტურულად და უკეთ.

მშრომელო ახალგაზრდობავ, წითელ არმიელებო, წითელ ფლოტელებო, პროლეტარული რევოლუციის მედროშენო! როგორც არ უნდა კინკლაობდნენ ერთმანეთში კაპიტალისტები, ჩვენ მათ ყველას ერთნაირად ვეჯავრებით. ჩვენს წინააღმდეგ ყველა ისინი გაერთიანდებიან, როგორც კი ამისი შესაძლებლობა მიეცემათ. ტექნიკურად ბურჟუაზია ჩვენზე ბევრჯერ უფრო ძლიერია, მაგრამ მას თავისი არმიის იმედი არა აქვს. კაპიტალისტური ქვეყნების რევოლუციონური ახალგაზრდობა წავა არმიაში იმისათვს, რომ შეაბრუნოს იარაღი თავისი საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. როცა პარტია მოსახლეობას მიმართავს მოწოდებით, რომ „სამშობლო განსაცდელშია“, ჩვენში თოფით ხელში გამოვლენ მილიონები, რათა დაიცვან მთელი ქვეყნის მშრომელთა სოციალისტური სამშობლო.

ჩვენ სოციალიზმს ვაშენებთ მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილში, ხოლო ხუთი მეექვსედი იმპერიალიზმის უღელ ქვეშ რჩება. ჩვენ დავეხმარებით ჩინელ კულის და გერმანის მელითონეებს თუ დავამზადებთ კაპიტალისტებზე უფრო კარგ და იაფ ფასიან საქონელს, თუ დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობებს გავაერთიანებთ მძლავრ კოლექტივებში. წერაქვის ყოველი დარტყმა, ყოველი ახალი ადლი ჩითი, ყოველი წიგნი, ყოველი ქარხანა, ყოველი ახალი კოლმეურნეობა—არის ჩვენი კლასობრივი სიძულვილის გამოხატულება, დახმარება აღმოსავლეთის და დასავლეთის მშრომელებისათვის, პროლეტარული რევოლუციის მომავალი ძლევამოსილი რაზმებისათვის მაგარი ზურგის შექმნა, მომავალი კლასობრივი ბრძოლებისათვის მარაგის დამზადება. სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის პროცესში ჩვენ არ დავივიწყებთ პროლეტარული რევოლუციის დიად ამოცანებს, რომელნიც ისტორიამ დაგვაკისრა ჩვენს თაობას.

კომკავშირის ათი წლის თავზე, ვიგონებთ რა წარსულს, ჩვენ გაბედულათ ვიძლევით აღთქმას, რომ არ დავსთმობთ მსოფლიო ოქტომბერს არც ყოველდღიურ მუშაობაში და არც ბარიკადებზე“. (ადს).

საქართველოს პროფსაბჭოს მისალმება

ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის არსებობის ათი წლის თავზე საქართველოს პროფსაბჭო გიძღვნით მხურვალე პროლეტარულ სალამს.

ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი თავის ირგვლივ აერთიანებდა მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილს, ენთუზიაზმისა და მუშათა კლასის ინტერესების ერთგულების მაგალითს უჩვენებდა მას, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოციალიზმის მშენებლობის სიძნელეთა დაძლევაში ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილ ქვეყანაში და ამაყად ატარებდა ლენინის სახელსა და დროშას. იგი ყოველთვის მტკიცე და ენერგიული ნაბიჯით მიდიოდა ლენინის გზით, მას ერთი წუთითაც არ გადაუხვევია ამ გზიდან და არ გაუმრუდებია იგი.

ლენინური კომკავშირი მუშაობდა საკავშირო კომპარტიის იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობით და ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მუშათა კლასის რევოლუციონურ ავანგარდს—კომუნისტურ პარტიას. იგი ყოველთვის წარმოადგენდა პროლეტარიატის დიქტატურის უმტკიცეს დასაყრდენს და განსაკუთრებით აქტიურად ატარებდა ლენინის იდეებს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის მასებში.

როგორც ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის საუკეთესო სექცია, საბჭოთა კავშირის კომკავშირი წარმოადგენდა იმ შუქმფენ ჩირაღდანს, რომელიც გზას უნათებდა მთელ მსოფლიოს რევოლუციონურ ახალგაზრდობას.

საქართველოს პროფკავშირები, რომლებშიაც 25.000-მდე ახალგაზრდა ირიცხება, კომკავშირთან ხელჩაკიდებულნი ანხორციელებდნენ მათ წინაშე მდგომ ძირითად ამოცანებს. ამ მძიმე მუშაობაში კომკავშირი უშუალო დახმარებას უწევდა მათ. ამ დარგში მიღწეული წარმატებანი კერძოდ შრომის დისციპლინის განმტკიცება და შრომის ნაყოფიერების აწევა, მასებში თვითკრიტიკის განვითარება, ბიუროკრატიზმთან და პროტექციონიზმთან წარმატებით ბრძოლა, მუშათა მასების კულტუროსნობის ზრდა და საქართველოს პროფკავშირთა მუშაობის მრავალ სხვა დარგში მიღწეული დადებითი შედეგები—ყოველივე ეს საგრძნობლად აიხსნება კომკავშირის დახმარებით. კავშირის შემდგომი გაძლიერება პროფკავშირებსა და კომკავშირს შორის უზრუნველჰყოფს იმ უაღრესად რთულ და საძნელო ამოცანების გადაჭრას, რომლებიც დგანან ამ ორგანიზაციების წინაშე.

გაუმარჯოს ახალგაზრდათა ლენინურ კომკავშირს!

გაუმარჯოს მის იდეურ ხელმძღვანელს—საკავშირო კომპარტიას!

გაუმარჯოს ახალგაზრდათა კომინტერნს!

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი.

პროფკავშირების სამხედრო ლაშქრობა

ამხ. ალაფუზოს ლაშქრობის შესახებ

(საუბარი კავკ. წითელ-დროშ. არმიის შტაბის უფროსთან და ლაშქრობის მთავარ ხელმძღვანელთან ამხ. ალაფუზოსთან)

პროფკავშირების სამხედრო ლაშქრობას აქვს უდიდესი პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობა. ეს ლაშქრობა საუკეთესო დამამტკიცებელია იმისა, რომ კავშირებში გაერთიანებული მშრომელთა მასა პოლიტიკურად სავსებით მომზადებულია და ფხიზლად სდგას სოციალისტური მშენებლობის სადარაჯოზე.

ლაშქრობის ჩატარება მოწმობს იმას, რომ მშრომელები სერიოზულად ეპყრობიან გასამხედროების საქმეს, გრძნობენ, რომ საჭიროა სამხედრო საქმის შესწავლა და თანამედროვე სამხედრო ტექნიკის საფუძვლიანად გაცნობა.

პროფკავშირების სურვილი საფუძვლიანად შეისწავლონ სამხედრო საქმე და ლაშქრობას დროს გაეცნონ ყველა იმ პირობებს, რომლებშიაც უხდებათ მეცადინეობა წითელ არმიელებს, საუკეთესოდ ამტკიცებს იმას, რომ წითელი არმია საბჭოთა კავშირის დაცვის საქმეში არ არის მარტო, არამედ საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე მტკიცედ სდგანან მშრომელთა ფართო მასები, რომლებიც მზად არიან საჭირო დროს შეუერთდენ წითელ არმიას ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

ჩვენ, უწევთ რა ანგარიშს პროფკავშირების წევრების მოთხოვნილებას, ლაშქრობას ვატარებთ ჩვენი საბრძოლო წესდებების თანამედროვე მოთხოვნილებების მიხედვით და ვღებთ ზომებს, რომ მოლაშქრენი დაწვრილებით გაეცნონ ლაშქრობის ყოველ ეტაპს.

ლაშქრობის დროს დაცული იქნება სამხედრო რეჟიმი და ყურადღება მიექცევა იმას, რომ ყოველივე განკარგულება გატარებულ იქნეს ცხოვრებაში. დარწმუნებული ვარ, რომ პროფკავშირების წევრები დასძლევენ ყოველივე სიძნელეს და გამოიჩენენ სიმტკიცეს და ამტანობას.

კავკასიის წითელ-დროშ. არმიის სარდლობა დარწმუნებულია, რომ დღევანდელი ლაშქრობა არ იქნება მარტო ერთი ეპიზოდი პროფკავშირების გასამხედროების საქმეში, არამედ იგი იქნება ერთი რგოლი პროფკავშირების სისტემატიურ და გეგმიან სამხედრო მუშაობაში.

პროფკავშირ. სამხედრო მუშაობის შემოწმება

(საუბარი ამხ. მაჩაიძესთან)

საქ. პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. მაჩაიძემ ლაშქრობის მნიშვნელობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი განუცხადა:

პროფკავშირები აწარმოებენ გაცხოველებულ მუშაობას გასამხედროების დარგში. არსებობს სამხედრო ცოდნის წრეები, ეწყობა შეჯიბრებები სროლაში, ტირების საშუალებით მუშათა მასა სწავლობს სასროლო საქმეს.

პროფკავშირები პირველად ამ თვენახევრის წინ შეუდგნენ სამხედრო საქმის პრაქტიკულად გაცნობას. მელითონეთა და საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირებმა ჩაატარეს სამხედრო ლაშქრობა, რომელმაც ამ კავშირების წევრებს შესძინა დიდი გამოცდილება სამხედრო საქმეში.

დღეს სამხედრო ლაშქრობა ტარდება ფართოდ, ლაშქრობაში მონაწილეობას იღებს 20 კავშირი, მონაწილეთა რიცხვი უდრის 4.200 კაცს.

პროფსაბჭო უაღრესად დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს ამ ლაშქრობას.

ლაშქრობის საშუალებით თბილისის მუშათა კლასი გაეცნობა ბრძოლის წარმოებას. ლაშქრობის დროს ყველა მონაწილე ნათლად დაინახავს, თუ რა პირობებში იწარმოებს თანამედროვე ომი, ბრძოლის რა საშუალებები იქნება გამოყენებული მომავალში.

იმედია, რომ პროფკავშირის წევრები სარგებლიანად გამოიყენებენ დღევანდელ ლაშქრობას და მომავალში გააღრმავებენ და განამტკიცებენ ლაშქრობის დროს შეძენილ ცოდნას.

იმ შემთხვევაში, თუ მტერი შეეცდება გამოილაშქროს ჩვენს წინააღმდეგ, საქართველოს მუშათა კლასს დაეკისრება უდიდესი მოვალეობა — საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრების დაცვა.

პროფკავშირის წევრები წითელ არმიასთან ერთად—წითელი მეთაურების ხელმძღვანელობით — ღირსეულად შეასრულებენ თავის მოვალეობას და იარაღით ხელში დაიცავენ თავის სოციალისტურ სამშობლოს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საბჭოთა დროშა

„წითლების“ რაზმის პოლიტხელმძღვანელობის ორგანო.

№ 1. კვირა, 28 ოქტომბერი, 1928 წ. № 1.

„წითლების“ რაზმის გაზეთი ლაშქრობაზე

ლაშქრობის წესრიგი

პროფკავშირების სამხედრო ლაშქრობა დაიწყება დღეს, დილის 6 საათსა და 30 წუთზე.

„წითლები“ თავს იყრიან „დინამოს“ მოედანზე და ა.-კ. ქვეითი სკოლის ეზოში, სადაც ხდება ლეგიონების შედგენა და დანაწილება ერთეულებათ. ქვეითი ლეგიონებს აქვე შეუერთდება არტილერია, ცხენოსანი და ტექნიკური ნაწილები. შემდეგ „წითლებ“ ლეგიონები გამგზავრებიან ღრმაღელესაკენ, საიდანაც დაიწყება „საომარი მოქმედება“.

„ლურჯები“ თავს იყრიან ავლაბარში, მე-6 ქართ. მსრ. ლეგიონის ეზოში. აქ ხდება ლეგიონის შედგენა, რის შემდეგ ლეგიონი, შევსებული არტილერიით და ტექნიკური ნაწილებით, წავა ნავთლუღისკენ სალაშქროდ გასამგზავრებლად.

„ლურჯების“ და „წითლების“ ლეგიონებს საჭირო ინსტრუქციები და დავალებები მიეცემა წინასწარ. მებრძოლებთან ჩატარებული იქნება საუბრები შეხვედრითი ბრძოლის, სალაშქრო მოძრაობის და ბრძოლის სხვადასხვა ეტაპების ირგვლივ.

სალაშქრო მოძრაობის დროს მოსალოდნელია ავიაციის „თავდასხმა“ და „შეტაკება“ პარტიზანებთან. ამიტომ რაზმები მიიღებენ ყველა საჭირო ზომებს დაცვით.

ლაშქრობის დროს იწარმოებს პოლიტიკური ხასიათის მუშაობა. ლეგიონებში ჩამოყალიბებულ იქნება პარტ და კომკავშირის უჯრედები, მოეწყობა პარტკრებები და საუბრები.

მთელი ლაშქრობა დაყოფილია რამდენიმე ეტაპათ, როგორიც არის სალაშქრო მოძრაობა, პარტიზანული ბრძოლა, თავდაცვა ავიაციისაგან, დაახლოება, შეტაკება და იერიში.

ყოველ ცალკე მოქმედების შესრულების შემდეგ, მოეწყობა ჩატარებულ მეცადინეობის გარჩევა, იმის გამოსარკვევად, თუ როგორ იქნა შესრულებული მეთაურების და მებრძოლების მიერ მიცემული ამოცანა.

ლაშქრობის მთავარი ხელმძღვანელი აპარატი მოთავსებული იქნება ძეძვის მთაზე, საიდანაც რადიო-ტელეფონის საშუალებით გადაცემული იქნება ბრძანებები და განკარგულებები.

ძეძვის მთიდან შესაძლებელი იქნება თვალყურის დევნება „ბრძოლის“ ყველაზე საინტერესო მომენტებისათვის. სტუმრები თავს მოიყრიან ამ მთაზე. ძეძვის მთამდე მისვლა შეიძლება ლენინის უბნიდან (ნაძალადევიდან). იმ მოქალაქეებს, რომლებსაც სურთ გამგზავრება „წითლების“ მხარისაკენ, უნდა მოიყარონ თავი ა.-კ. ქვეითი სკოლის ეზოში დილის 9 საათამდე, „ლურჯების“ მხარისაკენ გამგზავრების მსურველნი თავს იყრიან მე-6 ქართ. მსრ. ლეგიონთან (ავლაბარში). აქ სტუმრებს მიეცემა საჭირო დარიგებები, თუ რა გზით შეიძლება მგზავრობა.

ლაშქრობა დამთავრდება ნაშუადღევის 6 საათზე.

ღონისძიებანი საცდელ-სამეურნეო სადგურების მუშაობის გასაუმჯობესებლად

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის საცდელ-სამეცნიერო განყოფილების გამგემ ა. კაკაბაძემ საქართველოში საცდელ სადგურების მუშაობის შესახებ შემდეგი აცნობა ჩვენს თანამშრომელს:

საქართველოში არსებულ საცდელ-სამეცნიერო სადგურები დღემდე ვერ არიან სათანადოდ მოწყობილი. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად მიწადმოქმედების კომისარიატმა უკვე მიიღო შესაფერი ზომები და ამჟამად სადგურების გასაფართოებლად სწარმოებს შემდეგი მუშაობა:

კახეთის საცდელ სადგურებთან შენდება სარდაფი ღვინის გადასამუშავებლად და შესანახად. იქვე ეწყობა ბინები მუშა-მოსამსახურეებისათვის და სათბური. ამ უკანასკნელში ყოველწლიურად დამზადებული იქნება 25000 ცალი ამერიკული ვაზის ნამყენი.

სწარმოებს ყარაიის სადგურის მუშა-მოსამსახურეების ბინების შეკეთება-გაფართოება, იქვე შენდება სასელექციო სადგური და შენობა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესანახათ.

სწარმოებს აგრეთვე აჯამეთის სასოფლო-სამეურნეო სადგურის ყველა შენობების კაპიტალური შეკეთება. სადგურებთან წელს მოეწყობა სასოფლო-სამეურნეო კაბინეტი და ლაბორატორია. ამავე სადგურთან ეწყობა ჯიშიან ღორების მოსაშენებელი სადგური, ჯიშიან ქათმების მოსაშენებელი ამერიკული ტიპის საქათმე, 3 ბეღელი, მუშა-საქონლის სადგომი და სხვ.

გარდა ამისა ყველა სადგურებისათვის სპეციალისტების მონაწილეობით ადგილობრივ სწარმოებს საცდელ-სამეცნიერო სადგურებას მუშაობის ახალი პროგრამების შედგენა და სადგურების შტატის გადასინჯვა.

სადგურების მუშაობის გასაცხოველებლად მიწადმოქმედების კომისარიატმა გადასწყვიტა მეზობელ რესპუბლიკებიდან მოიწვიოს გამოჩენილი სპეციალისტები.

მიწადმოქმედების კომისარიატმა აგრეთვე გადასწყვიტა საცდელ-სადგურების მუშაკები გაგზავნოს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სამეცნიერო დაწესებულებებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

გარდა ამისა ახალი მუშაკების მომზადების მიზნით წელს სტაჟიორები ხანგრძლივ მუშაობისათვის გაგზავნილი იქნებიან ადგილობრივ საცდელ სადგურებში სათანადო ხელფასის მიცემით. სასოფლო-სამეურნეო საცდელ სადგურების მუშაკთა გასაერთიანებლად და მათი შესაფერი მუდმივ ხელმძღვანელობის გასაწევად თბილისში არსდება ექსპერიმენტალურ აგრონომიის ინსტიტუტი. გარდა ამისა განზრახულია თბილისში მოეწყოს სუბტროპიკულ მცენარეების საკავშირო ინსტიტუტი, რისთვისაც ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკება საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან და სხვა ორგანიზაციებთან.

მიწადმოქმედების კომისარიატმა უცხოეთიდან მიიღო სამეცნიერო-საცდელ სადგურებას ლაბორატორიების და კაბინეტების ახალი მოწყობილობანი, რომელიც ამ დღეებში იქნება განაწილებული სადგურებს შორის.

საგლეხო სესხის ტირაჟის შედეგები

ვაგარშაპატიდან დაბრუნდა ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალუტო სამმართველოს უფროსი ამხ. **ა. საფარიანი,** რომელიც დანიშნული იყო გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მე-17 სერიის მეორე ტირაჟის სატირაჟო კომისიის თავმჯდომარეთ. ტირაჟის შესახებ ამხ. საფარიანმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

რაიონული ტირაჟების ძირითად მიზანს შეადგენს გლეხობისათვის ფართო განმარტების მიცემა ჩვენი სახელმწიფო სესხების მიზნებისა და ამოცანების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მიმდინარე კამპანიის (ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის) გატარებას სოფელში.

ვაგარშაპატის (ეჩმიაძინის) ტირაჟს დაესწრო 10.000-ზე მეტი გლეხი, რომლებიც თავისი თვალით გაეცნენ ტირაჟის ტექნიკას და დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება პირნათლად ასრულებს თავის თავზე მიღებულ ვალდებულებებს. ტირაჟის დროს გზადაგზა ჩატარებულ საუბრებში გლეხობა კიდევ უფრო ახლო ეცნობოდა ჩვენი სესხის მიზნებს და სარგებლიანობას. ტირაჟი ჩატარდა წითელი არმიის კლუბში, რომელიც მოთავსებულია ამავე არმიის სადგომში.

დელეგატი გლეხები თავის ბინაზე მიიწვია წითელმა არმიამ და თავისუფალ დროს დელეგატები ატარებდენ წითელ არმიელებთან საუბარში. ამასთანავე დელეგატების კვება თავის-თავზე მიიღო წითელმა არმიამ. ყველა ამ გარემოებებმა გლეხობა ერთხელ კიდევ დაარწმუნა, რომ წითელი არმია არის მუშებისა და გლეხების უახლოესი მეგობარი და მათი საარსებო ინტერესების მედგარი დამცველი.

ტირაჟის დროს განთავისუფლებული იქნა სამსახურიდან არმიელების ნაწილი, რომლებსაც დამთავრებული ჰქონდათ სამსახურის ვადა. ეს არმიელები უახლოეს მონაწილეობას ღებულობდნენ მოგებათა გათამაშებაში და ეცნობოდნენ ჩვენს სახელმწიფო კრედიტის სისტემას.

ტირაჟის დასასრულს გამართულ საზეიმო სხდომაზე დელეგატმა გლეხებმა და შევსებულმა წითელარმიელებმა აღნიშნეს, რომ სახლში დაბრუნების შემდეგ მთელი ენერგიით შეუდგებიან ჩვენი სესხების პოპულარიზაციას და ხელს შეუწყობენ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციას ფართოთ გაშლას ჩვენს სოფლებში.

გლეხკომების მუშაობა

სოც.-უზრუნველყოფის კომისარიატის ცნობით გასულ სამეურნეო წელში საქართველოში არსებობდა სულ 785 სასოფლო და სამაზრო გლეხკომი. რომლებშიაც გაერთიანებული იყო 113.000 კომლი.

გლეხკომების შემოსავალი გასულ წელს უდრიდა 425.000 მანეთს, გასავალი —325.000 მანეთს. ამავე ხნის განმავლობაში გლეხკომებმა ულარიბეს გლეხებს დახმარების სახით დაურიგა 45.000 მანეთი, სესხად — 90.000 მანეთი. გარდა ამისა გლეხკომებმა უღარიბეს გლეხებისათვის უფასო საექიმო დახმარების გასაწევად და სხვადასხვა წარმოებების მოსაწყობათ გაიღო 65.000 მანეთი, ხოლო კოოპერატივებში წევრებად ჩასაწერად— 6000 მ. გლეხკომებმა თავიანთ რაიონებში შეაკეთეს სკოლები და გაიყვანეს გზები, რაზედაც დაახარჯა 26.000 მანეთი.

გლეხკომები დახმარებას უწევდნენ აგრეთვე წითელ-არმიელთა ოჯახებს და ქვრივ-ობლებს: აძლევდენ ფულად დახმარებას თავიანთი საშუალებით უხნავდენ მიწებს და სხვა.

ამჟამად გლეხკომებს მთელ საქართველოში აქვთ 160 საკუთარი წარმოება, როგორიცაა ხე-ტყის ქარხნები, სახარაზოები, წისქვილები, აგურხანები და სხვ. გარდა წარმოებებისა გლეხკომებს აქვს 900 დესეტინა ვენახი, ბაღები, ყანები და სხვ.

გლეხკომები გარდა თავიანთ წევრების დახმარებისა, აწარმოებდენ კულტურულ მუშაობას გლეხებში, მონაწილეობას ღებულობდნენ თესვის კამპანიებში და სხვ.

გლეხკომების მუშაობის გასაცხოველებლად სოც.-უზრუნველყოფის კომისარიატმა შეიმუშავა 5 წლიანი გეგმა და პრაქტიკული ღონისძიებები.

ახლო ხანში მოწვეული იქნება სრულიად საქართველოს გლეხკომების ყრილობა, რომელიც განიხილავს როგორც მიმდინარე წლის, ისე მუშაობის 5 წლიან გეგმას.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

სად იყრება წყალში საბჭოთა კაპეიკები

(სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის ბიურო)

როგორც უკვე ცნობილია, კარგა ხანია დაწყებულია მოსამზადებელი მუშაობა უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის. გამოკვლევები დაიწყო 1926 წლიდან. ახალ სამუშაოს სახელმძღვანელოდ ა. კ. რკ. გზ. სამმართველომ შექმნა „უღელტეხილის უბნის ელექტროფიკაციის ბიურო".

ამასთან დაკავშირებით საჭიროა მოვიხსენიოთ ზოგიერთი სპეციალისტების მადაგახსნილობა ამ ბიუროში. პირველყოვლისა შტატი და ამ შტატის ჯამაგირები.

სამუშაოთა უფროსს თვეში ეძლევა 180 მან. ალბად, მკითხველი იტყვის, აქ რა არის გასაკვირი. მაგრამ მთავარი ისაა, რომ მას ეს ჯამაგირი ეძლევა 1-2 საათის მუშაობაში. დანარჩენ დროს უფროსი ანდომებს თავის უშუალო თანამდებობის ასრულებას. ის ერთ და იმავე დროს ითვლება რკ. გზ. სამმართველოს საგეგმო ნაწილის უფროსად.

ამრიგად ის მეტად მცირე დროს უთმობს ელექტროფიკაციაზე მუშაობას, რის გამოც ხშირად საქმე ბრკოლდება.

სამუშაოთა უფროსს ჰყავს ორი თანაშემწე, თითოს 500 მან. ეძლევა თვეში. ტექნიკურ ნაწილის ჯამაგირებს არ შევეხები, მხოლოდ ვიტყვი, რომ იქაც დიდი ჯამაგირებია. საანგარიშო სამასალო ნაწილის უფროსს 250 მანეთი ეძლევა, ძის თანაშემწეს იმდენივე, სამ მოანგარიშეს თითოს 195 მან., მეარტელეს 150. საერთო ნაწილის უფროსს 180 მან. საქმის მწარმოებელს 150 მან, 2 კანტორის მოხელეს და 2 მემანქანეს თითოს 75 მან.

ბიუროს საერთო განყოფილებებში საჭიროა რეორგანიზაციის გატარება და საანგარიშო საქმეში დეცენტრალიზაციის შეტანა. სამუშაოთა უფროსს უნდა ჰყავდეს მცირე შტატი, უნდა გაიაფდეს და გამარტივდეს აპარატი. ამის შესაძლებლობა აქ, უთუოდ, არის. მიზანშეწონილი იქნება სამუშაოთა უფროსის ერთი თანაშემწის მოხსნა. საქმის მწარმოებლის და მეარტელეს თანამდებობათა გაუქმება, რადგან რაიონებში ფულის დარიგება შესაძლებელია მცირე ჯილდოს გაღებით, ადგილობრივ ორგანოების საშუალებით. ზედმეტია ერთი კანტორის მოხელეც.

შესაძლებელია აგრეთვე საქმის გამარტივება საანგარიშო ნაწილშიც. ამისათვის, როგორც უკვე ვთქვით, უნდა მოხდეს საქმის დეცენტრალიზაცია. საფინანსო ანგარიშწარმოება და მასალის აღრიცხვა-მომარაგება უნდა გადაეცეს გზათა სამმართველოს საფინანსო სამასალო განყ. ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება, ჩვენ მოგვცემს თვიურათ სულ მცირე რომ ვთქვათ, 2.000 მან. მომჭირნეობას. საქმეც ამით უფრო მოიგებს.

რა სახის მუშაობას აწარმოებს ელექტროფიკაციის ბიურო? ესაა: 1) ელექტრო-გადამცემ ხაზის გამოკვლევა, რომელიც უკვე მოთავებულია, 2) ელექტრო გადამცემ ხაზის დაგეგმვა, 3) ელექტრო-გადამცემ ხაზზე ანძების დადგმა, 4) საცხოვრებელ ბინების აშენება და სხვა.

ეს სამუშაოები სწარმოებს ზაჰესიდან რიონჰესამდე. როგორც ვიცით, გადამცემი ელექტროდენის სადგურები უნდა აშენდეს ხაშურსა და ზესტაფონში. ხოლო გორსა და მოლითში კი — ქვე-სადგურები.

ინტერესს მოკლებული არ იქნება წარსულ მუშაობის გაცნობა. ელექტრო-გადამცემ ხაზის გამოკვლევებს და დაგეგმვას ახლდა მრავალი დეფექტები. პროექტები ხშირად იცვლებოდა, ანძების ნიშნები ცუდათ იყო დასმული, ნიადაგი ვერ იყო შერჩეული, უკვე გაყვანილი ხაზი უარყოფილ იქნა, როგორც მიუღებელი და სხვა.

მეორე სახის მუშაობაა კანტორების დროებით შენობების და საცხოვრებელ ბინების აშენება, გზატკეცილების გაყვანა და სხვა. ეს მუაშობა სწარმოებდა ხაშურსა, ზესტაფონსა, გორსა და მოლითში. საქმეს 1927 წლის ივნისის თვიდან ხელმძღვანელად მიჩენილი ყვანა და სხვა. ეს მუშაობა სწარმოებმათ გაბერილი კანტორის შტატით და ტექნიკური პერსონალით.

1927 წლის ნოემბრის თვემდის ჩაეყარა საფუძველი ორ-ორ საცხოვრებელ შენობას: ხაშურში ოთხ-ოთხ ბინიანებს და ზესტაფონში ექვს-ექვს ბინიანებს. აშენდა 4-4 ოთახით კანტორების დროებითი შენობები, გაკეთდა ხე-ტყის მასალისათვის ფარდულები, საწყობები და სხვა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ყველა ამ მუშაობას ასრულებდა თავისუფლად ერთი რაიონის უფროსი, ისიც სამუშაო სეზონში, მხოლოდ უკვე ზამთრის პერიოდში, ე. ი. 10 ნოემბრიდან სამუშაოთა უფროსის განკარგულებით ერთი რაიონი გაყოფილ იქნა ორ რაიონად. 1-ლი რაიონი ხაშურის და მეორე — ზესტაფონის. ამან გამოიწვია მეორე რაიონისთვის სრულიად ახალი შტატის შექმნის აუცილებლობა, რაც თვიურად ჯდება 2.000 მანეთზე მეტი.

რა საჭირო იყო ორი რაიონი, როდესაც ერთისთვისაც არაფერი ყოფილა გასაკეთებელი? მაგალითად, მოვიყვან 1928 წ. თებერვლის თვის გასავალს, რაც 6.000 მანეთს უდრის. აქედან მხოლოდ შტატის შენახვაზე იხარჯებოდა 2.450 მან. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა დაწყებული 1927 წლის ნოემბრიდან 1928 წლის აპრილის თვემდე. ამრიგად 5 თვის განმავლობაში უშედეგოთ წყალში გადაყრილია 12.500 მანეთი.

განა ეს უყაირათობის ბრალი არ არის?

მე ვფიქრობ შესაძლებელია და აუცილებელიც არის ხელოვნურად გაყოფილ რაიონების გაერთიანება.

ამასთან ერთად საჭიროა სამუშაოთა უფროსმა მიაქციოს ყურადღება ჯამაგირების შემცირებას ტექნიკური პერსონალის და ადმინისტრაციისათვის. აქაური ჯამაგირები მან უნდა გაუთანასწოროს რკინის გზის სხვა დარგებს. უნდა უარყოფილ იქნას აგრეთვე პერსონალური ხელფასი, რომელიც უკმაყოფილობას იწვევს.

დასასრულ უნდა აღვნიშნო ადმინისტრატიულ-საკანცელარიო ხარჯების 20 პროც. შემცირების საქმე, რომლის მოსაგვარებლადაც თითიც არ არის განძრეული ამ დაწესებულებაში.

ყურადღების ღირსია მივლინებებიც. მაგალითად ავიღოთ 1-ლი რაიონის სამივლინებო თანხა. მარტო 9 თვის განმავლობაში დახარჯულია 2111 მან. 43 კაპ., ამას მიუმატოთ მეორე რაიონი, რომელსაც საერთოდ ძალზე ახასიათებს ხელგაშლილობა. შემდეგ აიღეთ ცენტრალურ ბიუროს მივლინების ხარჯებიც.

განა ეს ცოტა თანხას შეადგენს?

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ დაუდევრობის შემდეგი საგულისხმო ფაქტი. 1-ლ რაიონის საცხოვრებელი ბინების № 3 და 4 უგეგმოთ მშენებლობა. იყო მხოლოდ სქემატიური გეგმა, ისე კი სახლები ტელეფონების საშუალებით აშენდა. დეტალური ნახაზები არ ყოფილა, რამაც გამოიწვია ზემო სართულის ჩამონგრევა.

№ 1 და № 3 სახლის კედლები დამსკდარია მკვიდრ ნიადაგზე საფუძვლის დაუყვანლობის გამო. სამი თვის განმავლობაში მეურმეებზე, შენობებისათვის წყლის მოსატანათ, გაცემულია ზედმეტი 1.500 მანეთი.

ამ თანხისათვის რომ უმნიშვნელო თანხა დაგვემატებია, წყალსადენს გამოვიყვანდით ნავთსაქაჩავიდან. მომავალში ხომ მაინც დასჭირდება წყალსადენი ამ შენობებს?

განა ყველა ის, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, დაუდევრობა, ხელგაშლილობა, სახელმწიფო ქონების ბოროტად გამოყენება არ არის? ნუ თუ დრო არ არის მივხვდეთ, რომ საჭიროა საბჭოთა კაპეიკების დაზოგვა. თუ სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის ბიურო ამას თვითონ ვერ გრძნობს. საჭიროა შესაფერი შთაგონება. რაც მალე მოხდება ეს, მით უკეთესია საქმისათვის და სახალხო სალაროსათვის.

ი. ტატიშვილი.

უსარგებლოდ დაკარგული 20.000 მანეთი

მიწსახკომის ცხენთაშენის განყოფილებამ ამ რამდენიმე ხნის წინად მოიწვია გამოჩენილი „სპეციალისტი" მ. ხუსკივაძე, რომელსაც თვეში 275 მანეთი დაუნიშნა. განყოფილება აღნიშნულ სპეცზე დიდ იმედებს ამყარებდა, როგორც დავალებულ საქმის მცოდნე პირზე. მაგრამ ეს იმედები მან ვერ გაამართლა.

საქმის ვითარება იწყება 1928 წ. 29 მარტიდან. მოქ. ხუსკივაძე ამ დღეს სდებს ხელშეკრულებას, რომლის თანახმად იგზავნება მოსკოვში ცხენთა გამოცდებზე მონაწილეობის მისაღებად.. ხელშეკრულებაში გარკვევით აღნიშნულია შემდეგი: „ამხ. მ. ხუსკივაძეს, დღიდან მისი მივლინებისა, ეძლევა თვიურად ჯამაგირი სამასი (300) მანეთი, მივლინების და დღიურების მაგიერ 275 მანეთი და ბინის 150 მანეთი, სულ თვეში 725 მანეთი (ე. ი. 7 თვე ნახევარში 5.435 მანეთი. ფ. უ.) და 6 პროცენტი გამოცდებში მიღებულ ჯილდოს ჯამაგირიდან, როგორც მწვრთნელს".

შეიძლება მკითხველს ეგონოს, რომ ხუსკივაძე მართლაც დიდი სპეციალისტია. ეს სრულებითაც არ არის ასე. ხუსკივაძის უვარგისობას ადასტურებს მისივე ორი მოხსენება, რომელიც მან ცხენთაშენის განყოფილების სახელზე გამოგზავნა.

მოსკოვში ჩასვლის შემდეგ ხუსკივაძის მიერ გამოგზავნილ პირველ მოხსენებაში ნათქვამია: „მოგახსენებთ, რომ ჩემდამი რწმუნებულ თავლაში თითქმის ყველაფერი რიგზეა. დაბრკოლებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სამმა ცხენმა: ბუნებამ, გუდაურმა და ოქრომ მძიმედ დაიჟეჟეს ვაგონში უკანა ფეხები. თუმცა დიდ გაუმჯობესებას აქვს ადგილი, მაგრამ ცოტას მაინც წაიკოჭლებენ. მიღებულია ყოველივე ზომები და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყოველივე დაბრკოლება გადალახული იქნება".

როგორც ხედავთ, პირველ მოხსენებაში ლაპარაკია, რომ ცხენებს ფეხები დაუშავდა ვაგონში, მაგრამ ეს მალე გამოსწორდებაო. ამის შემდეგ „სპეცი" ხუსკივაძე განაგრძობს: „დღის მოედანზე გამოვდივართ ყველა იმ თავლებზე უკეთესად, რომლებიც წარმოდგენილია იპოდრომებზე. ცხადია, რომ ყველა ალაპარაკდა საქართველოს ცხენთაშენის მიღწევებზე და, რადგან ამ საქმის სათავეში თქვენ დგეხართ, რასაკვირველია, ეს ქება გეხებათ თქვენ" — სწერს იგი ცხენსაშენის გამგეს.

ალბად ხუსკივაძეს ეს უკანასკნელი სიტყვები ესაჭიროებოდა იმისათვის, რომ მას კიდევ დაეტყუებია ცხენთსაშენის განყოფილებისათვის ავანსი. მართლაც, ცოტა ქვევით ის სწერს: „გთხოვთ გადმოგზავნოთ მოსკოვის ბანკში ჩემს პირად მიმდინარე ანგარიშზე 5.000 მანეთი... საქმის სარგებლობისათვის და იმისათვის, რომ მე თავს საბოლოოდ მაგრად და მტკიცედ ვგრძნობდე, ერთხელ კიდევ გთხოვთ არ დამიგვიანოთ აღნიშნული თანხის გადმოგზავნა".

არ ვიცით, რამდენად მართალი იყო ხუსკივაძის პირველი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს ცხენებმა მოსკოვში საყოველთაო აღტაცება გამოიწვიეს. ოღონდ შედეგი რომ სამარცხვინო აღმოჩნდა, ეს აშკარაა ხუსკივაძის მეორე მოხსენებაში. აქ „სპეცი" ხუსკივაძე უკვე „ასაბუთებს" დამარცხების მიზეზს და წარბსაც არ იხრის იმ ტყუილებისათვის, რომლითაც სავსე იყო პირველი მოხსენება.

ხუსკივაძე სწერს:

—„ჩვენი მგზავრობა მოსკოვში მარცხით დამთავრდა. ეს გამოწვეულია უმთავრესად შემდეგით: პირველი, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი ეს ის, რომ თქვენი ცხენთაშენის ჯიშები ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებას, რომელსაც ჩვენ ამჟამად გვიყენებენ. ძალიან ძნელია, რომ შემთხვევით ცხენებისაგან შედგენილ ცხენთსაშენის ქარხანამ კონკურენცია გაუწიოს ისეთ ქარხნებს, სადაც თავმოყრილია ჯიშიან ცხენების ნალები. აშკარაა, რომ კარგი ყოველთვის დაამარცხებს ცუდს. (ეს აზრი ხუსკივაძეს ნასესხები აქვს ზურგიელიძის სიბრძნის კრებულიდან. ვ. ჟ.). მარცხის მეორე მიზეზი არის ის, რომ ჩვენი ცხენები წამოყვანამდე არ იყო სათანადოთ შესწავლილი".

ყოველივე ამის შემდეგ ისმება საკითხი, ნუ თუ მოქ. ხუსკივაძეს არ შეეძლო თბილისში გაწვრთნის დროს, შეემოწმებია ცხენები, თუ ის მართლაც სპეციალისტია?

გარდა ამისა, როცა ხუსკივაძე მოსკოვში მიემგზავრებოდა, რკინის გზის საბუთები წაიღო ქართულ ენაზე, რამაც გამოიწვია 1.468 მანეთის ზარალი. ამის შესახებ თვითონ „სპეცი" ხუსკივაძე ასე სწერს: „არც თუ ისე კარგად მოეწყო რკინის გზის ტარიფის საქმე. რკინის გზაზე მოსკოვში ჩვენ წარვადგინეთ შეღავათის მოწმობა ქართულ ენაზე. აქ ქართული ენის მცოდნე არ აღმოჩნდა, ტარიფი იანგარიშეს ნორმალურად და აგვაღლიტეს („Содрали") ზედმეტი 1.468 მანეთი".

ხუსკივაძეს უნდა სცოდნოდა, რომ მოსკოვში მრავალი ისეთი დაწესებულებაა, რომელიც ქართულ საბუთს რუსულად გადათარგმნიდა და დაამოწმებდა. მაგრამ თავი არ შეიწუხა. რა ედარდებოდა, საკუთარ ჯიბიდან ხომ არ იხდიდა ფულს.

ხუსკივაძის და 17 ცხენის მოსკოვში გაგზავნა დაჯდა დაახლოებით 20.000 მან. ეს იმ დროს, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტით ცხენთსაშენის განყოფილებას ეძლევა მხოლოდ 55.000 მან.

ნუ გაგიკვირდებათ, თუ ხუსკივაძე მარტო ცხენის საქმეში არაა „სპეციალისტი". ის სპეცია მიკიტნობისაც, ხუსკივაძეს მოსკოვში ქონდა რესტორანი, რომელიც იქაურ ყარაჩოღელ ხალხში დიდ პოპულიარობით სარგებლობდა.

„სპეცი" ხუსკივაძე დროზე უნდა გავანთავისუფლოთ, რომ ცხენთსაშენი გადავარჩინოთ დაღუპვისაგან.

ვ. ჟღენტი.

უმსგავსოებანი კურორტ შოვში

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დასასვენებლად შოვისაკენ გავეშურე. რაჭველი ვარ და ეს კურორტი ჯერ არ მენახა. ყველა მას აქებდა და უფრო მიტომ გადავსწყვიტე იქ წასვლა. ვფიქრობდი: ჯერ ერთი, დავისვენებ შოვში და შემდეგ ვნახავ ჩემს სოფელსაც, სადაც ბავშობის ოქროს ხანა გავატარებია.

შოვისაკენ მიმავალი ამხანაგიც გამოჩნდა და ორივე ქუთაისიდან ავტოთი გავექანეთ.

პანსიონატის საწოლის ფული საკურორტო სამმართველოში გვქონდა გადახდილი, ორდერი ხელში გვეჭირა და პირდაპირ პანსიონატისაკენ გავეშურეთ. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, ისევ უკან დაგვაბრუნეს, რადგან, თურმე, საჭირო იყო ახალმოსულ, პანსიონატში დასაბინავებელ მოაგარაკეთა გასინჯვა. გადმოგვცეს, რომ გადამდებ სნეულებიანს პანსიონატში არ უშვებენ და ექიმის დასკვნა მიტომ იყო საჭირო. ამბულატორიაში ექიმ უშველიძემ საუცხოვოდ მიგვიღო. კარგად გაგვსინჯა, კარგად შეავსო ანკეტა, მოგვცა ოფიციალური ცნობა, თუ რომელ ოთახში უნდა დავბინავებულიყავით. გაუდექით პანსიონატისაკენ.

ლამაზათ მორთულ ოთახში მოვეწყვეთ და ისევ გამოვბრუნდით კურორტისაკენ დასანაყრებლად. ძალზე გვშიოდა, მიუხედავათ იმისა, რომ დილას, გლოლის ხიდთან, ხუთმა კაცმა ერთი ბატკანი შევჭამეთ, კურზალ-სასადილოში სხვა ნაცნობებიც ვნახეთ და სუფრას შემოვუსხედით. მისვლისთანავე შევატყობდით, რომ აქ ყველაფერი რიგზე ვერ იყო. ჩვენ გაგვიკვირდა, რომ საჭმლის მოტანას დააგვიანდა.—ჯერ სად ხართ, ნახევარი საათი კიდევ უნდა მოიცადოთ, რომ დანაჩანგალი და საინები მოგიტანონ,—გვითხრა ერთმა ნაცნობმა, რომელიც შოვში ჩვენს მისვლამდე ერთი თვით ადრე იყო ჩასული. მოაგარაკენი ბევრი არ იყვნენ სასადილოში და რატომ უნდა დაგვიანებოდა საჭმლის მოტანას! ჩქარა გვინდოდა სასადილოდან გარედ გამოსვლა და მშვენიერ შოვის დათვალიერება. ერთ თვეში ამას კი მოვასწრებდით, მაგრამ მაინც ცნობისმოყვარეობა მოსვენებას არ გვაძლევდა.

დანამდვილებით გავიგეთ, რომ სასადილოში საჭმლის მოტანას ყოველთვის ნახევარ საათზე მეტს აგვიანებდნენ. ამას სისტემატიური ხასიათი ჰქონდა და მიტომ იყო, რომ მოაგარაკენი ნერვიულობდნენ, ხშირ-ხშირად საინებს დანებს უკაკუნებდნენ. ჩვენ ახალი მისულები ვიყავით და ცოტა მოთმინება გამოვიჩინეთ. საკვირველი წესი სუფევდა სასადილოში. ჯერ ერთი, ზოგიერთი ხელზე მოსამსახურე სრულებით არ ვარგოდა. ერთხელ რომ შეუკვეთავდი საჭმელს, სამზარეულომდე გასვლამდე ავიწყდებოდა. ჰუკებივით დადიოდნენ. სასტიკად გამეფებული იყო ჩეკების სისტემა, ჩეკების გამოწერა ხელზე მოსამსახურეთ ჰქონდა დაკისრებული, თუმცა სასადილოს გამგეც ყავდა და თანაშემწეც.

წელს შოვის სასადილო საკურორტო სამმართველოს მოეწყო და ის კურორტის დირექტორის მოქ. ალ. სვანიძის (ყოფ. ოფიცერია) უშუალო განკარგულებაში იყო. ეს სასადილო ნამდვილი რკ. გზის ბუფეტებს, ან უკეთ, სამიკიტნოს მოგაგონებდათ, მხოლოდ ერთი განსხვავებით: რკინის გზის ბუფეტებში და სამიკიტნოში შესულ მუშტარს „ბე მოაჩანად" ატყავებენ. შოვის სასადილო კი უგემურად, უშნოთ.

მოქ. ალ. სვანიძეს, კურორტის დეფიციტის დაფარვის მიზნით, ყოველგვარ სურსათ-სანოვაგეზე მონოპოლია გამოუცხადებია, გაუცია განკარგულება, რათა არც ერთ გლეხს არ შემოეტანა კურორტის ტერიტორიაზე სურსათ-სანოვაგე და კონკურენცია არ გაეწია საკურორტო სამმართველოს სასადილოსათვის. სვანიძე რეპრესიებით ემუქრებოდა ყველას, ვინც არ დაემორჩილებოდა ამ განკარგულებას. სვანიძეს უჩივლეთ ბევრჯერ,—ამბობდა ერთი მუშა,—მაგრამ ვერას გავხდით. ხმა ვერ ამოგვიღია, რასაც მოისურვებს, იმას აკეთებს. წელიწადია, მოქ. სვანიძე კურორტ შოვში მუშაობს და როგორც მუშა-მოსამსახურენი, ისე გლეხები მას უკვე ძალზე ემდურიან.

სვანიძის მიერ გამოცხადებულ მონოპოლიის გამო, ძალა-უნებურად კურორტის სასადილოში უნდა მიგვეღოთ საჭმელი. სხვაგან ვერსად წავიდოდით. არც გაიწევდა კაცი სხვაგან საკვებათ, რომ ეს სასადილო ხეირიანად ყოფილიყო მოწყობილი და მას ყოველთვის ქონებოდა სურსათ-სანოვაგე. ხომ მოგეხსენებათ—აგარაკზე მეტი კვება, მეტი სურსათ-სანოვაგეა საჭირო. ამას კი შოვის მოაგარაკენი მეტწილად მოკლებული იყვნენ.

შეიძლებოდა თუ არა სურსათ-სანოვაგის ატანა ონიდან შოვში? ძალიან კარგად. ონში სურსათ-სანოვაგე რამდენიც გნებავთ, იმდენი შემოაქვს ახლო მახლო მდებარე სოფლების გლეხობას. მისი შესყიდვა და მოაგარაკეთათვის მიწოდება ხომ სულ ადვილი საქმე იყო. მაგრამ ამას ვინ გაბედავდა, მოქ. ალ. სვანიძის შიშით.

სვანიძეს სად ეცალა, რომ მოაგარაკეთათვის სურსათ-სანოვაგის შოვნაზე ეზრუნა, ის სულ სხვა სახის „მუშაობით" იყო დატვირთული: სახელმწიფო ცხენებით დაქროლავდა საგარაკოთ მოსულ „დამებთან" მამისონის უღელტეხილისაკენ. სვანიძე, როგორც ვსთქვით ძველი ოფიცერია (სამხ. ატაშედ იყო კიევში 1920 წ.) და მას უყვარს კარგი ცხოვრება, ცხენების ქენება სურნელოვან შოვის მიდამოებში. ნაწილობრივ უეჭველად სვანიძეს ბრალია, რომ წელს შოვში მოაგარაკენი ცოტა მოვიდა: ვის ჰქონდა თავი გამეტებული, რომ იქ კაცი წასულიყო და სვანიძის რეჟიმისათვის გაეძლო. თუ კი წინდაწინ გაიგებდა საქმის ვითარებას. მთელ ზაფხულის სეზონის განმავლობაში შოვში იყო მხოლოდ 120 მოაგარაკე. ამ 120 კაცს ემსახურებოდა კურორტის შტატი, 40 კაცისაგან შემდგარი. ეს გაბერილი შტატი კურორტის შემოსავალს უნდა შეენახა და ამიტომ იყო, რომ საკურორტო სამმართველოს სასადილო სურსათ-სანოვაგეს მეტად ძვირად აწვდიდა მოაგარაკეთ. კვერცხი სასადილოში 9 კაპ. ღირდა, იმ დროს, როცა სასადილოს ადმინისტრაცია მას 4—5 კაპ. ყიდულობდა, ყველის ოთხ სიფრიფანა ნაჭერს 30 კაპეიკად გვაწვდიდენ, როცა გირვანქა ყველი (ოსური) 59 კაპ. ღირდა. სხვა სანოვაგეზე ამგვარადვე იყო ფასები მომატებული.

მიუხედავათ ამისა, სასადილომ თავისი მუშაობა დაასრულა დეფიციტით, რომელიც დაახლოებით 800 მან. გამოიხატება, ეს იმ დროს, როცა შარშან ონის კოოპერატივის სასადილოს, სადაც საჭმელი გაცილებით იაფი და კარგი ხარისხის იყო, მოგება დარჩა რამდენიმე ასეული მანეთი. ეს, რა თქმა უნდა, უთავბოლობის ბრალია.

სხვათა შორის, არც სამრეცხაო იყო ხეირიანად დაყენებული. ჩაბარებულ სარეცხიდან შენსას მიიღებთ მხოლოდ ნაწილს, ისიც უბრალოდ გაჭუჭყნულს და უშნოთ გაუთოებულს.

აბანო კარგად არის მოწყობილი, მაგრამ ძალიან ძვირია.—ნომერი ერთი სულისათვის ერთი მანეთი. ნომერში 4 კაცი რომ შესულიყავით, ოთხი მანეთი უნდა გადაგეხადათ, იმ დროს, როცა შეშა და წყალი კურორტს მუქთი აქვს. ვერ გამიგია. რით იყო ასეთი სიძვირე გამოწვეული?

აგარაკ შოვში მთელი გაზაფხულის სეზონის განმავლობაში მოაგარაკეთ თეთრი პურით ჰკვებავდნენ, მხოლოდ გამოურკვეველი დამრჩა ერთი გარემოება, ვერ გავიგე რატომ აძლევდენ შოვის სახერხ ქარხნის და სხვა მუშებს შავ პურს?

აგრეთვე ვერ გავიგე, თუ რატომ იყო, რომ სახერხ ქარხნის მუშები დღე-ღამის განმავლობაში ხის ფიცრებისაგან უბრალოდ გაკეთებულ ბარაკებში სცხოვრობდნენ, იმ დროს, როცა გაბერილ შტატის მოსამსახურენი კარგ ბინებში იყვნენ მოკალათებულნი და მათთან ერთი სახლი 8 თუ 10 ოთახისაგან შემდგარი ზაფხულის სეზონის განმავლობაში დაკეტილი იყო და მთელი ღამეები ელექტრონის სინათლით იყო გაჩირაღდნებული. ასე ზოგავს მოქალაქე ალ. სვანიძე მუშების ჯანმრთელობას? კურორტის დირექტორი ზომებს არ ღებულობდა იმისათვის, რომ მუშებს თავის დროზე მიეღოთ ჯამაგირები. ვინ რას ეტყვის დირექტორს. შოვის სრული ბატონ პატრონი ისაა, თუ ვინმემ ჭკუა ასწავლა (ეს კი მას ძალიან სჭირდება) ეშმაკებთან გაგზავნის. ჩემ საქმეში ნურავინ ერევა, ყველამ თავი დამანებოსო, ასე ამბობს დირექტორი.

ეხლა ვიკითხოთ თუ როგორ ეპყრობოდა კურორტის დირექცია მუშა-მოსამსახურეთ. ეს ხალხი მან ორ ბანაკად გაჰყო. ერთ ბანაკში „თავის პარტიის" ხალხი იყო, რომელშიაც ქალთა სქესი სჭარბობდა და მეორეში კი იყვნენ „დაბალი ფენის" თანამშრომლები. პირველ კატეგორიის ხალხს მეტი პატივისცემა, ყოველგვარი შეღავათი ეძლეოდა, მეორე კატეგორიის თანამშრომლები კი ყველაფერს მოკლებულნი იყვნენ. ხშირი ქეიფი, დროს ტარება და აურ-ზაური ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ამ „მეორე ფენის" ხალხს ეკუთვნოდა სხვათა შორის შოვის ბუღალტერი, რომელსაც ქეიფის შემდეგ (კურზალის შენობაში ნადიმი გადაიხადეს, სადაც ყვავილების ვაზებით სვამდენ ღვინოს) თავის კაბინეტში ბრაუნინგის სისტემის რევოლვერით დირექტორმა ცხვირ-პირიდან სისხლი ადინა. აღმაშფოთებელი იყო ეს ფაქტი, მაგრამ ხმას მაინც ვერავინ იღებდა. მაგას, ძმაო, კაცი ჰყავს მოკლული და შოვში მაგისი ყველას ეშინიაო. ასე ამბობენ.

კურორტის დირექტორი მოსაკლავად გაეკიდა ხელზე მოსამსახურე კომკავშირელს ამხ. ერმილე ბაქრაძეს, როცა ეს უკანასკნელი თავს დასტრიალებდა მას ქეიფის დროს. სვანიძეს ძველი დრო ახლაც ვერ გაურჩევია. ყველა მას „დენშიკი" ჰგონია და, როგორც მოესურვება, ისე მოექცევა.

მოქ. ალ. სვანიძე დაპატიმრებულ იქნა პოლიტიკურ სამმართველოს მიერ, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ, ვილაც ძლიერი დამხმარე აღმოუჩნდა და გაანთავისუფლა. სვანიძე ისევ შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას შოვში.

აუცილებელია ამას ამთავითვე ბოლო მოეღოს, რომ მომავალ სეზონში მშვენიერი კურორტი შოვის საქმე ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს.

ა. ბეთლეველი.

ცოლ-ქმართა კრებული

(რკ.-გზის საავადმყოფო)

ნათესავების, ერთი ოჯახის რამდენიმე წევრთა ერთად მუშაობის მაგალითი, როგორც ეს უკვე იყო აღნიშნული „კომუნისტი"-ს ფურცლებზე, იშვიათი მოვლენა არაა. ზოგიერთი დაწესებულება ცოლქმართა თავშესაფარად არის გადაქცეული. ამის მაგალითს წარმოადგენს რკ. გზის საავადმყოფო. აქ მსახურებს შემდეგი ცოლქმარი:

1.— **ალასოვი ზაქარია** — ექიმი და
2 **მიქელაძე ქსენია**—ალასოვის ცოლი.
3.—**გოგსაძე გიორგი** — კონტროლიორი და
4 **გოგოლაშვილი ბარბარე** — ასისტენტი, გოგსაძის ცოლი.
5.— **ქანთარია დავითი** — ექიმი და
6— **ცაგარეიშვილი ლიდა** — მოანგარიშე, ქანთარიას ცოლი.
7.— **ვაშაკიძე იასონი** — კონტროლიორი და
8. **ვაშაკიძის ქსენია** —ასისტენტი, იასონის ცოლი.
9.—**კანდელაკი პეტრე** — ინსტრუქტორი და
10.—**პარუმბეგოვი ევგენია** — ამპულების მკეთებელი, კანდელაკის ცოლი.

ამრიგად, როგორც აღნიშნულიდან სჩანს, ქმარი კონტროლს უკეთებს მის ცოლს, კიდევ ქმარი ექიმი დავალებებს აძლევს მის ხელქვეითს და ამავე დროს ცოლს. როგორ ფიქრობთ, აქ რაიმე ნაკლი ოდესმე გამომჟღავნდება? სრულებიდაც არა. ამაში ეჭვიც არავის ეპარება.

შემჩნეული იყო, მაგალითად, რომ ქსენია მიქელაძე საღამოობით სიცხეს არ უზომავდა ქირურგიულ განყოფილებაში ავადმყოფებს, მაგრამ მისი ქმარი არაფერს ეუბნებოდა.

ეხლა ისიც ვიკითხოთ, როგორია ამ ხალხის მატერიალური მდგომარეობა. იქნებ ამ მხრივ შეიძლება მათი ერთად სამსახურის გამართლება. არც ისე ცუდი. აიღეთ, თუ გნებავთ, ექიმი ალასოვი. ის იღებს ხელფასს 154 მან. მას, გარდა ამისა, აქვს კერძო პრაქტიკა, სარჩენი არავინ ყავს. პეტრე კანდელაკი,— ის იღებს 150 მანეთამდე, სარჩენი არც მას ყავს. სხვებიც დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაშია. მაშ რაშია საქმე? ალბად ვისიმე „ნათლიმამური" კალთა ფარავს ამ კომპანიას, თორემ თბილისში საკმაოზე მეტია უმუშევარი მედპერსონალი.

ადგილობრივმა პარტუჯრედმა ყოველივე ეს იცის, მაგრამ ყურწაგდებულია, არც პროფორგანო ღებულობს ზომებს. თუ ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს გაგრძელდა, რკინის გზის საავადმყოფო მალე გადაიქცევა „ნათესავიზაციაქმნილ" ტიპიურ დაწესებულებად.

ინკო.

რა აფერხებს თბ. ტელეფონის მუშაობას

(ამხ. დოლიძის წერილის გამო)

გაზეთ „კომუნისტი"-ს 21 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულია ამხ. ა. დოლიძის წერილი შემდეგი სათაურით: „თბილისის ტელეფონის მუშაობა უნდა მოგვარდეს".

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით წერილის ავტორს, რომ უნდა გაუმჯობესდეს თბილისის ტელეფონის მუშაობა, მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში ის ობიექტიური პირობები, რომელნიც ხელს უშლიან ამ მუშაობას.

ავიღოთ პირველი—რა არის მიზეზი, რომ ტელეფონის სადგური, დიდი დატვირთვის საათებში (9-დან 16 საათამდე), აბონენტებს დაგვიანებით უპასუხებს გამოძახებაზე?

ჩვენი ცენტრალური სადგური „სიმენსი"-ს მოწყობილობის არის, ესაა დაძველებული გერმანული სისტემა. თითო მორიგეს ერთ საათში უხდება 350-600 აბონენტის შეერთება; ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთ და იმავე დროს 10-15 აბონენტი მოითხოვს შეერთებას და ყველას ერთად დაკმაყოფილება, მოძველებულ სისტემის გამო, შეუძლებელია.

რატომ არის, რომ მოსკოვში, ტელეფონის მილის აღებისთანავე, ღებულობთ პასუხს. ეს იმიტომ, რომ მოსკოვის და თბილისის სადგურებს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. მოსკოვის სადგურზე მუშაობენ ეგრედწოდებული „მუნჯი ტელეფონისტები", რომლებიც აბონენტებს არაფერს უპასუხებენ, მხოლოდ მაშინვე გამოძახებას ავტომატიურად ანაწილებენ თავისუფალ ტელეფონისტებს შორის. ამრიგად ტელეფონისტს საქმე აქვს ერთ აბონენტთან, რომლის ლაპარაკის გათავების შემდეგ, აერთებს შემდეგს და სხვა.

როდესაც ერთ და იმავე დროს რამდენიმე აბონენტი მოითხოვს შეერთებას, ხშირად ტელეფონის მილში რაღაც წაბუტბუტება ისმის. ეს აიხსნება იმით, რომ აბონენტის სასწრაფოდ შეერთების დროს, მორიგე ტელეფონისტი ვერ ასწრობს წინა მოლაპარაკე აბონენტის გამოთიშვას.

რაც შეეხება აბონენტის ნომრების არევას, ეს მიეწერება მას, რომ აბონენტების ნომრები და სახელწოდება ძალიან ხშირად იცვლება. დღეს რომ ერთი აბონენტია, ხვალ მის ნაცვლად სხვა არის. კლიენტი, რომელიც მიჩვეულია ძველ ნომრებს, ამავე ნომრით იძახებს და პასუხს კი ღებულობს სხვისაგან.

რა თქმა უნდა, ამით სრულებითაც არ ვუარყოფთ ტელეფონისტების დანაშაულსაც, რაც ხდება დიდი მუშაობის დროს. უფრო ხშირად შეცდომა ხდება იმ აბონენტის შეერთების დროს, რომლის ტელეფონის ნომერი თავდება რუსულ ენაზე ციფრ 6 და 7. ტელეფონით ექვსი ისმის, როგორც შვიდი და შვიდი, როგორც ექვსი.

ასეთ შეცდომების ასაკვეთათ შემოღებულია ადმინისტრატიული ჯარიმა, რაც თავდება დამნაშავე ტელეფონისტის სამსახურიდან მოხსნითაც კი.

პასუხის უკმეხად გამცემ ტელეფონისტებისათვის შემოღებულია მკაცრი ზომები, მაგრამ ხშირად თვით აბონენტი იწვევს ზედმეტ ლაპარაკს იმის მაგივრად, რომ ტელეფონისტის უკანონო მოქმედებაზე აცნობოს უფროს ტელეფონისტს, რომელიც ვალდებულია საჩივრის მიღებისთანავე გამოარკვიოს საკითხი აბონენტის დასაკმაყოფილებლად.

სადგურის ტექნიკურ ნაკლმა, მისი მოწყობილობის თანამედროვე მოთხოვნილებასთან შეუსაბამობამ, დაბადა საკითხი სადგურის ავტომატიურ სისტემაზე გადასვლის შესახებ, რაც დადებითად არის უკვე გადაწყვეტილი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალი წლის გაზაფხულზე შეუდგებით მუშაობას სადგურის გარდაქმნისათვის.

მოდებაძე.

პროტექციონიზმი „წითელ ჯვარში"

მიმდინარე წლის ივნისის პირველ რიცხვებში შტატების შემცირების გამო, საკვალიფიკაციო კომისიამ განიხილა საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების ცეკას შტატი.

კომისიის დადგენილებით მოხსნილ იქნა სამსახურიდან მოანგარიშე ჯაყელი. ადგილკომმა უკანონოდ სცნო ამხ. ჯაყელის სამსახურიდან მოხსნა, როგორც ისეთი პირის, რომელიც საზოგადოებრივ ორგანიზაციებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და იმავე დროს საანგარიშო საქმის მცოდნე თანამშრომელი იყო. ამის შესახებ ეცნობა საკვალიფიკაციო კომისიას, რომელმაც თავისი დადგენილება შესცვალა და საჭიროდ სცნო ჯაყელის აღდგენა. ამასთან ერთად აღნიშნულ კომისიამ თანამდებობიდან მოხსნა მოანგარიშე ანა ჩხეიძე, „ჟოკეი კლუბი"-ს ყოფილ მოიჯარადრის, ცნობილ კომბინატორის ჩხეიძის ცოლი.

ჩხეიძის ქალს გაუსწორეს საბოლოოდ ანგარიში. მაგრამ როდესაც ადგილკომის თავმჯდომარე გაემგზავრა შვებულებაში, ჩხეიძის ქალმა იხელთა დრო და თავის სიძის—წითელი ჯვრის ცეკას მდივანის და იურისკონსულტის —ს. ჟორჟოლიანის დახმარებით გაჩარხა საქმე. წითელი ჯვრის ცეკა შრომის საშუამავლო ბიუროდან იწვევს შტატის შემცირებით დათხოვნილ ანა ჩხეიძეს, როგორც უბადლო სპეცს. ამრიგად წითელი ჯვრის ბუხჰალტერიას კვლავ ევლინება ანა ჩხეიძე „დროებით" თანამშრომლად და ეხლა უკვე არა მოანგარიშედ, არამედ ბუხჰალტერად, გაცილებით მეტ ჯამაგირზე.

„სპეცს", მუდმივ ბუხჰალტერის შვებულებიდან დაბრუნების გამო, გაუთავდა დროებით თანამშრომლობის ვადა, მაგრამ კვლავ დაიწერა ბრძანება ანა ჩხეიძის საადგილმამულო(?) საწყობში „დროებით" მოანგარიშის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, სადაც მეექვსე თვეა განაგრძობს „დროებით" მუშაობას.

ამრიგად პროტექცია თავისას შვრება შეიძლება ვინმეს „შეებრალა" ჩხეიძის ქალი, ამისათვის, რომ მისი ქმარი გაფლანგვისათვის დაპატიმრებულია. მაგრამ ჩვენ მაინც ეჭვი შეგვდის ამ პირის მატერიალურ ხელმოკლეობაში და ამის საბუთიც გვაქვს.

საკმარისი არაა უკანონოდ მიღებულ თანამშრომლის მოხსნა, საჭიროა მისი მფარველის ღირსეულად დასჯა. მეტი პასუხისმგებლობა სწორედ ჟორჟოლიანს უნდა დაეკისროს. თუ ისეთი პროტექტორები დავსვით დაწესებულებათა პასუხისმგებელ მდივნებად, როგორც ს. ჟორჟოლიანია, რასაკვირველია, შტატების 20 % შემცირებაზე ოცნებობაც კი სასაცილო იქნება.

ბუზისწყლისპირელი.

ორი მაგალითი

ანუ

ქრთამი ბოროტმოქმედ ქმარის დასაცავად

ჩვენ გვინდა აქ მოვიყვანოთ ორი ფაქტი, რომელიც სავსებით წააგავს ერთმანეთს მომქმედი პირების მიხედვით, მაგრამ ამავე დროს დიამეტრალურად განსხვავდება თავისი შინაარსით. ერთი მოხდა შორეულ ულიანოვსკის (ყოფილ სიმბირსკის) გუბერნიაში, ქალაქ ულიანოვსკში და მეორე აქ, საქართველოს ცენტრალურ დაწესებულებაში, აბრეშუმის ტრესტის სამმართველოში.

ამ სამი თვის წინად მოსკოვის „პრავდა"-ს ფურცლებზე ცნობილი ფელეტონისტი ამხ. მიხ. კოლცოვი მოგვითხრობდა შემდეგ იშვიათ და საგულისხმო შემთხვევებზე. ქალაქ ულიანოვსკში საგუბერნიო ვაჭრობის გამგის თანამდებობაზე მუშაობდა პასუხისმგებელი კომუნისტი ივანე აბიზოვი, რომელსაც ცოლად ჰყავდა უპარტიო ქალი ოლღა აბიზოვი.

კომუნისტი ქმარი სამეურნეო მუშაკი, ცოლი უპარტიო ქალი. აქედან ჩვენს წარმოდგენაში შეიძლება დაიბადოს ასეთი სურათი: ქმარი, ძველი გამოცდილი პარტიული ამხანაგი, თავგამოდებული საზოგადო მუშაკი, რომელსაც მოცლაც არა აქვს საპასუხისმგებლო საქმეებისაგან, წყნარი და თავდაბალი, სხვისთვის მაგალითის მიცემი, ცოლი კი მონავარდე ბანოვანი, „ფართე ცხოვრების" მოყვარული ქალი, რომელიც ობივატელობისა და მეშჩანობის ჭაობში ითრევს თავის ქმარს, მიჰყავს ის გაფლანგვისა და სხვა ბოროტმოქმედების გზით. სინამდვილეში აბიზოვები ასე „შაბლონურად" არ ცხოვრობდნენ. აქ წინაამდეგ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი.

პასუხისმგებელ საგუბერნიო მუშაკ აბიზოვის გარშემო თავი მოიყარა სხვა პასუხისმგებელ პირებმა, საგუბერნიო მუშაკებმა და პარტიის წევრებმა. შექმნა ტკბილი კომპანია, რომელიც სისტემატიურად ერთად ქეიფობდა და ერთად სჩადიოდა სხვადასხვა უზნეობას. როგორც ეს ასეთ შემთხვევაში ხშირად ხდება, ლოთობისა და გარყვნილების გზაზე შემდგარ საგუბერნიო მუშაკებმა მალე კავშირი გააბეს კერძო ვაჭრებთან, სხვადასხვა ჯურის საეჭვო კომბინაციების მოყვარულ ხალხთან. საქმე თანდათან უკან მიდიოდა. ულიანოვსკის გუბერნიაში ჩაიშალა, სხვათა შორის, პურის დამზადების საქმე, რომელსაც უშუალოდ საგუბერნიო ვაჭრობის გამგე აბიზოვი განაგებდა.

ყოველივე ამის მოწმე იყო აბიზოვის ცოლი, უპარტიო ოლღა აბიზოვი, პროფესიით სტენოგრაფისტკა, დაუღალავი აქტიური საზოგადო მუშაკი, ლექტორი და პროპაგანდისტი, ქალაქის საბჭოს წევრი.

ოლღა აბიზოვი ადვილად ვერ შეურიგებოდა თავისი ქმრის და მის გარშემო თავმოყრილ ძმა-ბიჭების უმსგავსოებას. ამ ნიადაგზე მას დიდი უსიამოვნება ქონდა ქმართან. ყოველ ნაირად ცდილობდა გავლენა მოეხდინა მრუდე გზით მიმავალ ივანე აბიზოვზე. დიდი ბრძოლისა და სისტემატიურ ოჯახურ უსიამოვნების შემდეგ ქმარი თითქოს გონს მოვიდა. ის ხედავს, რომ იძირება გადაგვარების ჭაობში, გრძნობს, რომ უახლოესი ამხანაგი და ცხოვრების თანამგზავრი სწორი გზისაკენ მოუხმობს და თანახმა არის დაემორჩილოს ცოლის გონიერ ხმას. ამ მიზნით აბიზოვი ხელწერილსაც კი აძლევს ცოლს, სადაც შემდეგს სწერს:

> „ამით ვდებ პირობას, რომ 1928 წლის 1 იანვრიდან მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერი, ივანე კონსტანტინეს ძე აბიზოვი, შევუდგები ნორმალურ ცხოვრებას. მუშაობის შემდეგ სახლიდან აღარ გავიქცევი, გავაკეთებ სასარგებლო საქმეს: წავიკითხავ გაზეთებს, წიგნებს და ვიმუშავებ პატიოსნად. ჩემს ცოლთან, ოლღა ივანეს ასულ აბიზოვთან, მე მექნება ამხანაგური დამოკიდებულება, ანგარიშს გავუწევ მის ჯანმრთელობას და ვეცდები შევუქმნა მას ცხოვრების ნორმალური პირობები. რაშიაც ვიძლევი პატიოსან კომუნისტურ სიტყვას. 21 იანვარი, 1928 წ. ი. აბიზოვი".

მაგრამ ფუჭი გამოდგა აბიზოვის „კომუნისტური სიტყვა". ის უკვე იმდენად წასული იყო ხელიდან, რომ არავითარ პირობას, თუნდაც წერილობითს, მისი მობრუნება აღარ შეეძლო. 1928 წლის 2 იანვრიდან, ხელწერილის დადების მეორე დღიდანვე, აბიზოვმა ჩვეულებისამებრ განაგრძო ძველი ცხოვრება. თავდავიწყებამდე მისული ორგიები, ქეიფობის დროს რევოლვერების სროლით თავის გართობა, საქმისადმი გულგრილობა და სხვა, ასეთი იყო პასუხისმგებელ კომუნისტის, აბიზოვის და მისი ამქრების ყოველდღიური ცხოვრება.

როგორ უნდა მოქცეულიყო უპარტიო ოლღა აბიზოვი? მას ამის შემდეგ უკვე ბევრი არ უფიქრია. არავითარ ზეგავლენამ არ გასჭრა. დარჩა უკანასკნელი საშუალება, მთელი იმ სისაძაგლის გამომჟღავნება, რომელსაც სჩადიოდა ივანე აბიზოვი თავის ძმაბიჭებით, პარტიის ორგანოების გაფრთხილება იმ მავნეობისა და საშიშროების შესახებ, რომელსაც ქმნის გადაგვარებულ საგუბერნიო მუშაკების უმსგავსო მოქმედება. და ოლღა აბიზოვი სრული შეგნებით, სდგამს სავსებით სწორ და რევოლიუციონურ ნაბიჯს. ის საზოგადო საქმეს პირად საქმეზე მაღლა აყენებს, ის თავის ოჯახურ ცხოვრებას მსხვერპლად სწირავს საბჭოთა საქმის ინტერესებს. ოლღა აბიზოვი დაუნდობლად ამჟღავნებს თავისი ქმრის უმსგავსოებას.

საკონტროლო პარტიული ორგანოები ყურადღებით მოეკიდნენ ამ ფაქტს. ივანე აბიზოვთან ერთად გამოაშკარავებულ იქნა მთელი რიგი საგუბერნიო მუშაკების უმსგავსოება. შედეგათ ამას მოჰყვა ის, რომ პარტიის რიგები გაიწმინდა ისეთი გახრწნილი წევრისაგან, როგორიც ივანე აბიზოვი იყო. აბიზოვს პარტიიდან თან მიაყოლეს ხუთი მისი ძმა-ბიჭი, პასუხისმგებელი მუშაკი და სამ სხვა კომუნისტს, რომელთაც კავშირი ჰქონდა ამ კომპანიასთან, საყვედური გამოეცხადა.

თავისთავად ოლღა აბიზოვის ნაბიჯი თითქოს არავითარ განსაკუთრებულ მოვლენას არ წარმოადგენს. ფორმალურად ეს ასედაც უნდა იყოს. ამას გვიკარნახებს ჩვენი სინამდვილის ლოღიკა და საერთო საქმის ინტერესები, მაგრამ არსებულ წვრილ-ბურჟუაზიულ, მეშჩანურ ატმოსფერაში, ოლღა აბიზოვის, როგორც პასუხისმგებელ მუშაკის ცოლის მდგომარეობაში, როცა მასაც შეეძლო გაჰყოლოდა ქმრის „მხიარული ცხოვრების" გზას, უპარტიო ქალის, არაპროლეტარის ასეთი მოქცევა, ნამდვილ გმირობათ უნდა ჩაითვალოს. ეს რომ ასეა, ამას ყველაზე უფრო მჭერმეტყველურად მოწმობს მეორე მაგალითი, რომელიც ჩვენს, საქართველოს სინამდვილეში მოხდა.

აქ მომქმედი პირია უკვე არა უპარტიო ოლღა აბიზოვი, არამედ კომუნისტი ქალი თალიკო მანჯგალაძე, პარტიის წევრი 1924 წლიდან და საქართველოს აბრეშუმის ლაბორატორიის გამგე.

მანჯგალაძის ქალს „უბედურება" შეემთხვა. ის მხოლოდ ორი კვირის დაქორწინებული იყო, რომ ახლად შეძენილი ქმარი, რკინისგზის კოოპერატივის მუშაკი, უპარტიო, დააპატიმრეს გაფლანგვისათვის. როგორ უნდა მოქცეულიყო ასეთ შემთხვევაში კომუნისტი ქალი? შეიძლება მას არ ეღლო ბრალდებულის როლი ქმარის წინააღმდეგ სასამართლოში, მაგრამ თუ რაიმე იცოდა ქმრის ბოროტმოქმედების შესახებ, მას უნდა შეეტყობინებია ამის შესახებ სათანადო ორგანოებისათვის. გამფლანგველი, თუნდაც საყვარელი ადამიანი, პროლეტარული სახელმწიფოს მავნებელია. ასე მსჯელობს ყველა პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე და, მით უფრო, ასე უნდა იმსჯელოს კომუნისტმა.

მაგრამ თალიკო მანჯგალაძეს კი, გარდა ოფიციალურ კომუნისტურ მორალისა, აქვს საკუთარი მორალი. „კომუნისტი" თალიკო მანჯგალაძე ამ შემთხვევაში უპარტიო ოლღა აბიზოვის აჩრდილათაც არ გამოდგება. თალიკო მანჯგალაძე ეძებს ყოველგვარ ხვრელს, ყველა კანონიერ თუ უკანონო საშუალებას იმისათვის, რომ იხსნას დამსახურებული სასჯელიდან თავისი ქმარი. ამ მიზნით ის უკან არ იხევს ჩვენი ორგანოების მოსყიდვის და ქრთამის საშუალებით ბოროტების გზაზე შეყენების წინაშეც. მაგრამ სჯობს ამის შესახებ ვალაპარაკოთ თვითონ მანჯგალაძის ქალი. ჩვენ ხელთ არის წერილი, რომელიც გაუგზავნა მანჯგალაძემ ქმრის განთავისუფლების შესახებ თავის ამხანაგ ქალს, პასუხისმგებელ კომუნისტს. ჩვენ დავიცავთ ავტორის სტილს და ენას, რომ დოკუმენტს არ დაუკარგოთ მისი მთლიანი ღირებულება:

> „ამხ. მარო, სწერს მანჯგალაძის ქალი, თუმცა წერილი რათ გინდოდა, ისედაც ერთად ვართ და კი გეტყოდი. მაგრამ ამხანაგებთან ვერ მოვახერხე, რომ მელაპარაკნა კარგად. ეხლა მარო ამას გთხოვ და შენ კი შესძლებ თუ იმ მოსამართლეებს იცნობ, რომ მიმეგზავნო და მოელაპარაკო. მე მარო ტყვილა არ დაგავალებ ასეთი მძიმე საქმეს, შენ რამდენ ფეხს გადაადგამ იმას ყველას ვიანგარიშებ, მარო, თუ შენ მოსამართლესთან გამოაკეთებ საქმეს, ასე რომ არის ერთნაირი სასჯელი, რომ რამდენიმე წელიწადს არ ექნეს სამსახურში დადგომის ნება, ეს ერთი მუხლი. მეორე მუხლი არის ისეთი პირობითი გაშვება, მაგალითად მიუსჯიან ერთ წელიწადს, მხოლოდ თავისუფლად იქნება გაშვებული ასეთი წესები არის და ასე მიუსჯიან, მხოლოდ ეხლა ნუ მიუსჯიან ციხეს, ასე გააკეთე საქმე. თუ შენი კარგი ნაცნობია და თქვენს ოჯახში დადის პიტოვს გცემს, შენ ტყვილა არ შეგაწუხებ. მხოლოდ ეს საქმე ასე გამოაკეთე და შენ მოგცემ ხუთ თუმანს და თუ მოსამართლეს შეჰპირდები და ეტყვი ხუთმეტ თუმანს მივცემ თუ ასე გააკეთებს საქმეს.
>
> სუდის საქმეა, როგორც უნდა ისე გადაწყვეტს, მასთან ძნელი საქმეც არ არის, კარგი მოსახერხებელია.,, და თუ მოსამართლე შეჰპირდა კიო, მაშინ უთხარი როგორ მოვიქცეთ, ვექილი ავიყვანო თუ არა შეეკითხე, ან რა უნდა ილაპარაკონ მოწმეებმა ან მოპასუხემ გაიგე და ისე მოვიქცევით და ეს საქმე გამიკეთე და რასაც გელაპარაკები იმას აუცილებლად მოგართმევ, პატივს გცემ მეც. მაგიერი უნდა გადაგიხადო, ტყვილად არ შეგაწუხებ, ასეთი დიდი საქმის გაკეთება უბრალოდ არ შეიძლება. ჩემი მამამ გამომიგზავნა ოცი თუმანი და იმას დავხარჯავ. რა ვქნა, ეხლა მეტი არა მაქვს. მდგომარეობა ასე გააცანი მოსამართლეს, როგორც გწერ, ხომ იცი ისე შეუჩნდი, ჯერ იქნება პირველად ფული არ მიიღოს, უარი თქვას განგებ, სხვაფერ არ იფიქროს. პირველად კი იტყვის უარს და მიეძალე, ფულით რას არ გააკეთებს კაცი, ასეთი საქმე ფულით კეთდება და აბა შენ იცი, შენი იმედი მაქვს.. ეს იმიტომ მოგწერე, რომ ასე დეტალურად ვერ გეტყოდი, ხალხია ჩემთან და დროს ვერ ვიშოვიდი. ჩემი ქმრის სახელია შოთა მიქაძე. თალიკო მანჯგალაძე".

ვფიქრობთ, რომ ამ ჩიქორთულ ნაწერიდან ყველაფერი გასაგებია. ამრიგად, პარტიის წევრის, კომუნისტ მანჯგალაძის აზრით, „ფულით რას არ გააკეთებს კაცი", „ამგვარი საქმე ფულით კეთდება", ფულს იმდენი ძალა აქვს, რომ ქვასაც გახეთქავს! როგორ იტყვით, ძალიან წააგავს კომუნისტი, თბილისელი თალიკო მანჯგალაძე უპარტიო ოლღა აბიზოვის ქალს ულიანოვსკიდან?

სასაცილო იქნებოდა ისეთი საკითხის დასმა, დარჩება თუ არა მანჯგალაძის ქალი ამიერიდან პარტიის რიგებში. ეს გახრწნილი ლემი დაუზოგავად და დაჩქარებით უნდა მოიკვეთოს ჩვენი ორგანიზაციის სხეულიდან. და ასედაც მოხდა. მაგრამ საინტერესოა სხვა რამ, ვინ, რომელ ორგანიზაციამ მიიღო მანჯგალაძე პარტიაში? სად გაიარა მან საკანდიდატო სტაჟი. ვინ დაუდგა თავდებათ, ვინ გამოსცადა მანჯგალაძის ქალი პარტიაში შესვლამდე საზოგადოებრივ, საბჭოთა და პარტიულ სამუშაოზე?

როგორ მოხდა, რომ პარტიის რიგებში შემოგვეპარა ასეთი უცხო და მტრული ელემენტი? ეს საკითხი ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს. რა გარანტიაა, რომ იმავე ორგანიზაციის, ან იმავე პირების დახმარებით ჩვენს რიგებში სხვა თალიკო მანჯგალაძეებიც არ არიან დღეს მოკალათებულნი?

თ. მანჯგალაძის მაგალითი სხვა მხრივაც საგულისხმო არის. ის ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს, თუ როგორ არ უნდა მოიქცეს კომუნისტი იმ შემთხვევაში, როცა მისი ახლობელი ადამიანი ანტისაზოგადოებრივ დანაშაულს სჩადის. პირადი ინტერესები კომუნისტისათვის არ არსებობს იქ, სადაც საქმე ეხება პარტიის, ხელისუფლების, საბჭოთა საზოგადოების ინტერესებს. ძნელია ამის, პრაქტიკულად განხორციელება — ჩვენ ეს გვესმის. მაგრამ ახალი საზოგადოების აშენება, იმ დიდი ისტორიული საქმის გაკეთება, რომელიც პროლეტარიატს ისტორიამ დააკისრა, შეუძლებელია მტკიცე ნებისყოფის, შინაურ და უცხო მტრებთან, ყოველი ჯურის ბოროტმომქმედებთან დაუზოგავი ბრძოლის გარეშე. თუ ამის უნარი ვისმეს არ შესწევს, მას შეუძლია არ შევიდეს პარტიაში. ძალით ჩვენ არავის ვეპატიჟებით.

სერგო მეგრელიშვილი.

გამოძახილი წერილებზე

მუშკორის მდევნელნი სასტიკად დაისჯებიან

გაზეთ „კომუნისტი"-ს № 236-ში მოთავსებული იყო ამხ. კვესის წერილი შემდეგი სათაურით: „ნაგანით მუშკორის წინააღმდეგ". აღნიშნულ წერილში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ მოქ. ვაჩეიშვილს იარაღით თავს დაესხა სისხლის სამართლის მილიციის მორიგე კომენდანტი ი. ბრეგაძე, რომელიც მოქმედებდა თავის ახლო ნათესავის ბახტაძის მითითებით. როცა განიარაღებული ბრეგაძე მოიყვანეს სისხლის სამართლის მილიციაში, თანამშრომელი ლეიბმანი მას ლმობიერათ მიეპყრა. ზომები არ მიიღო, რომ ვაჩეიშვილისთვის ჩვენება ჩამოერთვა მომხდარი თავდასხმის შესახებ და არ დააპატიმრა ბრეგაძე.

აღნიშნულ წერილის შინაარსი დადასტურდა. რის გამოც სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელი ლეიბმანი ჩემი განკარგულებით, დისციპლინარული წესით დაპატიმრებულია ერთი თვის ვადით. რაც შეეხება სხვა დამნაშავეებს, ბახტაძეს და ბრეგაძეს, მათ შესახებ სისხლის სამართლის მილიციამ მოახდინა კვლევა-ძიება და მთელი მასალა დაპატიმრებულ ბახტაძე და ბრეგაძესთან ერთად გადაგზავნა პროკურორის განკარგულებაში.

თბ. საბჭოს ადმინგანის უფროსი

საჯაია.

ა.-კ. სას.-სამ. კოოპ. ხელმძღვანელთა თათბირი

მეორე სხდომა

თათბირის მეორე სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენებები სომხეთის და საქართველოს სას.-სამ. კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ.

სომხეთის სას.-სამ. კოოპერაციის მდგომარეობა

სომხეთის სას.-სამ. კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს „აიგუპ კოოპის" წარმომადგენელი ამხ. არუტიუნიანი. მოხსენებიდან ირკვევა სომხეთის სას.-სამ. კოოპერაციის განვითარებას საგრძნობლად აფერხებს საკუთარი თანხების უქონლობა ამავე მიზეზის გამო შეუძლებელი ხდება, როგორც მომარაგების, აგრეთვე გასაღების ოპერაციების გაფართოება. საპაიო გადასახადი სომხეთის სას.-სამ. კოოპერაციაში აკრეფილია 78 პროცენტის რაოდენობით და დაახლოვებით შეადგენს 397.000 მანეთს.

კოოპერაციაში შეკავშირებულ გლეხების 30 პროცენტს შეადგენენ ღარიბი გლეხები,—60 პროცენტს,—საშუალო შეძლების, ხოლო დანარჩენ 10 პროცენტს შეძლებული გლეხები.

1927 წლის 1 იანვრისათვის სომხეთში იყო მხოლოდ 7 კოლექტიური მეურნეობა, 1928 წლის 1 იანვრისთვის ითვლებოდა 76 კოლექტიური მეურნეობა, რომელშიაც შეკავშირებული იყო 1469 გლეხის მეურნეობა. მომავალ წელში განზრახულია კოლმეურნეობათა რიცხვის 200-მდე აყვანა. ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნათესების კონტრაქტაციას. სომხეთის სას.-სამ. კოოპერაციას მიღებული აქვს ზომები მეურნეობის ყველა სახეების ჩასაბმელად კონტრაქტაციის სისტემაში.

კრედიტების განაწილება სწარმოებს არა მიზანშეწონილად და მნიშვნელოვანი ნაწილი კრედიტებისა ეძლევა მოსახლეობის შეძლებულ ნაწილს. ამ გარემოებას ხელს უწყობს სათანადოთ მომზადებულ ტეხნიკურ მუშაკების კადრის სიმცირე.

კოოპერატიულ მუშაკების კადრის შესავსებლად მიღებულია სათანადო ზომები: დაარსებულია სპეციალური კოოპერატიული ტეხნიკუმი და გარდა ამისა მიღებულია ზომები, რომ სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნას კოლმეურნეობათა მშენებლობის სპეციალური კათედრა.

საქართველოს სას.-სამ. კოოპერაციის მდგომარეობა

საქართველოს სას.-სამ. კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს „სოფლის კავშირი"-ს წარმომადგენელი ამხ. ლაჟღებიანი. მომხსენებელი შეეხო სას.-სამ. კოოპერაციის განვითარებას საქართველოში ომის წინა დროიდან მოკიდებული დღემდე. 1928 წლის 1 ივლისისათვის საქართველოში ითვლებოდა—652 სხვადასხვა სახის სას.-სამ. კოოპ. ორგანიზაცია, რომლებშიაც შეკავშირებული იყო 159.183 გლეხური მეურნეობა, რაც შეადგენს მთელი გლეხური მეურნეობათა 41,1 პროცენტს. კოოპერაციაში შეკავშირებული გლეხების სოციალური მდგომარეობა 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის იძლევა შემდეგ სურათს: ღარიბი გლეხები შეადგენენ 45 პროცენტს, საშუალო შეძლების გლეხი—48 პროცენტს და შეძლებული გლეხები 7 პროცენტს. 1927—28 წლის განმავლობაში მდგომარეობა შეიცვალა და, შეკრებილი ცნობების თანახმად, ღარიბი გლეხები შეადგენენ—62,2 პროცენტს, საშუალო შეძლების გლეხები—31,6 პროცენტს და შეძლებული გლეხები—6,2 პროცენტს. მეცხვარეთა კოოპერატიულ ორგანიზაციების წევრთა შემადგენლობაში შედარებით მეტია შეძლებული გლეხობა, ვინაიდან მეურნეობის ამ დარგში შეკავშირებულია მეცხვარეთა მთელი 100 პროცენტი.

ძირითად ერთეულების ხელმძღვანელ ორგანოების სოციალური შემადგენლობა მიმდინარე წელს გაცილებით უკეთესია, ვიდრე წინა წლებში. ამჟამად საინსტრუქტორო მუშაობის ძირითად ამოცანას შეადგენს გამგეობების და სარევ. კომისიების წევრების მოსამზადებელ და გადასამზადებელ კურსების მოწყობა.

1927 წლის 1 ოქტომბრისათვის საქართველოში ითვლებოდა 325 კოლექტიური მეურნეობა, რომელშიაც შეკავშირებული იყო 6535 გლეხური მეურნეობა და 100 სამანქანო ამხანაგობა 2804 წევრით. კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა სწორ ნიადაგზე დადგა მას შემდეგ, რაც დაარსებული იქნა კოლმეურნეობათა ცენტრი.

სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობების საკრედიტო მუშაობა ჯერ კიდევ არ არის დაყენებული სწორ ნიადაგზე და ეს ამხანაგობები ჯერ კიდევ რჩებიან სახელმწიფო თანხების გამანაწილებელ ორგანიზაციებად.

1928 წლის 1 ოქტომბრისათვის სულ ითვლებოდა—139 სას.-სამ. საკრ. ამხანაგობა 4.483.100 მან. კრედიტით. ამ თანხიდან გრძელვადიანი სესხი შეადგენდა 1654000 მანეთს, მოკლევადიანი სესხი—3.229.100 მანეთს საკრედიტო ოპერაციები ზოგიერთ მაზრებში სტოვებს დეფიციტს, რომელიც იფარება სხვა ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავლით.

ანაბარები საქართველოს სას.-სამ. ამხანაგობებში ყოველწლიურად იზრდება. 1928 წლის 1 ივლისისათვის ანაბარების თანხა საქართველოს სას.-სამ. ამხანაგობებში შეადგენდა 314.400 მანეთს. სას.-სამ. საკ. ამხანაგობების საპაიო თანხა 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის უდრიდა 426252 მანეთს, ხოლო 1928 წლის 1 ივლისისათვის—876.864 მანეთს.

მეცხვარეთა და მეჯოგეთა ამხანაგობებში: 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის—39.453 მანეთს, 1928 წლის 1 ივლისისათვის—66475 მან.; მევენახეთა ამხანაგობებში: 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის—13637 მან., 1928 წლ. 1 ივლისისათვის—13.121 მანეთს. ყველა ამხანაგობებში კი 1928 წლის 1 ივლისისათვის საპაიო თანხა უდრიდა 956.460 მანეთს.

უკანასკნელ წლებში ძირითად გაერთიანებების ფინანსიური მდგომარეობა ბევრად გამოკეთდა.

—

აფხაზეთის სას.-სამ. კოოპ. მდგომარეობის შესახებ თანამოხსენება გააკეთა ამხ. ბიგვავამ.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის მდივნების თათბირი

მეორე დღე

გუშინ დილის სხდომაზე ამხ. ანთიძის მიერ გაკეთებულ იქნა მოხსენება ფინანსიური მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ავიაქიმის ადგილობრივი ორგანიზაციები საკმაოდ მომაგრებულნი არიან ფინანსიურის მხრივ, რისთვისაც საჭიროა სწორი ანგარიშწარმოება და მტკიცე საწარმოო გეგმის შედგენა. ფინანსიური დისციპლინა მოისუსტებს თითქმის ყველა ორგანიზაციაში, რაც იწვევს არევდარევას საერთო მუშაობაში.

ორგანიზაციებმა ანგარიში თანხების დახარჯვაზე უნდა წარუდგინონ წევრების საერთო კრებას. რაც განამტკიცებს საზოგადოების ავტორიტეტს და აღმოფხვრის ყოველგვარ არა სასურველ გადახრებს.

არ არის მოგვარებული საწევრო გადასახადის აკრეფის საკითხი. არსებობას მარტო საწევრო გადასახადით საზოგადოება ვერ შესძლებს, ამიტომ გამოძებნილ უნდა იქნეს სხვა საშუალებები, როგორიც არის ფასიანი ტირების მოწყობა, საღამოების, კონცერტების, სეირნობების და ფასიანი ლექციების მოწყობა, სხვადასხვა გამოცემების და ნაწარმოებების გასაღება და სხვ.

საჭიროა პროფესიონალური და კოოპერატიულ ორგანიზაციების დაინტერესება, რათა მათ გაიღონ თანხები მიზნობრივი დანიშნულებით (თავშესაფარების, ტირების, სასროლო მოედნების და აეროდრომის მოწყობა).

მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ადგილებიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა.

ახალი წყალსადენი სოხუმში

მუშაობა წყალსადენის გასაყვანად სოხუმში გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს. ამ დღეებში დამთავრდება პირველი რიგის სამუშაოები. დროებით ახალ მაგისტრალთან დაკავშირებული იქნება ძველი მაგისტრალის ნაწილი. ცეცხლის გაჩენის შემთხვევაში ქალაქი სავსებით უზრუნველყოფილია წყალით. თუ საჭიროება მოითხოვს წყალის წნევა შეიძლება აყვანილი იქნეს შვიდ ატმოსფერამდე, ამჟამად კი წნევა აუზში უდრის ოთხ ატმოსფერას, წყალსადენი, აგებულია ისე, რომ წყალი ყოველთვის სუფთა იქნება მილებში. წყალის დებეტი დღე-ღამეში უდრის 100.000 ვედროს; ეს რაოდენობა, თუ ქალაქის მოსახლეობა ძალიან გაიზარდა, შეიძლება გადიდებული იქნეს 200.000 ვედრომდე.

დამთავრებულია წყალსადენის ქსელის გაყვანა მთელ ქალაქში, გარდა მთიანი ნაწილისა. წყალსადენის გაყვანა დაჯდება სულ 300.000 მანეთი.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

რეალიზაციის კამპანიის ჩასატარებლად სოფლად

(ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება)

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობ ა.-კ. ცენტრალურ კომისიის მოხსენება სესხის რეალიზაციის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმი მოხსენების გამო მიღებულ დადგენილებაში აღნიშნავს, რომ რეალიზაციის კამპანია დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ამასთან ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საგიტაციო კამპანია სათანადოთ ვერ არის გაშლილი სოფლებში და მთელ რიგ სასოფლო რაიონებში ამ მხრივ ჯერ თითქმის არაფერი გაკეთებულა. საგიტაციო კამპანიაში სუსტად არის ჩაბმული სოფლის აქტივი და საზოგადოებრივობა, სათანადოთ ვერ არის დაყენებული საინსტრუქტორო მუშაობა და ხელისმოწერის ტეხნიკური ორგანიზაცია.

აღნიშნულ დეფექტების ამოფხვრისა და სოფლებში სარეალიზაციო კამპანიის სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით, ამ.-კავ. ცაკის პრეზიდიუმი საჭიროდ სთვლის შემდეგ ღონისძიებების მიღებას:

სასოფლო რაიონებზე მიმაგრებული უნდა იქნან პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებმაც უშუალოდ უნდა უხელმძღვანელონ კამპანიას; გამოცოცხლებული უნდა იქნეს რეალიზაციის ხელისშემწყობ ადგილობრივ კომისიებს მუშაობა და სადაც ასეთი კომისიები არ არსებობენ, დაარსებული უნდა იქნან დაუყოვნებლივ; კამპანიაში ჩაბმული უნდა იქნეს მთელი სოფლის აქტივი და აგრეთვე სოფლად მომუშავე კოოპერატიული ორგანიზაციები და შემნახველი სალაროები; საინსტრუქტორო მუშაობის გაცხოველების მიზნით ადგილებზე მიმაგრებული უნდა იქნან ფინ. ორგანოების და კოოპერაციის ინსტრუქტორები, რომლებმაც უნდა უხელმძღვანელონ ტეხნიკურ და ოპერატიულ მუშაობას ადგილებზე; საგიტაციო მიზნით ფართოთ უნდა იქნეს გამოყენებული სასოფლო ყრილობები; სესხის რეალიზაციის საქმეში არამც და არამც არ უნდა იქნეს გამოყენებული იძულებითი მეთოდები და ძალდატანება, ამიტომ რეალიზაციის საქმე არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაევალოს მილიციას, ფინინსპექტორებს, პროკურატურას და სხვა ადმინისტრატიულ ორგანოებს. სოფლის სხვადასხვა ორგანიზაციებში შეკავშირებულ გლეხებს შორის უნდა ჩატარდეს კოლექტიური ხელისმოწერა.

ფართოთ უნდა იქნეს გაშუქებული ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის სარგებლიანობა და ის, რომ რეალიზაციის შეგროვილ თანხების 10 პროცენტი ადგილობრივ საჭიროებისათვის იქნება გადარიცხული.

კამპანიის წარმატებით ჩატარებისა და სადირექტივო ორგანოების მიერ ამ მიზნით გამოცემულ დირექტივების სისწორით შესრულებისათვის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ადგილობრივ თემსაბჭოს თავმჯდომარეებს.

საკავშირო თათბირი ნოხ-ხალიჩების წარმოების საკითხებზე

უკანასკნელი დღე

26 ოქტომბერს, დილიდან მუშაობა დაიწყეს სხვადასხვა კომისიებმა, რომლებიც გამოყო თათბირმა ნოხ-ხალიჩების დამზადებისა და ექსპორტის საკითხების დასამუშავებლად.

იმავე დღის საღამოს სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ენზბაევმა ნოხების დამზადების და ექსპორტის საკითხზე. მომხსენებელმა წამოაყენა რამდენიმე დებულება, რომელთა თანახმად ნოხების დამზადებისა და შესყიდვის საქმე მთლიანად უნდა გადაეცეს შინამრეწველობის კოოპერაციას. გამონაკლისი დაშვებული უნდა იქნეს მხოლოდ ამიერ-კავკასიისათვის, სადაც ნოხების შესყიდვის უფლება მიეცემა ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატს მხოლოდ ორ პუნქტზე თბილისში და ბაქოში. ბაქოში ნოხების შესყიდვა ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატმა უნდა აწარმოოს აზერბეიჯანის შინამრეწველობის კოოპერაციასთან შეთანხმებით.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ორატორები საჭიროდ სთვლიდენ, რომ გარდა შინამრეწველობის კოოპერაციისა ნოხების შესყიდვა აეკრძალოს ყველა სხვა ორგანიზაციებს.

თათბირზე გამოქვეყნებულ ცნობებით ნოხების წარმოება მთელ საბჭოთა კავშირში ამჟამად ასეთ მდგომარეობაშია: თურქმენისტანში 1926—27 წელში დაუმზადებიათ 56.000 მანეთის ნოხები, 1927—28 წელს—796.000 მანეთის, ხოლო წელს უნდა დაამზადონ 2.500.000 მანეთის ნოხები. დაღესტანში გასული წლის განმავლობაში დაუმზადებიათ—136.000 მან. ნოხები, წელს უნდა დაამზადონ—500.000 მანეთის. აზერბეიჯანში შარშან დაუმზადებიათ 380.000 მან. წელს კი განზრახულია—1.400.000 მანეთის ნოხების დამზადება. სომხეთში შარშან დაუმზადებიათ 28.000 მან. ნოხი და წელს დაამზადებენ 180.000 მან. ნოხებს. საქართველოს შესახებ ცნობები არ აღმოჩნდა დამუშავებული.

27 ოქტომბერს თათბირზე გაიმართა კამათი ნოხების ექსპორტის საკითხებზე. თათბირმა პრინციპიალურად მიიღო დადგენილება, რომ ნოხ-ხალიჩების, როგორც დამზადება ისე ექსპორტი მიენდოს მხოლოდ შინამრეწველობის კოოპერაციას. ამასთანავე გამოირკვა, რომ ექსპორტის საქმეში შინამრეწველობის კოოპერაცია არაა გამოცდილი და ამიტომ საჭირო ხდება ამ საქმის საორგანიზაციო მხარის მოგვარება. ცალკე, შინამრეწველობის კოოპერატიული ორგანიზაციების გამოსვლა უცხოეთის ბაზარზე ცნობილია მიზანშეუწონლად. ამიტომ საჭიროთაა აღიარებული, რომ ექსპორტის საქმეს შინამრეწველობის კოოპერაციამ თანდათანობით მოჰკიდოს ხელი.

თათბირის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა პრაქტიკული წინადადებანი და შემუშავებულ იქნა ღონისძიებები ნოხ-ხალიჩების წარმოების გაუმჯობესების შესახებ. რეზოლუციების მიღების შემდეგ თათბირი დაიხურა.

პრობკის ხის გაშენება

გუშინ ქუთაისის მაზრაში გაემგზავრენ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილების გამგე მსწავლული აგრონომი-მეტყევე ბაქრაძე და სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ქურდიანი, რომლებიც დაათვალიერებენ ბორჯომის სატყეო აგარაკს, სადაც განზრახულია პრობკის ხის გაშენება.

პრობკის მცენარეულობის გაშენებას დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის მრეწველობისათვის, რომელიც მრავლად ხმარობს საიმპორტო საზღვარგარეთულ პრობკას.

ბანოჯის სატყეო აგარაკში, საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს ინიციატივით, განზრახულია გაშენებული იქნეს პრობკის ხეები 3.000 ჰექტარზე.

მომავალში ამ მცენარეულობის მოსავალით დაიფარება თანდათან საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება პრობკაზე. ამ სატყეო აგარაკში ჯერ კიდევ 30 წლის წინად მოხდენილმა ცდებმა დაამტკიცა, რომ საქართველოს ამ რაიონის ნიადაგის და კლიმატიური პირობები სავსებით ხელსაყრელია პრობკის ხის გასაშენებლად.

საბჭოთა კავშირისათვის ყოველწლიურად საზღვარგარეთიდან გამოწერილი პრობკის დიდი რაოდენობა მოდის უმთავ. საფრანგეთიდან (ალჟირი) და პორტუგალიიდან, სადაც პრობკის ხის დიდი პლანტაციებია გაშენებული. გასულ ზაფხულზე ბანოჯის აგარაკში ორ ჰექტარზე გაშენებულ პლანტაციიდან მიღებული იქნა 6 ტონა პრობკა. აღნიშნული პრობკა შესამოწმებლად წაიღო ლენინგრადში გამოყენებითი ბოტანიკის და ახალი კულტურების საკავშირო ინსტიტუტის წარმომადგენელმა ე. კერნმა, რომელიც იმ დროს თბილისში იყო.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი უახლოეს ხანში შეუდგება საქართველოში პრობკის ხის გაშენების ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმის შედგენას. ამ საქმის განვითარებით მეტად დაინტერესებულია საკავშირო ტრესტი „პრომბიზოლ"-ი, რომელიც სხვადასხვა ნაწარმოებს ამზადებს საზღვარგარეთულ პრობკიდან.

პრობკის პლანტაციების მოსაწყობად საჭიროა მნიშვნელოვანი თანხები. ეს თანხები გაღებული იქნება ცენტრის მიერ.

ქუთაისი დღეს

ვისარგებლე მორიგი შვებულებით და გავემგზავრე ქუთაისისკენ დასასვენებლად. მსუროდა მენახა ჩემი ძველი ნაცნობი ქალაქი, სადაც გავატარე ჩემი ცხოვრების საუკეთესო ხანა.

რიონის სადგურიდან ხინეშით გასწია მატარებელმა, გაიარა საღორიის გადაჩეხილი მუხნარი და გამოჩნდა ქუთაისი თავის ფერადოვან სახლებით, ამწვანებულ ეზო-ბაღებით და მთა-გორაკებით.

„მშვენიერო ქუთაისო, სავარდო და სამაისო"...

უნებურად გამახსენდა ქუთაისის დანახვაზე მგოსნის სიტყვები.

შევედით ქუთაისში, მატარებელი გაჩერდა სადგურზე.

კიდევ ორი წუთი და ქალაქში ვარ. საერთო სიწყნარე და მდუმარებაა. ამ დუმილს არღვევს გიჟმაჟი რიონი, ეს ფასის მთის ჩაუქი შვილი, რომელიც იჭრება შუაგულ ქალაქში თავის მჩქეფარე ტალღებით და გამალებით მიექანება შავი ზღვისაკენ ვრცელი ჭალებით.

ებრაელთა უბანში

მეორე დილითვე გავეშურე ებრაელთა უბნის სანახავად, რომელიც ამ 6 თვის წინად განადგურდა. საუცხოვო დარი იდგა.

მართლაც შემზარავი სანახავია ეს ნანგრევებად ქცეული და გადამწვარი უბანი, საშინელია მეტადრე მთვარიან ღამეში ზღაპრულ ვეშაპის მსგავსად პირდაღებულნი აქაიქ ამართული გარუჯული შენობათა ჩონჩხები.

სასოწარკვეთილს, შეშინებულ - გაღატაკებულს და უსახლკაროდ დარჩენილ ხალხს ერთგულ ქომაგად მოევლინა საბჭოთა ხელისუფლება.

ყოველი მხრიდან დენილმა მშრომელთა დახმარებამ, დროებითი ბინებმა და უფასო სასადილოებმა გაამხნევეს სტიქიონის მიერ დასჯილი ებრაელნი.

როგორც ვიცით, ქალაქის კომისიამ უკვე დაგეგმა მათთვის დასასახლებლად ჭავჭავაძის ქუჩის ბოლოში საკმაოდ ვრცელი ადგილი. მაგრამ ებრაელთა ერთი ნაწილი, და მეტადრე ქალები ალბად მოხუც ფანატიკოსთა გაქეზებით, ახალ უბანში გადასახლებაზე უარს ამბობენ, სურთ ძველ, ერთ ციდა ადგილზე დარჩენა და კვლავ სახლების აგება, რაც თვით ებრაელთათვის დიდად საზიანოა.

მუზეუმი

ამავე დღეს დავათვალიერე ქუთაისის არქეოლოგიური მუზეუმი, რომელიც მოთავსებულია ყოფილ რეალურ სასწავლებლის შენობაში. უზარმაზარი დარბაზი სავსეა სხვადასხვა არქეოლოგიურ და ისტორიულ ნაშთებით. აქ არის ქვის ეპოქის მდიდარი კოლექცია, კაჟის დანები. ნაჯახები, სადგისები, ბრინჯაო - სპილენძის ხანის ქალის სამკაულები, საშუალო საუკუნის ჯუბა-ჯავშანი, ჩაფხუტები, რკინის პერანგები, ხმალ-კალდამები, ფარები, რახტები, ძველი საოჯახო ავეჯი, ქალის სამოსელი, სვანეთიდან მოტანილი ციხის ჯაზაირები, სვანური აფერადებული აკვანი, გაქვავებული ლოკოკინები, ვეშაპის ბეჭი და გველეშაპის ძვლები. [illegible] ქვის აკლდამა და ქვის უზარმაზარი ლუზა, აგრეთვე ძველ-დანგრეულ ტაძრებიდან მოტანილი ჩუქურთმებიანი ქვები. ყურადღებას იზიდავს ძველი დროის ქალების ოქრომკედით ნაქარგები და სხვა ბევრი, რამ, რომელთა დათვალიერება უფრო დეტალურად ვერ შევესძელ, უდროობის გამო.

თითქმის, ყველა აღნიშნული ნივთები ნაპოვნია და შეძენილი დასავლეთ საქართველოში.

მუზეუმის გამგე და მისი თანაშემწენი, დიდ მუყაითობას იჩენენ საქმისადმი.

ქუთაისის ქარხნები და ახალშენები

სწორედ მეორე დილით მოიღრუბლა უცებ და წამოვიდა წვიმა, რამაც გასტანა 3—4 დღე და მდინარეთა ადიდებით საგრძნობი ზიანი მიაყენა ქვემო იმერეთს.

წლევანდელმა ზაფხულმა საქართველოში და კერძოდ იმერეთში გადააჭარბა ყველაფერს. სიმინდის ყანები და შესანიშნავად მოვლილი ზვარ-ვენახები ლპება და ილუპება ამ გამუდმებულ წვიმების გამო. განსაკუთრებით დიდი ზიანი ეძლევა ქვემო იმერეთის და გურია - სამეგრელოს გაშლილ ჭალებში ამოსულ ყანებს.

მიუხედავად ამისა ქუთაისის მცხოვრებნი წელში გამართულია და იმედით გამხნევებული. მათ წინ იშლება ეკონომიურ ცხოვრების აღორძინების ფართო პერსპექტივები.

ქუთაისელს, ვის არ გაამხნევებს 2—3 წლის წინ აგებულ შალეულის დიდი ფაბრიკა, ვრცელი საგრენაჟო სადგურები, ბარიტის ქარხანა, და სხვა ასეთები.

მაგრამ ყველა ესენი მცირეა მასთან შედარებით, რაც შენდება ამჟამად. ესენია: წყალსადენი, ბარიტის დიდი ქარხანა და აბრეშუმის ძაფსახვევი დიდი ფაბრიკა, აბჰესის ენერგიის გამოყვანა და მეტადრე 60.000 ცხენის ძალოვანი, გუმბერაზი რიონჰესი, რომელიც უნდა დამთავრდეს 3—4 წლის შემდეგ.

აბრეშუმის საგრენაჟო სადგური

მსურდა მენახა ყველა ის ფაბრიკა - ქარხნები და წამოწყებანი, რომელთაც ჩაუყარეს საფუძველი ამ ქალაქის ინდუსტრიალიზაციას.

მაგრამ დიდ ქარხნებისაკენ წასვლამდე ვეწვიე აბრეშუმის მესამე საგრენაჟო სადგურს.

ასეთი სადგური დასავლეთ საქართველოში სამია: ერთი სოფ. ვანში და ორიც ქუთაისში. სამ ვე სადგურში მზადდება წლიურად 70.000 კოლოფი აბრეშუმის ცელულიარული თესლი. თითო კოლოფში იყრება 25 გრამი ანუ 6. მისხალი თესლი. გარდა ამისა კერძო გრენიორები ამზადებენ კიდევ 20.000-მდე კოლოფ თესლს. ამრიგად მთელ საქართველოში მზადდება სულ 90.000-მდე კოლოფი აბრეშუმის თესლი ამ მოკლე ხანში განზრახულია აგონ ქ. თელავში ასეთივე საგრენაჟო სადგური, რომელიც დაამზადებს წლიურად 20-25 ათას კოლოფ თესლს.

ასეთი სადგურები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არ იყო საქართველოში. ამიტომ აბრეშუმის თესლი კერძო ვაჭრებს შემოჰქონდათ უცხოეთიდან, უმთავრესად ოსმალეთ-იტალიიდან.

ხშირად შემოტანილი თესლი იყო უვარგისი, პებრინით და აბრეშუმის ჭიის სხვა სენით დაავადებული, რაც აძლევდა ჩვენს გლეხობას დიდ ზარალს.

2—3 წელია, რაც საჭირო აბრეშუმის თესლის $2/3$ ნაწილი მზადდება ჩვენში აღნიშნულ საგრენაჟო სადგურებში ევროპის ტეხნიკის საუკეთესო წესით. ქუთაისის მესამე საგრენაჟო სადგური მოთავსებულია შუაგულ ქალაქში.

ახლად აგებული ვრცელი ორსართულიანი ლამაზი შენობა, წინ პაწია ბაღი, ეზოში იშვიათი სისუფთავე, ფართო ფანჯრები და ოთახებში უხვი სინათლე, ასეთია ეს ფაბრიკა.

დავათვალიერე განყოფილებანი: საინკუბაციო, საგრენაჟო სამიკროსკოპო, საზამთრო (თესლის შესანახი ოთახი, ზამთრის პერიოდში). ლაბორატორია და სხვ. უნდა აღვნიშნო, რომ საჯიშე პარკები მზადდება განსაკუთრებით სხვადასხვა სოფლებში, კერძო მეურნეთა ოჯახებში, მცოდნე პირთა ხელმძღვანელობით. ამ მიზნით აქვე საგრენაჟო სადგურში საინკუბაციო ოთახში გამოჰყავთ აბრეშუმის ჭია და ურიგდება გლეხებს. ამრიგად გამოყვანილი და რაციონალურად მოვლილი ერთი კოლოფის თესლის ჭია იძლევა 3—3 ½ ფუთ ნედლ პარკს. ამ პარკის მიღებისთანავე სადგურში ხდება მისი გადარჩევა (სელექციონი). ამრიგად საერთო რაოდენობიდან სათესლიო გამოსადეგი პარკი გამოდის 40—45 პროც.-დე, რომელთაგანაც გამოყავთ სათესლე პეპლები.

მთელი ეს პროცედურა ითხოვს 2—3 თვეს და რამდენიმე ასეულ მუშა ხელს. როგორც აქ, ისე მიკროსკოპებზე მომეტებით მუშაობენ ქალები სპეცების ხელმძღვანელობით. ამჟამად მოქმედობს სულ 32 მიკროსკოპი, რომელთაც უნდა დაემატოს კიდევ 40-მდე ერთი მიკროსკოპით ხდება დღეში საშუალოდ 1.500 პეპლის თესლის შემოწმება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითეული პეპლის თესლი, [illegible] ინახება ცალკე [illegible].

[illegible] აქ ვერ შევჩერდებით ამ სადგურის სხვა დეტალებზე, აღვნიშნავთ,—მხოლოდ, რომ აქ მოკლე ხანში აქ გაუმართავთ ლაბორატორია სადაც ახდენენ სხვადასხვა ცდებს და ექსპერიმენტებს, ერთი მეორეზე სხვადასხვა ჯიშის აბრეშუმის ჭიებს, და ადგილობრივისა და უცხოეთის ჯიშის ერთგვარ ჰიბრიდაციით წარმოშვან ისეთი ჯიშები, რომლებიც უკეთ შეეგუებიან აქაურ ჰავას, მოგვცემენ მეტ მოსავალს და საუკეთესო თვისების პარკებს. აღნიშნულ ლაბორატორიას მჭიდრო კავშირი აქვს სახ. უნივერსიტეტის ლაბორატორიასთან.

წყალსადენი

ქუთაისი დღემდე მოკლებულია წყალსადენს და სვამს რიონის მღვრიე, გაბინძურებულ წყალს, რომელსაც, 12—15 ვედროიან კასრებით ეზიდებიან სახლებში 50—80 კაპეიკად თითო კასრს.

უწყლობით გაწამებულ მცხოვრებთა ოცნება უკვე ხორცს ისხამს. დღეს ქუთ. აღმასკომის მეოხებით, რომელმაც გადასდო ამ დიდ საქმეზე ადგილობრივ ბიუჯეტიდან 600.000 მანეთი და შეუდგა კიდეც საქმეს, სამუშაოთა მწარმოებლად მოწვეულია მცოდნე და ნიჭიერი ინჟინერი. გამოთხოვილია აგრეთვე ამ საქმისათვის ცენტრიდან სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით 1.250.000 მანეთი, რომელიც უნდა მიიღონ მომავალ 1928-29 წელს. აღნიშნული წყალსადენი ნორმალურ პირობებში უნდა დამთავრდეს 1930 წელს; ნაწილობრივ კი წყალი იქნება გაშვებული უკვე 1929 წელს. წყალი გამოჰყავთ მდინარე რიონიდან 6 სოფ. ჭომის ზემოდ, ამ სოფელში უკვე სწარმოებს მიწის სამუშაოები წყლის დასაწმენდათ და აუზის ასაგებად. იქვე მზადდება საშენი მასალაც.

100.000 ვედრო წყლის ტევობის საწნეო აუზი კი შენდება ქალაქის სამთო უბანში, სახელდობრ მწვანეყვავილის მაღლობზე. აუზის საკალატოზო სამუშაოები უკვე დამთავრებულია და ამჟამად შეუდგენ ბეტონის სამუშაოებს. წყალის [illegible] ენერგია პირველ ხანებში (რიონჰესის აგებამდე) გადაცემულ იქნება აბჰესიდან.

წყალის ხარჯი ქალაქისათვის დღე-ღამეში ნავარაუდევია 300.000 ვედრომდე, ე. ი. 6 ვედრო თითო სულზე. ხოლო ქალაქის მილების ქსელი ნაანგარიშებია 600.000 ვედრო წყალის ხარჯისათვის.

თუმცა განზრახული იყო წყაროს წყალის გამოყვანა, სოფ. ორბეთიდან (ლეჩხუმის მაზრა), რომელიც მდებარეობს ქუთაისიდან 44 კილომეტრის მანძილზე, მაგრამ ტეხნიკურ და ფინანსიურ მოსაზრებით კომისია შეჩერდა პირველ ვარიანტზე. — ე. ი. წყალსადენის გაყვანაზე თვით მდინარე რიონიდან.

ამრიგად ელება ბოლო იმ საშინელ შევიწროებას, რასაც განიცდის ქუთაისი უწყლობის გამო. ეჭვი არაა, წყალსადენის გაყვანას დაუკავშირდება კანალიზაცია, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ყველა ქალაქისათვის სისუფთავე - ჯანმრთელობის თვალსაზრისით.

კირი, ბარიტის და აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხნები

სამ კილომეტრზე ქალაქიდან საკირე ქვის უზარმაზარ კლდეებთან ქუთ. აღმასკომი აშენებს დიდ საკირე ქარხანას, რომელმაც უნდა დაამზადოს წელიწადში ერთი მილიონი ფუთი კირი.

ეს ქარხანა მოკლე ხანში იქნება დამთავრებული და მიაწვდის კირს ფრიად ხელსაყრელ ფასებში როგორც საქართველოს ქალაქებს, ისე მეზობელ რესპუბლიკებს. ამჟამად ქარხანა დამთავრებულია 70 პროცენტით.

ბევრად მეტ ინტერესს წარმოადგენს საკავშირო მასშტაბით ბარიტის მადნები რომლებიც ბლომად მოიპოვება ქუთაისის, ლეჩხუმის და შორაპნის მაზრებში. ბარიტის მოთხოვნილება რუსეთის ბაზარზე დაიწყო ამ ორ ათეულ წლის წინად, ხოლო უფრო ინტენსიურად თხოულობენ მას ამ ბოლო წლებში. ბარიტი იგზავნება რუსეთში, როგორც დაფქვილი ისე დაუფქვავი, გარეცხილ კანჭების სახით. ბარიტს ფქვავენ ქუთაისში ერთ პაწია წისქვილში, რომელიც მუშაობს მატორით და ფქვავს დღიურად 1.000 ფუთამდე ქვას, რაც სრულებით ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამიტომ უკვე აუგიათ ქუთაისის ბოლოში კახიანურის პლატოზე ბეტონის თხელ ფირფიტებით გადახურული საფქვავი უზარმაზარი ქარხანა, რომელშიაც დაუდგამთ საჭირო მანქანები და წისქვილები. 2—3 თვეში ეს ქარხანა დაიწყებს კიდეც მოქმედებას და დღე-ღამეში დაფქვავს 6—7 ვაგონ ბარიტს ანუ წლიურად ორ მილიონ ფუთამდე.

ამავე კახიანურის პლატოზე, ბარიტის ქარხნის მეზობლად აგებულია რკინა ბეტონისაგან უზარმაზარი შენობა. ეს არის მომავალი აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხანა, რომელშიაც დაიდგმება 144 დაზგა და რომელშიაც იმუშავებს ორ ცვლად 300-მდე ქალი. ეს ქარხანაც დამთავრდება და ამუშავდება 2—3 თვეში.

რიონჰესი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რიონჰესი ყველაზე უფრო დიდი წამოწყებაა საქართველოს სინამდვილეში საზოგადოდ და კერძოდ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში.

რიონჰესის მშენებლობა დაიწყო გასულ წელს აგვისტოში. ხარჯთაღრიცხვით იგი უნდა დაჯდეს 16 მილიონი მანეთი. ამჟამად აგებულია 800 ცხ. ძალიანი დროებითი ელსადგური (საღორიაში), რომლის მიზანია რიონჰესის სამუშაოთა მექანიზაცია, ამ სამუშაოების სახელოსნოების, მუშების ბინების განათება და სხვ. დაწყებულია დიდი არხის აგება სამშენის მიერ; დაწყებულია გვირაბის გათხრა ორივე მხრივ: გაყვანილია დროებითი წყალსადენი; გაყვანილია სამუშაოებთან მისასვლელი გზები; ზოგიც კეთდება და სხვ. მუშების რაოდენობა აღწევს 1.600 კაცამდე.

ამის შემდეგ მსურდა დამეთვალიერებინა შალეულის ფაბრიკა, ღვინის სარდაფი „მარანი", ახლად აგებული სარწყავი არხები „მაშველი" და პირველი საბჭოთა არხი, რომლებიც ამჟამად უკვე რწყავენ 7.000-მდე ჰექტარს, დამთავრების შემდეგ კი უნდა მორწყან 20.000-მდე ჰექტარი მიწა. მსურდა აგრეთვე მენახა დიმი-როკითის და ხონი-სამტრედიის სარწყავი სისტემები, ყველა ეს მნიშვნელოვანი სამელიორაციო ნაშენები, მაგრამ კოკისპირულმა წვიმებმა ამის საშუალება არ მომცა.

დავტოვე ქუთაისი. დავტოვე არა იმ დუხჭირ შთაბეჭდილებით, რომელიც მრჩებოდა ამ ქალაქიდან წინად. ქუთაისი იზრდება, ქუთაისი წინ მიდის, ის თვალდათვალ გამოუცნობი ხდება.

ს. ქ—ნი.

საქ. სახკომსაბჭოში

ინვალიდთა კავშირის „გლარჯა"-ს გამოკვლევა

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ მოისმინა მ.-გ. ინსპექციის სახ. კომისარიატის მოხსენება ინვალიდთა კოოპერატიული არტელის „გლარჯა"-ს სოციალური შემადგენლობის გამოკვლევის შესახებ.

სხდომამ დაამტკიცა მ.-გ. ინსპექციის სახ. კომისარიატის სპეციალური კომისიის დადგენილება აღნიშნული არტელის შემადგენლობიდან 55 კაც. (არა ინვალიდთა) გამორიცხვის შესახებ.

წინადადება მიეცა სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს გამოიკვლიოს ინვალიდთა სოციალური შემადგენლობა და სათანადო მოხსენება წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს.

ახალ კანონმდებლობასთან შეფარდებით ინვალიდთა არტელების ორგანიზაციის საკითხი დასკვნისათვის გადაეცა სახკომსაბჭოს სარედაქციო-იურიდიულ განყოფილებას.

საბავშო კონსულტაციების შენახვის შესახებ

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა სახკომსაბჭოს წინაშე არსებული საბავშო კონსულტაციების სახ. ბიუჯეტიდან მოხსნისა და ადგილობრივ ბიუჯეტზე გადაყვანის შესახებ. სახკომსაბჭომ დაავალა ჯანმრთელობისა და ფინანსთა სახ. კომისარიატებს მოაგვარონ საბავშო კონსულტაციების შენახვის საკითხი.

„მოსავლის დღე"

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა „მოსავლის დღის" ჩატარების გეგმა და სახელმძღვანელოდ დაუგზავნა ადგილებს.

ადგილობრივ სამიწადმოქმედო ორგანოებს ევალება „მოსავლის დღის" ჩატარების დროს გააძლიერონ კამპანია მოსავლის გადიდებისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ღონისძიებებს სასოფლო-მეურნეობის გასაუმჯობესებლად, მიწად-მოწყობის ჩასატარებლად, ხარისხოვან თესლის შემოღებას და სხვ.

აგრონომიულმა ორგანიზაციებმა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხების შესახებ უნდა მოაწყონ შესაფერი საუბარი-ლექციები და გლეხებს გააცნონ გაუმჯობესებული ტეხნიკური საშუალებები სოფლის მეურნეობის დარგში.

გეგმის თანახმად „მოსავლის დღე"-ს მოეწყობა რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენები და სას.-სამ. კონკურსი. კონკურსის და გამოფენების საორგანიზაციო მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნენ სასოფლო-სამეურნეო წრეები, დელეგატი-ქალები, რომლებიც აწარმოებენ საცდელ მეურნეობას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, კომკავშირელები, კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები. საერთო მუშაობას ხელმძღვანელობას უწევენ თემსაბჭოების სასოფლო-სამეურნეო სექციები. საუკეთესო მეურნე გლეხებს დაურიგდება ჯილდოები.

სამაზრო აღმასკომებთან დაარსებული იქნება „მოსავლის დღის" ჩამტარებელი სამეული, რომელიც უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევს დღესასწაულის ჩატარებას მთელ მაზრაში.

ბამბისა და თამბაქოს ნათესების კონტრაქტაცია

საქართველოს კოლექტიურ მეურნეობებში თამბაქოს და ბამბის ნათესების კონტრაქციის საქმის მოგვარების მიზნით კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრში გუშინ შესდგა მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის, კოლმეურნეობათა ცენტრის, სოფლის კავშირის", ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის, საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილების და საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარმომადგენლების თათბირი.

საინფორმაციო მოხსენებები გააკეთეს ამხ. ცაგარელმა, ცილიცამ და ხაბურძანიამ. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ საქართველოს კოლმეურნეობებში გაერთიანებულია 1.235 დეს. მიწა, რომელიც მთლიანად შეიძლება გამოყენებული იქნეს თამბაქოს კულტურისათვის და 765 დესეტინა, რომელიც მთლიანად შეიძლება დაითესოს ბამბით. მომხსენებლებმა დაახასიათეს კონტრაქციის საკითხის მდგომარეობა და აღნიშნეს, რომ ამ საქმეში საჭიროა უფრო მეტი გეგმიანობის დაცვა.

აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ გამოყოფილი იქნა კომისია, რომელსაც დაევალა მუშაობის გეგმის და პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავება.

კომისიაში არჩეული არიან მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის, კოლმეურნეობათა ცენტრის, „სოფლის კავშირის", ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის წარმომადგენლები. კომისიამ მუშაობა უნდა დაათავროს ერთი კვირის განმავლობაში.

მუშკოოპის რწმუნებულთა მე-14 კრება

გუშინ საღამოს ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მორიგი მე-14 კრება. მოსმენილ იქნა გამგეობის საინფორმაციო მოხსენება უკანასკნელ 4—5 თვის საქმიანობის შესახებ. და მოხსენება მუშკოოპის 1928—29 წელში საქონლით მომარაგების პერსპექტივების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა მუშკოოპის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ა. ერისთავი, მეორე საკითხზე—გამგეობის წევრი ამხ. ავეტისოვი.

ამხ. ერისთავმა აღნიშნა, რომ რწმუნებულთა მე-12 კრების მიერ შემუშავებული საკონტროლო ციფრები წევრთა მოზიდვის და საშუალებათა დაგროვების საქმეში გამგეობამ სავსებით ვერ შეასრულა. ამას ხელს უშლიდა ზოგიერთი ობიექტიური პირობები და კერძოდ ის, რომ პროფორგანიზაციების მონაწილეობა კავშირის წევრთა კოოპერატიულად შეკავშირების საქმეში სუსტი იყო.

ა-წ. 1 ოქტომბრისათვის მუშკოოპის წევრთა რიცხვი უდრიდა—43.662 კაცს. აქედან 25.5 პროცენტს შეადგენდენ ქალები, 49.5 პროცენტს მუშები და დანარჩენს მოსამსახურეები. საშუალო საპაიო თანხამ თითოეულ წევრზე მიაღწია 9 მან. 17 კაპეიკს. გაძლიერდა სანაბარო ოპერაციები. ანაბრები გადიდებულ იქნა 27.081 მანეთამდე.

ამხ. ავეტისოვი დაწვრილებით აცნობს რწმუნებულებს თუ როგორ იქნება მომარაგებული მუშკოოპი სას. სამ. პროდუქტებით და სამრეწველო საქონლით.

მოხსენებიდან ირკვევა, რომ როგორც პირველ, ისე მეორე ჯგუფის ზოგიერთ საქონელზე ადგილი ექნება ნაკლებობას, მაგრამ მდგომარეობის გაუარესება მოსალოდნელი არ არის. მომხმარებელი საჭირო პირველ მოთხოვნილების საქონლით დაკმაყოფილებული იქნება.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში გამოსულმა რწმუნებულებმა გამოსთქვეს საყვედური ზოგიერთ მაღაზიის გამგეებზე, მათ მიუთითეს გამგეობას თუ სად რომელი საქონელი მოიპოვება მცირე რაოდენობით და სხვა. სხვათაშორის მათ მოითხოვეს პრემიალური მარკების მოსპობა და ამ თანხის გამოყენება მუშკოოპის წევრთა ყოფა-ცხოვრებითი პირობების გაუმჯობესებისათვის. მოითხოვეს აგრეთვე უარყოფილ იქნეს შალეულის განაწილება წარმოება-დაწესებულებებზე აქამდე არსებულ წესით.

ფშავ-ხევსურეთის გზა

საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველო მიმდინარე წლის სააღმშენებლო სეზონში შეუდგა ფშავ-ხევსურეთის გზის გაყვანას.

გზის საერთო სიგრძე უდრის 60 კილომეტრს. იგი იწყება სოფ. ჟინვალიდან, გაივლის მდ. ფშავის-არაგვის მარცხენა ნაპირზე სოფ. ბარისახომდე და ექნება შტო სოფ. ორწყალიდან—შუაფხომდე.

წელს დამთავრებულია ყოველგვარი მუშაობა ორი კილომეტრის მანძილზე სოფ. ჟინვალიდან მდ. ფშავის-არაგვის ნაპირამდე. აქედან 1.545 მეტრზე სამუშაოები შესრულებულია შრომის ბეგარის წესით.

გამოკვლევითი მუშაობა დაიწყო ა. წ. ივნისში, ხოლო მიწის სამუშაოები—ივლისში.

ამჟამად გზის გამოკვლევითი მუშაობა მთავრდება.

წელს ამ საქმეზე დაიხარჯება—14.260 მანეთი. მომავალ წლისათვის თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გზის სააღმშენებლო სამუშაოების გასაგრძელებლად გადადებული აქვს 100.000 მანეთი.

გზის გაყვანის დასრულება განზრახულია მომავალი წლის სააღმშენებლო სეზონში.

რკინის გზებზე

პ. ქავთარაძის დანიშვნა

ა.-კ. რკინისგზების იურიდიულ განყოფილების უფროსად დაინიშნა დამცველთა კოლეგიის წევრი ქავთარაძე.

29.595 მანეთის ზარალი

შემთხვევებთან მებრძოლმა საგზაო კომისიამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა 20 საქმე მატარებლების დაჯახების, ვაგონების ლიანდაგიდან გადავარდნის და სხვ. შესახებ.

როგორც გამოირკვა, ყველა ამ შემთხვევებს გზებისათვის მიუყენებია 29.595 მანეთის ზარალი.

დამნაშავე პირები დასჯილი არიან ადმინისტრატიული წესით.

ხანძარის თავიდან ასაცილებლად

სადგ. ლიხში მატარებელ № 102-ს გაუჩნდა ცეცხლი. მძიმედ დაშავდა მემანქანე იაკუბოვსკი.

ცეცხლის გაჩენის მიზეზების გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ იგი გაჩნდა ორთქლმავლის დეფექტების გამო.

ასეთი ხანძრების მომავალში თავიდან ასაცილებლად წევის დარგმა გადასწყვიტა გამბოლ მილების გადაკეთება.

სასამართლო

სასამართლოს მდივანი საბრალმდებლო სკამზე

თბილისის სამაზრო სასამართლო ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით შეუდგა თბილისის მესამე უბნის სახალხო სასამართლოს ყოფილი მდივნის გიორგი არჩუაშვილის გასამართლებას.

არჩუაშვილს სასამართლოს მდივნად ყოფნის დროს გასული წლის განმავლობაში სისტემატიურად უფლანგავს სახაზინო ფული.

გიორგი არჩუაშვილი ისე გადმოვიდა მესამე უბნიდან სამაზრო სასამართლოს მდივნად, რომ არავის ეჭვიც არ ჰქონდა აღებული მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედების შესახებ.

გიორგი არჩუაშვილი არხეინად მუშაობდა თბილისის სამაზრო სასამართლოში პასუხისმგებელ მდივნად და სრულებით არ გრძნობდა იმის პასუხისმგებლობას, რაც მანამდე ჰქონდა ჩადენილი მესამე უბნის სასამართლოში.

მესამე უბანში დანიშნულმა რევიზიამ გამოააშკარავა არჩუაშვილის ბოროტმოქმედება. მას გაფლანგული აღმოაჩნდა 2.000 მანეთზე მეტი, რისთვისაც მოხსნილ იქნა სამსახურიდან და გაიგზავნა იქ, სადაც ბევრი წასულა არჩუაშვილის მიერ ხელმოწერილი „ატესტატით".

არჩუაშვილი სასამართლოში სცნობს თავს დამნაშავედ გაფლანგვაში და აცხადებს, რომ მან ეს ჩაიდინა მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო.

სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

—

გამფლანგველ ა. ლოლუას გასამართლება

(საჩვენებელი პროცესი)

გუშინ პროცესი გრძელდებოდა სამაზრო სასამართლოს დარბაზში.

მოწმეების დაკითხვა დამთავრდა. მოწმეებს არსებითად ახალი არაფერი შეუტანიათ საქმეში.

როგორც მკითხველებმა იციან, ამ საქმეში ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს ექსპერტების დასკვნას და ექსპერტების პასუხს სასამართლოს შეკითხვებზე, ვინაიდან მთელი ბრალდება ემყარება ექსპერტების დასკვნას იმ „დოკუმენტის" სიყალბის შესახებ, რომელიც მოწმობს თითქმის ლოლუას გაფლანგული თანხა ჩაბარებული აქვს ინკასატორისათვის.

გუშინდელ სხდომაზე მხარეებმა წარუდგინეს ექსპერტების წერილობითი შეკითხვები. ექსპერტები შეკითხვების პასუხის დასამზადებლად იმუშავებენ ორშაბათამდე.

საქმე დიდ ინტერესს იწვევს.

ჯიბრზე სკოლა გადასწვეს

თავიდან დავიწყებთ ისტორიას ერთი სკოლის გადაწვის შესახებ, რადგან ეს ამბავი მეტად საინტერესოა და მეტად სამწუხარო, როგორც იმის მაჩვენებელი, თუ სანამდე მიიყვანს ადამიანს შეუგნებლობაზე, სიბნელეზე აღმოცენებული ჯიბრი და გაუტანლობა.

ჯგალის თემში (ზუგდიდის მაზრა) სოფელ ლესალეს მცხოვრებლები სკოლას დიდი ხნის წინ აგებდნენ, რომ ყოფილიყო მათ შორის ერთსულოვნება და თანხმობა, რომ არ დაეწყოთ ჩხუბი და დავიდარაბა სკოლის ასაგებ ადგილის შესახებ.

ჯერ კიდევ მეფის მთავრობის დროს სოფელ ლესალეში ორი ჯგუფი იბრძოდა ერთმანეთის შორის სკოლის ადგილის ამორჩევის გარშემო. ამ ორ ჯგუფს შეადგენდნენ: ზემო-ლესალელები და ქვემო-ლესალელები.

თვითეულ მებრძოლ ჯგუფს თავისი ხელმძღვანელები ჰყავდა. თვითეულს თავისთვის ჰქონდა არჩეული ადგილი, სადაც სკოლა უნდა აგებულიყო. იყო ბრძოლა დაუსრულებელი.

რომ ბრძოლა ძალიან მწვავე ხასიათს ატარებდა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ წინანდელ მთავრობის განკარგულებით სოფლელების ნება სურვილის დაუკითხავად აგებულ სკოლას ცოტა ხნის შემდეგ ცეცხლი გაუჩნდა (!) და ფერფლად იქნა ქცეული.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც არ მოღებია ბოლო ზემო და ქვემო-ლესალელების ბრძოლას. სკოლის აგება კი აუცილებლად იყო ცნობილი.

ზემო-ლესალელებმა ჩაუყარეს საძირკველი სკოლის შენობას. ქვემო-ლესალელებმაც დაიწყეს მუშაობა სკოლის ასაგებად.

დაიწყო ისევ ჩხუბი. წაეკიდნენ ერთმანეთს ისე, რომ სალამსაც აღარ აძლევდნენ ზემო-ლესალელები ქვემო-ლესალეს მცხოვრებთ.

საკითხის გამოსარკვევად გაგზავნილ იქნა ადგილობრივ განათლების ინსპექციის წარმომადგენელი, რომლის რჩევით მიზანშეწონილად იქნა ცნობილი სკოლის აგება ქვემო-ლესალეში.

ზემო-ლესალელებმა მუშაობა მაინც არ შესწყვიტეს, ასე, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ერთ სოფელში აშენდა ორი სკოლა.

მაზრის ხელისუფლებამ ორივე სკოლა უზრუნველჰყო მასწავლებლებით და სათანადო სახელმძღვანელოებით და ორივე სკოლაში დაიწყო სწავლა. სამი წელი იარსება ორივე სკოლამ.

ორივე სკოლაში მოწაფეთა რიცხვი იყო ძალიან მცირე განსაკუთრებით ზემო-ლესალეში, რის გამო 1927—28 სამოსწავლო წლის დამდეგს განათლების ინსპექციამ დახურა ზემო-ლესალეს სკოლა.

განახლდა ისევ მტრობა. ზემო-ლესალე გადაემტერა ქვემო-ლესალეს. ზემოურებს მეთაურობენ გვარით სალიები: **ედუ, თომა ივანე** და სხვ... „ვნახოთ ვის შერჩება სკოლაო"—შეუთვალეს სალიებმა ქვემო-ლესალეს მცხოვრებლებს.

გაიარა ცოტა ხანი და გასული წლის 9 ოქტომბერს ქვემო-ლესალეს სკოლას წაუკიდეს ცეცხლი და ნაცარ-ტუტად აქციეს.

ზემო-ლესალეს მცხოვრებლები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ამის შემდეგ ქვემო-ლესალელები შეურიგდებიან ბედს და მათ სკოლაში განაახლებენ მეცადინეობას.

მაგრამ მათი იმედი არ გამართლდა. რაიონული მილიციის განკარგულებით ზემო-ლესალეს სკოლის ინვენტარი გადაიტანეს ქვემო-ლესალეში და იქ დაქირავებულ შენობაში იწყება მეცადინეობა. ზემო-ლესალელებმა იფიქრეს შენობასაც იქ გადაიტანენო და თავისი სკოლა ვიღაც კერძო პირს მიჰყიდეს 300 მანეთად.

სკოლის დაწვის საქმეში ჩაერია პოლიტსამმართველო და აღმოჩენილ იქნენ დამნაშავეები. ესენი აღმოჩნდნენ **ედუ ხულორდავას ასული სალია, თომა და ივანე სალიები.**

ედუ სალია გამოტყდა დანაშაულში და ილაპარაკა, როგორ მოაწყო სკოლის გადაწვა.

საქმე გაარჩია წალენჯიხის უბნის სახალხო სასამართლომ და სამივე ბრალდებულს **ედუ, თომა და ივანე სალიებს მიუსაჯა ოთხ-ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა.**

მსჯავრდადებულთ უნდა გადახდეთ დამწვარი სკოლის ღირებულება.

მათ საჩივარი აღძრეს უზენაეს სასამართლოში.

ბერ.

ქრონიკა

ინჟ. ს. დ. შეინის გამგზავრება

თბილისიდან ბაქოში გაემგზავრა ინჟინრების და ტეხნიკოსების სრულიად საკავშირო სექციათაშორისო ბიუროს თავმჯდომარე ინჟინერი ს. დ. შეინი.

შავი ზღვის საჰაერო გზა

თბილისიდან ქუთაისში გაემგზავრა სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ამიერ-კავკასიის შავი ზღვის საჰაერო ხაზის გამოკვლევა. კომისია გამოარკვევს, თუ რამდენად შესაძლებელია თვითმფრინავების დასაშვები პუნქტების მოწყობა ქუთაისში, ზუგდიდში, ოჩემჩირეში, სოხუმში, სოჭში და ტუაფსეში.

ბელორუსიის კინო - ექსპედიციის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ბელორუსიის კინო-ექსპედიცია, რომელსაც განზრახვა აქვს გადაიღონ კადრები საკუთარი კინო-ფილმებისათვის.

დაჯილდოება შრომის ორდენით

საქართველოს ცაკმა აღმშენებლობის საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისა და მონაწილეობისათვის შრომის ორდენებით დააჯილდოვა ინჟ. ბესარიონ ალექსის ძე ქიქინაძე, ვლადიმერ იაკობის ძე რობლინი (მუშა) და ასატურ ვართანის ძე გრიქუროვი (მუშა).

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის ჩამტარებელი კომისია

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის ჩასატარებლად თბილისის აღმასკომთან დაარსდა კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ვ. ბოლქვაძე (თავმჯდომარე), ბედია, მიქაძე, აზარაშვილი, ანდრიაძე, პატარაია, ბლიუმშაკი, მესხი, საჯაია და კაზაროვა.

კომისიამ თავის შემადგენლობიდან გამოჰყო შემდეგი ქვე-განყოფილებები: დემონსტრაციის ხელმძღვანელი ქვე-კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. მიქაძე, მესხი და საჯაია და სამხედრო-საორგანიზაციო ქვე-კომისია—აკოფოვის, მიქაძის და სოსიანის შემადგენლობით.

ოქტომბრის დღესასწაულის დღეს შესდგება თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა.

გემი „წითელი პროფინტერნი" საქონლით

26 ოქტომბერს ბათომის ნავთსადგურში მოვიდა გემი „წითელი პროფინტერნი", რომელმაც „ზაკგოსტორგი"-ს სახელზე მოიტანა ელექტრო-მოტორები, ავტომობილები, ტრანსფორმატორები, ფოტო-აპარატები, საკონსერვო ქარხნების მოწყობილობა, სხვადასხვა სალებავები და მრავალი სხვა საქონელი.

საკავშირო საფილოქსერო თათბირი

საკავშირო თათბირი, ფილოქსერის საკითხებზე, რომელიც უნდა შემდგარიყო თბილისში 10 დეკემბერს, მიწად-მოქმედების კომისარიატის ცნობით, შესდგება მომავალი წლის 15 თებერვალს.

შირაქის ნავთი

ინჟ. ყიფშიძემ ჩვენი გაზეთის თანამშრომელს აცნობა, რომ შირაქის ჭაბურღილი ამჟამად იძლევა სუფთა ნავთს. ნავთის გაზი იმდენად ძლიერია, რომ ნავთი თავისთავად გადმოდის მილებიდან.

დღეს ნავთის წყაროების დასათვალიერებლად შირაქში მიემგზავრებიან სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის წევრები პევცოვი და ქელიძე.

დღეს, აგრეთვე, ინჟ. ივ. ყიფშიძესთან ერთად შირაქში გაემგზავრებიან ბაქოს გეოლოგიურ - ტეხნიკურ კომისიის წევრები ინჟ. ჟღენტი, სამოილოვი და აბეზგაუზი.

აკაკი წერეთლის საფლავის მოვლა

აკაკი წერეთლის საფლავი ამჟამად სრულებით მოუვლელია. ის ფერდობი, რომლის ძირში დასაფლავებულია აკაკი, სანახევროდ ჩამონგრეულია. ამიტომ თბილისის აღმასკომმა კომუნალურ განყოფილებას დაავალა სასწრაფოდ მიიღოს საჭირო ზომები და ფერდობის ჩამონგრევის თავიდან ასაცილებლად ააგოს ცემენტის კედელი.

აკაკის საფლავის სათანადოთ მოსავლელად თბილისის აღმასკომმა გადასდო 9.000 მანეთი.

ილია ჭავჭავაძისეული სახლი

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა კალინინის ქუჩაზე (№ 7) მდებარე ილია ჭავჭავაძისეული სახლი გადასცეს საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციას.

თბ. აღმასკომში

◆ თელასის სამონტაჟო განყოფილება გაუქმდა. მისი ფუნქციების ასრულება დაევალა თბ. ელექტრო - მექანიკურ ქარხანას.

◆ ავიაქიმის მიერ გამოშვებულ ფარების შესაძენად აღმასკომმა გადასდო 1000 მანეთი.

◆ ვერის ხევის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ბაღ-ბოსტნები, რომლებსაც მოიჯარადრეები ამუშავებდნენ გადაეცა მიწად-მოქ. სახ. კომისარიატს.

◆ ყაზბეგის თემში სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხ-ბის გასახსნელად აღმასკომმა გადასდო 2500 მანეთი.

„სოფლის კომუნისტი"

გამოვიდა ჟურნალი „სოფლის კომუნისტი". № 10 შინაარსი: საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა საქ. კომპარტიის (ბ) მუშაობის შესახებ. მიხ. კახიანი — პარტიის უახლოესი ამოცანები სოფლად. ი. ვარძიელი — საბჭოთა მომავალი საანგარიშო საარჩევნო კამპანია. ნ. კრუპსკაია — ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობასთან სოფლად. ქ. ორაგველიძე — მტკივნეული ადგილი ჩვენი კოოპერაციის მუშაობაში. ნ. ქ—ვა — ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის განაღდება სოფლად. აგრ. ნ. აღნიაშვილი — როგორ გავადიდოთ სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა. ს. ხოშტარია — კონტრაქტაციის შედეგები საქართველოში. დ. ვოლხკი — კომკავშირის ზრდის საკითხი. პარტიული აღმშენებლობა: საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მიმართვა კომუჯრედების ბიუროების გადარჩევის შესახებ. სტ. მამულოვი — უჯრედების ბიუროების გადარჩევა. ე. გორდელაძე — მიწა-ტყის კავშირის სისუსტე მოჯამაგირეთა შორის მუშაობაში. ადგილობრივი ცხოვრება: ი. ჭოჭუა —რა სთქვა ღარიბი გლეხობის თათბირმა. ალ. ბედიაშვილი — აგრონომიული მუშაობა და ახალი კოლექტივები სოფლად. მ. ჯინჭველაშვილი — პარტმუშაობა სართიჭალის თემში. ი. ვ—ლი — საკრედიტო ამხანაგობის მუშაობა. ბიბლიოგრაფია.

სხვადასხვა

კვირას, 28 ოქტომბერს, დილის 12 საათზე ქართ. მთიელთა კულტ. საზ-ბის ბინაზე შესდგება ქართველ მთიელ ქალთა კრება. ს. ხართიშვილი გააკეთებს მოხსენებას ქართველ მთიელთა კულტ. საზოგადოებასთან დასაარსებელ ქალთა განყოფილების შესახებ.

ხელოვნების ქრონიკა

კომკავშირელ მწერალთა წრეში

დღეს, 28 ოქტომბერს, საღამოს 6 ს. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს რედაქციის ბინაზე შესდგება კომკავშირელ მწერალთა მორიგი კრება, რომელზედაც პროლეტარულ პროზის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. პ. სამსონიძე.

—

დღეს, 28 ოქტომბერს, დილის 11 საათზე პოლიგრაფსკოლის სტამბის კომკავშირის უჯრედის ლიტერატურულ და მკითხველთა წრის გაფართოვებულ სხდომაზე ამხ. ს. ეული წაიკითხავს მოხსენებას: „პროლეტ. მწერლების პირველი თაობა".

მოხსენების შემდეგ კამათი.

◆ **„ანზორი".** დღეს რუსთაველის თეატრში აბონემენტის გარეშე წარმოდგენილი იქნება „ანზორი".

◆ **მხატვრული კრებული.** პოლიტგანათლების მთავარმმართველობამ გადასწყვიტა საბჭოთა არჩევნებთან დაკავშირებით სოფლის სამკითხველოებისათვის გამოსცეს მხატვრული კრებული.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში სწავლის ქირის შესახებ მოთავსებულ დადგენილებაში თავიდან მე-81 სტრიქონში გაპარულია შემდეგი შეცდომა: სწერია — „100 მანეთზე მეტს ღებულობენ". უნდა იყოს: „100 მანეთზე მეტს არ ღებულობენ".

რადიო-გადაცემა

კვირა, 28 ოქტომბერი

დღეს თბილისის რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

დილით: პიონერთა რადიო გაზეთი ქართულ ენაზე; პიონერთა რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე; გლეხური რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; კონცერტი სვანურ სახალხო მომღერალთა გუნდის მონაწილეობით.

საღამოს: 6 საათზე—კომკავშირელების რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; საუბარი აგრონომიაზე ქართულ ენაზე; ამხ. მაჩაიძის მოხსენება „საქართველოს პროფესიონალური კავშირები ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავზე" ქართულ ენაზე; კომკავშირელების რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე; გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობა; რევოლიუციონური მუსიკის კონცერტი კომკავშირის არსებობის 10 წლის თავის აღსანიშნავად.

ორშაბათს, 29 ოქტომბერს

მუშათა რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე; პოლიტიკური მიმოხილვა—რუსულ ენაზე; საზეიმო სხდომის ტრანსლიაცია კომკავშირის არსებობის 10 წლის თავის აღსანიშნავად თბილისის სახ. ოპერის თეატრიდან.

ჭადრაკი № 1

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

დღეიდან ვიწყებთ „კომუნისტი"-ს ფურცლებზე ჭადრაკის განყოფილების ყოველ კვირეულად გამოშვებას. რედაქცია მიმართავს ყველა ამხანაგებს, ვინც კი დაინტერესებულია ჭადრაკით და მისი კომპოზიციით, გამოგზავნონ თავიანთი ამოცანები, ეტიუდები და საინტერესო პარტიები.

ამოცანა კოზეცის



შამათი სამ სვლაში

თეთრები: მფ g2, ლg8, კf2, კd3, მa2 მa3, h6, g3, d2, c2 (10)

შავები: მფd1, მa4, f5, e4, c3 (5)

ეტიუდი კოვალენკოსი



თეთრები იწყებენ და თავდება ყაიმით

თეთრები: მფa1, კa2, მd5, c2 (4)

შავები: მფa3, ეe2, b4, c3 (4)

პარტია № 1. (კარო-კანის დაცვა)

თეთრები: მაესტრო ნ. დ. გრიგორიევი. შავები: ვ. გოგლიძე.

შეჯიბრების მეორე პარტია გათამაშებულია 7 ოქტომბერს.

1. e2-e4, c7-c6 (შავების ასეთი განვითარება თეორიაში ცნობილია „კარო-კანის" დაცვის სახელწოდებით. ასეთი განვითარების მიზანი, ისევე როგორც ფრანგულის, მდგომარეობს შემდეგში: შავები ცდილობენ პაიკის გაწევით d5-ზე დაემუქრონ შეტევით e4 პუნქტზე. კარო-კანის დაცვა ამ ბოლო დროს კაპაბლანკას წყალობით, რომელიც მას ხშირად მიმართავს, ფართედაა გავრცელებული და კარგ შედეგებსაც იძლევა).

2. d2-d4, d7-d5 3. მb1-c3, d5 : e4. 4. მc3: e4, კc8-f5 (შეიძლებოდა აგრეთვე მg8-f6). 5. მe4-g3, კf5-g6. 6. მg1-f3, მb8-d7. 7. h2-h4 (აქ აჯობებდა: 7 კd3, რაზედაც შავები უპასუხებდენ 7.... კ:d3 8ლ : d3, ლc7 ან და პირდაპირ 7..., ლc7, რადგან კუს გაცვლა g6 შავებისათვის სავსებით მისაღებია. ტექსში მოყვანილს სვლას თავისი აზრიც აქვს: მისი მიზანია 7...., h6. შემდეგ 8. კd3 და შავებს აიძულებენ გაცვლას).

7...., h7-h6 8 კf1-d3 კg6:d3. 9 ლd1: d3-ლd8-c7. 10. კc1-d2, მg8-f6. 11. 0-0-0, e7-e6 12. მg3-f1 (საინტერესო გეგმაა თეთრებს გადაჰყავთ მხედარი e4-ზე რათა შემდეგ დაიკავონ უჯრედი e5 უნდა აღინიშნოს, რომ მთელ ამ ვარიანტს ჰქონდა ადგილი გრიგორიევ ს და ცელიკოვის პარტიაში. რომელიც გათამაშებულ იქნა ამ ორი თვის წინათ). 12...., 0-0-0 13. მf1-e3, კf8-d6 (არ ვარგა სჯობდა პირდაპირ c5-ი) 14 მe3-c4 (არც ეს ვარგა, შავები როდესაც თ მაშობდენ კd6. ალბათ ამ სვლას მოელოდნენ.. სჯობდა ჯერ 14g3 და შემდეგ მc4-მხედრის გაცვლით კd6-ზე და თეთრებს რჩებოდათ ძლიერი კუ შავ ბი სარგებლობენ თეთრების არა ზუსტი თამაშით და სცვლიან კუს თეთრების საშიშ კუზე d2) 14...., კd6-f4 15. ეh1-e1, კf4: d2 16 ეd1: d2, მფc8-b8 17. მc4-e5, მd7: e5 18. მf3: e5, ეh8-g8! (მუქარა იყო ლd3, d7 ან f7 პაიკის მოგებით) 19. g2-g4, მf6-e8 20. g4-g5, h6: g5 21. h4: g5,g 7-g6 22. ეe1-h1, მe8-d6 23. ეh1-h7? როგორც გვიჩვენებს პარტიის შემდეგი მიმდინარეობა ეს სვლა არ იყო კარგი, სჯობდა ლf3 და შემდეგ ლf6 უკეთესი მდგომარეობით) 23...., ეg8-h8! 24. ლd3-h3? ეd8: h7 25. ლh3: h7, მd6-e4! 26. ეd2-e2, მe4 : g5 27. ლh7-h4, f7-f6 28. მe5: g6, ლc7-f7? (აქ შავები დროს უქონლობის გამო, ერთ წუთში სამი სვლა ვერ [illegible] პარტიის სწორ გაგრძელებას ლd6!, რის შემდეგ თეთრებს უნდა ეფიქრათ ყაიმზე, მაგ. 28...., ლd6 29. ლf4, e5 30. მ : e5, მc6 31. ლ : f6, ლ : d4 32. მ : c6+,bc 33. ლ : d4, მ : d4 და შავები იგებენ პარტიას, სწორეთ დაცვა თეთრებისთვის იყო შემდეგი: 28..., ლd6 29. c3! c5! 30. f4!, cd 31fg, dc 32 ლe1, cb+ 33. მფ : b2, ლb6+ 34. მფa1, ლd4+ 35 ეb2, ლd1+ 36 ლ : d1 ე : d1+ 37, ეb1, ე:b1+ 38. მფ: b1, fg და პარტია უნდა დამთავრებულიყო ყაიმით). 29 მg6-e5! ლf7-g7? 30. მe5-d3, მფb8-a8

31. ლh4-g3, ლg7-h7. 32 ლg3-e3, ლh7h1+ 33. მd3-e1 (აქ თუ თეთრები ითამაშებდენ ეe1, მაშინ ლd5 34. f4. მf3 35. ეh1, მ : d4 და შავები იგებდენ) 33...., ლh1-d5 (სჯობდა ეd6) 34. f2-f4! მg5-f7 35. ლe3:e6, ლd5 : d4 36 მe1-d3, მf7-d6 37 ლe6-e3, ლd4-d5? (შავებმა ვერ გაითვალისწინეს მეორმოცე სვლა თეთრების. აქ მათ უნდა გაეცვალათ ლაზიერი და პარტია დამთავრდებოდა ყაიმით) 38. ლe3-e7, ეd8-g8 39. ლe7:f6, მd6-e4 40. ლf6-h4! (ერთად ერთი დაცვა თეთრების, ყოველი სხვა სვლით შავები იგებენ პარტიას, ეg1+ და თეთრები ვერ ააღწევდენ შამათს) 40.... მe4-c5 41. მd3:c5, ლd5 : c5 42. ლh4-g5!, ლc5-f8 43. ლd5-e5. ეg8-g1+ 44. მფc1-d2, ლf8-b4+ 45. მფ d2-e3 a7-a6? (აქ შავებს რომ ეთამაშათ b6 შეეძლოთ ბრძოლის გაგრძელება, თუმცა ამ შემთხვევაშიც პარტიის გადარჩენა მათ არ შეეძლოთ) 46. ლe5-h8+, მფa8-a7 47. ლh8-d4+, ლb4-b6 48. ლd4 : b6+ და რამოდენიმე სვლის შემდეგ შავები დანებდენ.

შემთხვევები

მკვლელობა

ა. წ. 18 ოქტომბერს, მლაშე ტბის მახლობლად იპოვეს მოკლული კაცის გვამი, შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდა მორიგე გამომძიებელი ს. თაბაგარი და სისხლის სამართლის სამძებრო მილიციის თანამშრომლები. გამოირკვა, რომ მკვლელობა მომხდარა 16 ოქტომბერს. მოკლული აღმოჩნდა ვალიკო გიორგის ძე მარლანია (23 წლისა), სოფ. ქვემო ლისის მცხოვრები. მას ტანზე აღმოაჩნდა 35 ჭრილობა, მიყენებული ხანჯლით.

სისხლის სამართლის მილიციამ ამ საქმეზე ეჭვით დააპატიმრა ბაგრატ სანდროს ძე ოგანეზოვი.

ჩხრეკის დროს ოგანეზოვს აღმოაჩნდა სისხლში გასვრილი ხანჯალი. მის ტანსაცმელზე იპოვეს აგრეთვე სისხლის ლაქები. ოგანეზოვი გამოტყდა დანაშაულში. როგორც მისი დაკითხვიდან გამოირკვა ბოროტმოქმედება მას ჩაუდენია შემდეგ პირობებში: ოგანეზოვს შეჰყვარებია მოკლულ მარლანიას და, მაგრამ მარლანიას წინადადება მიუცია დისთვის არ გაჰყოლოდა ოგანეზოვს. როცა ეს ამბავი გაიგო ოგანეზოვმა, გადასწყვიტა შური ეძია მარლანიაზე და ამ მიზნით იგი, ხანჯლით შეიარაღებული, თავს დაესხა მარლანიას, როცა იგი მლაშე ტბის მახლობლად ცხვარს აძოვებდა და მოჰკლა.

ქურდობა

ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს ილია ყიფიანის ბინა (ბარნოვის ქ. № 34), წაიღეს 300 მანეთის საოჯახო ნივთები;—გაქურდეს ა. კოჩაროვის დუქანი (კომუნართა ბაღი); წაიღეს 70 მანეთის საქონელი;—მარიამ საჯაიას ბინიდან (ბროსეს ქ. № 4), მოიპარეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები;—გაქურდეს ვახტანგ მუსხელიშვილის ბინა (ყოლოპანოვის ქ. № 6), წაიღეს 160 მანეთის ნივთები;—აკაკი ლეჟავას ალმასკომის შენობაში სამსახურის დროს მოპარეს პალტო;—ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს გიორგი ხატიაშვილის რესტორანი (ორჯონიკიძის ქ. № 2), მოპარულია 60 მანეთის ნივთები;—კედლის გამონგრევის საშუალებით გაქურდეს ალექსანდრე სტეფანიანცის სავაჭრო მაღაზია (პლეხანოვის პროსპექტი № 115), წაიღეს 240 მანეთი.

ჯიბგირების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა თედორე ივანეს ძე ტილინი, რომელმაც ამას წინად მუშკოოპის პასაჟში ფული ამოაცალა მოქ. ს. ჯიმშელეიშვილს.

ვისია ნივთები?

ნაპოვნია სამგზავრო ჩემოდანი, პალტო და კაცის ტანსაცმელები. პატრონი უნდა გამოცხადდეს სისხლის სამართლის მილიციაში.

რეციდივისტები

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტები: გრიგოლ ტიმოთეს ძე კოვალენკო და მიხეილ მიხეილის ძე პოლოსოვი.

ფიზკულტურა და სპორტი

შეჯიბრება ტენისში

4 ნოემბერს, დილის 10 საათზე, იწყება პირველი საპროფკავშირთაშორისო შეჯიბრება ტენისში, რომლის მიზანია ტენის-სპორტის პოპულიარიზაცია და პროფკავშირების გუნდების მიღწევების გამორკვევა.

შეჯიბრება ჩატარებული იქნება ტენისის მოედანზე (პლეხანოვის პრ. № 117). შეჯიბრების პროგრამაში შედის: საჩვენებელი ნაწილი, გუნდების აღლუმი და ორი საუკეთესო გუნდის საჩვენებელი თამაში. თამაშობის მიზანის, წესების და ტეხნიკის ახსნა-განმარტებით. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ვაჟები, ისე ქალები. თვითეული კავშირიდან გამოყოფილი იქნება თითო გუნდი.

გამარჯვებულ გუნდს მიენიჭება თბილისის პროფკავშირების 1928 წლის ჩემპიონის სახელი, მიეცემა დიპლომი და საქართველოს პროფსაბჭოს სახელობის გარდამავალი ჯილდო.

მეორე და მესამე ადგილზე გამოსული გუნდები მიიღებენ დიპლომებს.

შეჯიბრების მთავარ მსაჯად დანიშნულია ამხ. **გომერი.** შეჯიბრების ტეხნიკურად ჩატარება დავალებული აქვს **საორგანიზაციო კომისიას,** რომელშიაც შედიან ამხ. გოზალოვი, გიგიბერია, გომერი, ხანგულიანი, სამუშია, ასათიანი, რუდოვსკი და ბოგატელოვი.

ფეხბურთი

დღეს, 28 ოქტომბერს, გაიმართება შემდეგი კალენდარული შეჯიბრებანი:

ყოფ. სამხედრო ტაძრის მოედანი. თამაშობენ მესამე კატეგორიის გუნდები. დილის 10 საათზე: რკინის გზის მე-7 სკოლა—მბეჭდავები; 12 საათზე: მშენებელთა მე-2 საუბნო კომიტეტი — 3 რაიკომი.

„დინამო"-ს სტადიონი. თამაშობენ მეორე კატეგორიის გუნდები, დილის 8 საათზე: პროგრესი 1—მშენებლები; 10 საათზე—ძაფის ფაბრიკა—ხეზე მომუშავეები: 12 საათზე—კომუნალური მუშაკები — მექანიკური ქარხანა.

ნაშუადღევის 3 საათზე იქვე თამაშობენ ქალაქის მილიცია — მელითონეების პირველი გუნდი.

ლენინის სახელობის სტადიონი. 1 საათს 30 წ.—„რკინის გზელები — პირველი" — „მედსანშრომა — პირველი"; 3 საათსა 30 წ.— „საბჭოთა მუშაკები — პირველი" — „გემოკვების მუშაკები".

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

ოფიციალური ცხრილი № 6

მეჩვიდმეტე სერიის მეორე ტირაჟისა, რომელიც შესდგა ქ. ვაგარშაპატში (სომხეთი)

სატირაჟო კომისიის 21 ოქტომბრის საღამოს სხდომაზე გათამაშებულ იქნა 180 ორმოცდაათ მანეთიანი (თითოეული) მოგება, რომლებიც ხვდა მეჩვიდმეტე სერიის შემდეგ ობლიგაციებს

004.902	031.199	054.254	083.623	116.265	143.397	172.901	193.932	218.586	240.336
004.973	033.572	056.203	084.605	117.066	144.014	173.567	193.948	218.893	240.380
005.857	033.896	056.349	085.538	118.084	145.784	173.587	194.693	219.931	240.633
007.305	036.807	057.583	086.225	120.908	145.997	174.681	198.467	220.172	240.764
007.726	038.765	058.125	086.783	122.902	146.000	174.714	201.425	220.732	241.318
010.321	039.411	058.449	090.918	125.240	148.493	174.865	203.241	221.242	243.544
011.333	040.616	059.646	091.428	126.652	149.562	174.898	203.596	221.307	243.781
012.986	041.282	059.798	091.686	127.949	150.235	178.434	204.172	221.698	244.201
014.525	042.793	060.638	097.960	128.241	155.264	178.442	208.743	222.966	246.508
014.954	042.844	062.121	100.485	128.851	157.673	179.559	210.165	226.638	247.330
018.350	044.234	063.718	103.639	130.791	159.570	180.336	210.906	227.503	247.345
019.367	045.084	065. 833	104.979	131.020	161.822	184.299	210.928	227.525	247.395
019.486	045.324	066.071	109.015	136.182	163.142	186.390	211.856	228.205	248 221
020.728	046.747	068.486	109.132	136.524	163.197	186.696	212.770	230.002	249.613
028.149	048.284	068.948	111.331	137.090	166.150	188.488	212.800	234.147	249.818
029.348	049.736	070.759	112.452	139.895	166.503	191.687	215.607	234.922	
029.364	052.087	070.989	114.667	140.132	169.182	192.132	216.109	235.040	
029.623	053.927	080.195	114.848	142.142	169.513	193.150	217.065	218.344.	
		081.897	115.542	142.324					

მეცნიერება და ტეხნიკა

ყინულისმჭრელის 30 წ. თავი

29 ოქტომბერს სრულდება ყინულისმჭრელი გემების 30 წ. თავი. 1898 წ. 29 ოქტომბერს დასრულდა პირველი ყინულის მჭრელი გემის — „ერმაკი"-ს აგება რუსეთში, გამოჩენილ რუს მეცნიერ **ს. მაკაროვის** პროექტის მიხედვით. „ერმაკი" ამჟამადაც მუშაობს. იგი არის დიდი გემი, 10.000 ტონა წყალწყვის მქონე, თავისუფლად ამტვრევს 3—4 ფუტის სისქე ყინულს და სიდიდისა და სიძლიერის მიხედვით ბადალი არ ჰყავს.

თავისი მუშაობის 30 წლის განმავლობაში „ერმაკმა" ყინულებში დაღუპვას გადაარჩინა 2.000 გემი. მაგრამ ყველაზე ბრწყინვალე ფურცელი „ერმაკის" ისტორიაში არის ბალტიის სავაჭრო ფლოტის გადარჩენა თეთრგვარდიელების მიერ გატაცებისაგან. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადების დროისათვის ბალტიის სავაჭრო ფლოტი რეველისა და ჰელსინგფორსის ნავთსადგურებში იმყოფებოდა. რეველის დაკავებამ თეთრგვარდიელების მიერ და ფინეთში დაწყებულმა სამოქალაქო ომმა შექმნა საფრთხე იმისა, რომ თეთრგვარდიელები ხელში ჩაიგდებდნენ საბჭოთა სავაჭრო ფლოტს. მაშინ საბჭოთა გემების გამოსაყვანად ყინულებიდან ლენინგრადიდან გაგზავნილ იქნა „ერმაკი", რომელსაც სამი გზის გაკეთება დასჭირდა, რომ ყველა გემები ლენინგრადში მიეყვანა. „ერმაკი" რამდენიმეჯერ კინაღამ შეიქნა მტრის ყუმბარების მსხვერპლი, მაგრამ მაინც შესძლო ბალტიის სავაჭრო ფლოტის შენარჩუნება ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის.

შხამიანია თუ არა მინერალური სასუქები

უცხოეთში გავრცელდა ხმები, თითქო მინერალური სასუქები წარმოადგენენ საბალახოებზე საქონლის მოწამვლის მიზეზს.

გერმანიის ერთმა ქიმიურმა ტრესტმა მთელი რიგი ცდები მოახდინა ამის გამოსარკვევად. ცდებით დამტკიცდა, რომ აზოტიან ნივთიერებათ, რომელთაც ბალახთან ერთად სჭამს საქონელი, არავითარი მავნებლობა არ მოაქვს.

ზოგიერთი სასუქები, მაგალითად, სუპერფოსფატი, დადებითი ზეგავლენასაც კი ახდენს ორგანიზმზე.

მრავალრიცხოვანმა ცდებმა, რომელთა სისწორეში ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება, დაამტკიცეს, რომ ხმები საქონლის მოწამვლის შესახებ მინერალური სასუქებით ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ახალი რადიო-აქტიური მადნები

უკანასკნელ ხანებში კარნეჯის სახელობის ინსტიტუტი (ვაშინგტონში, შეერთ. შტატებში) აწარმოებს რადიო-აქტიურ მადნეულობის სისტემატიურ ძებნას. მუშაობამ ამ მიმართულებით უკვე გამოიღო შესაფერი ნაყოფი: ნაპოვნია რადიო-აქტიური მადნები ქვის მთაზე, ჯორჯიის შტატში (შეერთ. შტატების სამხრეთ-ნაწილი). ამჟამად ინსტიტუტი აწარმოებს ცდებს რადიუმის მისაღებათ ქვის მთაზე ნაპოვნ მადნებიდან. თუ რადიუმის მიღება ამ მადნებიდან ხელსაყრელი აღმოჩნდა კომერციული თვალსაზრისით, იქ მოეწყობა მაღაროები.

თოკი თმებიდან

საინტერესო ცნობები შეაგროვეს ადამიანის თმის გამძლეობის შესახებ გერმანიის ერთ მექანიკურ ლაბორატორიაში.



თმას შეუძლია გაუძლოს 180 გრამ (თითქმის ნახ. გირ.) ტვირთს იმ დროს, როცა ასეთივე სისქის ძაფი წყდება 100 გრამის (ერთმეოთხედ გირვ.) დატვირთვის დროს. გამოწვავი ფოლადის მავთული უძლებს 400 გრამ ტვირთს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ადამიანს თავზე საშუალოდ 60.000 თმა აქვს, მაშინ გამოვა, რომ თმიდან დაგრეხილ თოკს შეუძლია გაუძლოს 10000 კილოგრამ (625 ფ.) ტვირთს, ე. ი. ორი საკმაოდ დიდი ზარბაზნის წონას.

160 კილომეტრი საათში

ცნობილმა იტალიელმა კონსტრუქტორმა და საავტომობილო ქარხნების პატრონმა **ეტტორე ბუგატიმ** დაამზადა ახალი მოტორიანი გემი, რომლითაც 50 საათის განმავლობაში აპირებს ატლანტის ოკეანეს გადაცურვას. გემზე დადგმულ მოტორების ძალოვნობა უდრის 2.500 ც. ძალას. კარგ დარში გემი აღწევს წარმოუდგენელ სისწრაფეს—160 კილომეტრს საათში. ქარიშხალის დროს გემი ძლიერ იხურება ყოველი მხრიდან.

ბაყაყების სქესის გამოცვლა

შეერთებულ შტატებში ამ რამდენიმე ხნის წინად მოახდინეს მდედრობითი სქესის თავმკომბალების მამრობითი სქესის თავკომბალებად გადაქცევის საინტერესო ცდები.

მეცნიერმა **უიტჩიმ,** რომელიც ამ ცდებს ახდენდა, გამოზარდა თავმკომბალების ორი ჯგუფი და მისცა მათ ნორმალური განვითარების შესაძლებლობა იმ დრომდე, სანამ სასქესო ორგანიზმები გამოიჩნდებოდათ. თავმკომბალების ერთი ჯგუფი იზრდებოდა წყალში, რომელსაც ბაყაყების ნორმალური განვითარების პირობებთან შეფარდებით ათბობდნენ. ამ დროს უიტჩიმ მიიღო სქესების ასეთი შეფარდება: 100 მდედრობითი სქესის და 96 მამრ. სქესის. მეორე ჯგუფის გამოზრდის დროს წყალის ტემპერატურა გაადიდეს 32 გრადუსამდე, როცა თავკომბალებმა 5 კვირის ჰასაკს მიაღწიეს. წყლის ტემპერატურის გადიდების ზეგავლენით მდედრ. სქესის თავკომბალების სასქესო ორგანოებმა თანდათანობით იწყო გაქრობა, სანამ მდედრობითი სქესის ბაყაყები, მამრობითი სქესის ბაყაყებათ არ გადაიქცნენ.

იურიდიული დახმარება

კითხვა:

გთხოვთ გვიპასუხოთ—გვეხება თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს სოფლად საგზაო ბეგარა?

პასუხი:

გეხებათ, თუ სოფლად მიწა ან მეურნეობა გაქვთ.

ნესტორ კორძაძეს

კითხვა:

ვმუშაობ ქარხანაში, ვარ კავშირის წევრი. სოფლად მაქვს ერთი ქცევა ადგილი, რის გამოც სოფელი ჩემგან მოითხოვს საგზაო ბეგარის მოხდას. ვალდებული ვარ თუ არა მოვიხადო საგზაო ბეგარა, როცა მუდმივად თბილისში ვცხოვრობ?

პასუხი:

სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო საწარმოთა მუშები თავისუფალი არიან საგზაო შრომის ბეგარისაგან.

ა. ხ—იას

კითხვა:

1926 წლის აპრილში გადამიყვანეს პენსიონერად. 1927 წ. ივნისში დავიწყე სამსახური. და სალარომ სამსახურში ჩადგომისთანავე მომიხსნა პენსია. ჩემი ავადმყოფობისაგან დღესაც არა ვარ მორჩენილი. რამდენად კანონიერია პენსიის მოხსნა, სანამ ავადმყოფობისაგან არ განვკურნებულვარ?

პასუხი:

სამსახურში შესვლისას პენსიის გაცემა სწყდება, თუ ამ სამსახურში წინანდელ ჯამაგირზე ნაკლები არ გეძლევათ.

შრომის ბირჟაში

ორშაბათს, 29 ოქტომბერს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გაგზავნის შემდეგ უმუშევრებს:

შავ მუშათა სექციიდან—მარიამ შარაბინინიანა ბეზპროზვანკო, მნაცაკან ტერ-სარქისოვი, ანა ნათაძე, როზონჩოვი, ზამკოვი, შჩუგანოვი.

მედსექციიდან—მარიამ ჩაჩიბაია, მარიამ გუნცაძე, სირანუშ მეგრაბიანცი, ამავე სექციაში ქ. კაზახიდან მიღებულია მოთხოვნილება ერთ ბებია-ქალის ექიმის თანაშემწის გაგზავნის შესახებ.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან — მარიამ თუშიშვილი, ვლადიმერ სანაძე, მარიამ გვინჩიძე, ნინო ნინოშვილი, მარიამ გეპნერი.

კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან—კონსტა კალმახელიძე, იოსებ ვაზაგაშვილი, მეგინიანცი, ნადეჟდა გოგლიძე, პავლე ძნელაძე, მაგდალინა ტეძოსიანი, ბუხაშვილი, სტეფანე ბურდიანოვი, ედიგ თუმანიანი, გიორგი პაპაშვილი, კოტე სარუხანოვი, შალვა პატარიძე, ალექსანდრე ამბარდანოვი, გიორგი კვირიკაშვილი, ელენა ლორთქიფანიძე, ავაქოვი. პრესნიაკოვი.

ცნობათა ბიურო

შრომის ბირჟასთან დაარსდა ცნობათა ბიურო, რომელიც ყოველგვარ საჭირო ცნობებს მიაწვდის უმუშევრებს. ბიუროს გამგეთ დანიშნულია **ასლანიშვილი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის აგიტპროპგანყოფილება წინადადებას აძლევს ქალთა სადელეგატო კრებების ყველა ხელმძღვანელებს, სამშაბათს, 30 ოქტომბერს ჩაატარონ სადელეგატო კრებების პირველი საორგანიზაციო მეცადინეობა, რისთვისაც წინასწარ დაიკავონ კავშირი რაიკომების აგიტპროპგანყოფილებებთან და ქალთა განყოფილებებთან.

ორშაბათს, 29 ოქტომბერს, საღამოს სრულ 7 საათზე სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში შესდგება რკინისგზელების პროფსექციის საერთო კრება. რკინისგზელთა პროფკავშირის წევრ ყველა სტუდენტების და აგრეთვე რკინის გზის საექსპლოატაციო განყოფილების სტუდენტების დასწრება სავალდებულოა.

ორშაბათს, 29 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, საქ. კომპ. ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ემედაძე, ჩხარტიშვილი, ბუთილევი, ვანაძე, მდივნიშვილ (ვან. მუშ. კავშირი), ზურაბოვი (კომ. უნივერ.) გასან-საბრი, სოსიანი და ვინტინი.

ორშაბათს, 29 ოქტომბერს, საღ. 6 საათზე შესდგება თბ. პოლიტეხნ. ინსტ. მექ. ფაკ. ა. ლ. კ. კ. უჯრედის კრება; წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ორშაბათს, 29 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება საგამომცემლო საქმის შემსწავლელ კომისიის სხდომა, რომელზედაც შემდეგ ამხანაგების დასწრება აუცილებელია: კახდელაკი, ბედია, ხარაზიანი, ნიკიტინი, პიტოევი, ბიბინეიშვილი, მიქაძე, მხითაროვი, იტრიევი და ლევან აღნიაშვილი (შემდ. სიტყვის კომიტეტი).

წინადადება ეძლევა ამხ. სერგო გრიგოლის ძე გომართელს 2 დღის განმავლობაში გამოცხადდეს ს. კ. პ. (ბ) ც. კ.-ს საორგანიზაციო განმანაწილებელ საორ. ქ/განყოფილებაში ამხ. **კვირკველიასთან,** ოთახი № 23.

დღეს, 28 ოქტომბერს, საღამოს 4 საათზე, უნივერსიტეტის მთავარ შენობაში უნდა გამოცხადდეს ყველა კომკავშირელი დაუგვიანებლივ.

გულმოკლული შვილი კოკონა ლოლობერიძე, პატარა ქალიშვილი ქეთოთი, ძმა იოსებ ხაუბათოვი მეუღლით და ელენა ქორქოლიანისა შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 27 ოქტომბერს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ანა სტეფანეს ასული ლოლობერიძისა

რომლის გამოსვენება მოხდება ყოფ. ნიკოლოზის (ვერის) სასაფლაოდან 30 ოქტომბერს, 4 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე სამოქალაქო წესით

თავზარდაცემულნი ქმარი თომა ჩიქვანაია, დედა ძაძუ და მამა სარდიონ ჩიჩუები, და მარო და სიძე ბესარიონ კიზირიები, დედამთილი კესარია და მული ოლია ჩიქვანაია აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

ელენე (ლოლა) სარდიონის ასული ჩიქვანაიას

მოულოდნელად გარდაცვალებას, დაკრძალვა კვირას, 28 ოქტომბერს, გამოსვენება ბინიდან (ენგელსის ქ. 17), დღის 3 საათზე (შ)

დამწუხრებულნი ბებია სალომე, ბიძები, ავქსენტი და კალისტრატე, ბიცოლები, მარიამი, დესპინე და ნინო, ბიძაშვილები აკაკი, ზინა და ვალერიან აფაქიძეები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს დაუვიწყარ

ლოლა სარდიონის ასული ჩიქვანაიას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 28 ოქტომბერს ვერის ახალ სასაფლაოზე გამოსვენება 3 საათზე, ენგელსის 17. (შ)

რუსთაველის სახელმწიფო თეატრი
ნ. 1751

დღეს, 28 ოქტომბერს, I წარმოდგენა აბონემენტის გარეშე
„ანზორ" ალ. შანშიაშვილის. მიერ გადმოკეთებ. ვ. ს. ივანოვის „ჯავშანი 14—69"-დან
დადგმა ალ. ახმეტელის. მუსიკა ი. გოკიელის.
კონსტრუქცია ირ. გამრეკელის.
ვინც აბონემენტის მე-2 გადასახადს არ შემოიტანს 28 ოქტომბრისათვის, წარმოდგენაზე დაშვებული არ იქნება.
ბილეთები თეატრის სალაროში დილ. 11—3 ს. და საღ. 6—10 საათ.
დასაწყისი 8 საათზე.

ცირკი „კოლოსი"
1928/29 წლ. (ზამთრის) სეზონი
ანონსი! ამ დღეებში ცირკი „კოლოსის" სანახაობათა საზეიმო გახსნა
ახლად შედგენილ დასში შედიან საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის გამოჩენილი არტისტული ძალები. პროგრამა ევროპიულ ცირკების მასშტაბისაა.
პროგრამა შეიცავს საცირკო ხელოვნების ყოველ სფეროს.
ყველაფერი თბილისისათვის პირველად!
ყოველ სამ დღეში ახალი გასტროლები
თვალყური ადევნეთ რეკლამას! წაიკითხეთ აფიშები.
დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი თბ. ცირკის გამგე მ. ი. ტადე
რწმუნებული კ. მ. გრომიცკი
3—1 ნ. 1750

ჩამოდის! ანონსი! ჩამოდის!

ამ დღეებში ჩამოვა და „ჟოკეი კლუბის" ბაღში (ყოფილ არტოში) მოთავსდება საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უდიდესი მოძრავი სამეცნიერო-საცდელი სამხეცე
„ცხოველთა სამეფო"
ცნობილი ნატურალისტ-ზოოლოგის გ. ი. ბოიკოს ხელმძღვანელობით. სამხეცეს ჩამოჰყავს ზღვის, ხმელეთის, პოლიარული, ტროპიკული, ტბის, მდინარის, ტყისა და მთის აურაცხელი მხეცი ფრინველი და ქვეწარმავალი. სამხეცეს გახსნის დღე ცალკე გამოცხადდება 3—1 ნ. 1746

გამოვიდა
ჟურნალი „სოფლის კომუნისტი" № 10
შინაარსი:
საკავშირო კომ. პარტიის (ბ) ცეკა საქ. კომპარტიის (ბ) მუშაობის შესახებ. მიხ. კახიანი—პარტიის უახლოესი ამოცანები სოფლად, ი. ვარძიელი—საბჭოთა მომავალი საანგარიშებო-საარჩევნო კამპანია, ნ. კრუპსკაია—ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობასთან სოფლად, კ. ორაგველიძე—მტკივნეული ადგილი ჩვენი კოოპერაციის მუშაობაში, ნ. ქ—ვ—ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის განაღდება სოფლად, აგრ. ნ. ალნიაშვილი—როგორ გავადიდოთ სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა, ს. ხოშტარია—კონტრაქტაციის შედეგები საქართველოში, დ. ვოლსკი—კომკავშირის ზრდის საკითხი.
პარტიული აღმშენებლობა:
საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მიმართვა კომუჯრედების ბიუროების გადარჩევის შესახებ. სტ. მამულოვი—უჯრედების ბიუროების გადარჩევა, ე. გორდელაძე—მიწატყის კავშირის სისუსტე მოჯამაგირეთა შორის მუშაობაში.
ადგილობრივი ცხოვრება:
ი. ჰოჭუა—რა სთქვა ღარიბი გლეხობის თათბირმა, ალ. ბ-დიაშვილი—აგრონომიული მუშაობა და ახალი კოლექტივები სოფლად, მ. ჯინჭველაშვილი—პარტმუშაობა სართიჭალის თემში, ი. ვ—ლი—საკრედიტო ამხანაგობის მუშაობა. ბიბლიოგრაფია.
ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერლებს და გაიყიდება ყველგან.

[illegible]
ლინოლეუმი ახალი
მიღებულია და იყიდება
მუშკოოპის მაღაზიაში № 120
რუსთაველის გამზირი 23 (ტელეფ. № 17—86)
3—2 ნ. 1733

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. №10

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

ექიმი
დარეჯან ე. თხელიშვილი-კაკუბერი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება სემიონოვის (ვარდციხის ქ.) მე-9-რე უბანი, № 16,
მიღება დილის 8—9 საათ საღამ. 5—8 საათ.

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 2. 25—2

საქართ. სახელმწიფო გამომცემლობამ
გახსნა
თავის მაღაზიებში
თბილისში
ცენტრ. მაღაზიაში № 22
რუსთაველის პრ. № 22.
ქუთაისში და ბათომში
თვალსაჩინო ნივთების და ფიზიკის განყოფილებები
მიღებულია და იყიდება:
ფიზიკის იარაღები, ქიმიური ჭურჭეულობა, აპარატები, რეაქტივები, ლაბორატორული ხელსაწყოები სხვადასხვა კოლექციები ბუნების მეტყველების სხვადასხვა დარგიდან, ადამიანის სხეულის ჩონჩხები და მოდელები
მიიღება შეკვეთები
საქონელი გაიგზავნება ფასდადებითაც
ნ. 1754

თბილისის შრომის ბირჟასთან არსებული
კოლექტივი
„ხის დამმუშავებელი"
ღებულობს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან დაკვეთებს
1. ყოველგვარი სიდიდისა და სახის ყუთებისა და
2. საღვინე კასრების დასამზადებლად და სხვა ასეთ სამუშაოთა შესასრულებლად
შესრულება კეთილსინდისიერია და ფასი იზომიერი
დაკვეთები ყუთებისა და კასრების დიდი პარტიების დასამზადებლად მიიღება ხელშეკრულებებით. საჭირო ცნობების მიღება შეიძლება კოლექტივების გაერთიანების სამმართველოში, ვოლოდარსკის ქ., № 3 (შრომის ბირჟის შენობა). ტელ. 5—34.
ნ. 1649 13—12

სასწავლო სეზონისათვის
თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოთა ინსტიტუტი
მზათ არის მოაწყოს ფიზიკისა, ბუნებისმეტყველებისა და სხვ. კაბინეტები და ლაბორატორიები. არის ყოველნაირი ლაბორატორიული და ქიმ. ჭურჭელი, აპარატურა და რეაქტივები
ფასები დაკლებულია
თბილისი, ავჭალის მოედანი, № 10, გერმანულ სასაფლაოს პირდაპირ. ტელეფონი 16—49. 10—9 ნ. 1620

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 25—2

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა
ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.
ელსმენი—11—78. ნ. 25—2

ექიმი
ანასტასი ლევის ძე
ორლოვსკი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და საბავშო სნეულებით ავადმყოფთა მიღება. (სპეციალურად მალიარია) ამოს ქუჩა (ყოფ. ქსენიევის ქუჩა) № 9 მიღება დილით 1—2 საათამდე და საღამოთი 6—7 საათამდე. 25—1

„აზრიბტრესტი"
ჰყიდის კოოპერატიულ ამხანაგობა გზე. სხვ. 3 სახლს
რომელიც მას აქვს თბილისში:
ა) ნინოშვილის ქუჩაზე № 15 (ყოფილი ალექსანდრეს ქ.)
ბ) ზურაბაშვილის ქუჩაზე № 9
გ) კახეთის ქუჩაზე № 56
ცნობებისათვის მიმართეთ საბჭოთა აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლობას თბილისში, კეცხოველის ქ. (ყოფ. ლორის-მელიქოვის) № 5.
ა.ს.ს.რ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს
ნ. 1748 წარმომადგენელი—კალაშნიკოვი.

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
ამით აცხადებს, რომ კვირას, 28 ოქტომბერს, დილის 11 საათზე კომუნალური ქ. № 106, 12 საათზე ალავერდის ქ. № 2 და 1-ლ საათზე პუშკინის ქ. № 4 და 6-ში დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად, გაიყიდება მოქ. ტამპაშევის 1000 ფუთი წებოს სახარში ტყავი, მოქ. მოზჟუხინის მავთულის ბადე (СЕТКИ და მოქ. გოლომბეკის სხვადასხვა საღებავები.
ნ. 1749

ალმასკომის აგურის ქარხ. სამმართველო
აცხადებს, რომ სამმართველოს შენობაში (ვაკე, უნივერსიტეტის ქ. № 36, ტელ. № 6—55), შესდგება
განმეორებითი
წერილობითი შეჯიბრება
1) ა. წ. 5 ნოემბერს ორშაბათს დილის 10 საათზე 2.000 კბ. მეტრი ქვიშის მოწოდებაზე ღირებულებით 8.000 მანეთამდე ვაკეს ქარხ. აგურის დასაყალიბებლად.
დაწვრილებითი ტეხნიკური პირობების მიღება შეიძლება სამმართველოს კანცელარიაში, იქვე მიიღება დაბეჭდილი პაკეტები.
4676. აგურ. ქარ. სამ. გამგე ა. ჯაფარიძე.

30 ოქტომბერს, ქართულ ცხენოსან ლეგიონის სამეურნეო ნაწილის კანცელარიაში
ნაშუადღევის 4 საათზე ინიშნება
საჯარო ვაჭრობა
ცხენების [illegible] ნეხვის გაყიდვის შესახებ ზამთრის განმავლობაში 30 ოქტომბრიდან 28 წ. 15 მაისამდე 1929 წელს.
4675 ქართ. ცხენოსანი ლეგიონი.

ქ. თბილ. მე-2 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
თ. გოგია
ამით აცხადებს, რომ ის 30 ოქტომბერს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 2 იერუსალიმის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის ონიკო გარიბოვის მოძრავ ქონებას: ბუფეტს ორ სართულიანს, სარკეს, კედლის საათს, 33 ხვევა შავ ტელეფონის მავთულს შეფასებულს 100 მანეთად, დიმიტრი ცეკვაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. მე 2 უბნის სასამართლოსაგან 5 ოქტომბერს 1928 წ. თარიღით, № 2070 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.
ნ. 1747

თბილისის მე-4 უბნის სასამართ. აღმასრულებელი
კ. ოდიშარია
აცხადებს, რომ ის 31 ოქტომბ. 1928 წ. საათის 1 დღისა, ნეკრასოვის ქ. № 9 საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის დავით გრიგოლის ძე ძამულოვის ერთ სართულიან აგურის სახლს ფლიგელით, დახურულს კრამიტით შეფასებულს ოთხი ათას მან. დასაკმაყოფილებლად თამბაქოს ტრესტისა და ალექსანდრე პეტრუშევის მემკვიდრეების. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამართ. საპროც. კოდექ.
4686

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 1—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ.

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძმელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-და შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. [illegible] ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
ტერ-ოვაკიმოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად: სქესობრივი ფუნქციონალური აშლილობა და სიფილისი (ფსიხიოტერაპია)
ავადმყოფების მიღება: დილაობით 11—1 საათ; საღამოობით 5—8 საათ საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ., № 48, ჟორესის (ყოფ. კირკის) ქუჩის. კუთხე. 25—1

ექიმი
ვ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩა № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 6—8 კაცებს
5—6 ქალებს.
25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება სიფილისი, შეშხაპუნება „914"-ით. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 1. 25—1

ცაგერის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
ნემსაძე
აცხადებს, რომ ის 2 ნოემბერს 1928 წ. დღის 12 საათზე ქ. ცაგერში მეორე საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის კუჭკო ალექსის ძე მდივნის ქონებას, რომელიც შეიცავს ორსართულიან ხის სახლის ორ ოთახს და მის პირდაპირ მისივე ზომის ქვედა სართულს ქვისას, დახურულს ყავრით, შეფასებული 600 მანეთად, ცაგერის თემ-ალმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ცაგერის უბნის სახ. სასამართლოსაგან 22 ივლისის 1928 წ., თარიღით № 466, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები, აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი.
4682

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი
კ. პოტემკოვსკი
ამით აცხადებს, რომ ის 3 ნოემბერს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 4 მუხრანის ქუჩ., ამავე სახალხო სასამართლოს შენობაში საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის ანა ნიკიტას ასული შჩიტოვას მოძრავ ქონებას: კისერზე ჩამოსაკიდ ოქროს ძეწკვს, ოქროს ბრასლეტს, ბეჭდებს, კაცის და ქალის ოქროს საათებს, ჩაის ვერცხლის კოვზებს და სხვ. შეფასებულს 834 მანეთად, და 83 კ., ელისაბედ პავლოვსკაიას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 სახალხო სასამართლოსაგან 10 ოქტომბერს 1928 წ. თარიღით, № 2495 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.
4667

ქ. თბილისის მე-4 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი
ა. გიორგაძე
ამით აცხადებს, რომ ის 2 ნოემბერს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 86 პლეხანოვის გამზირზე საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის მოქ. ტატულ და ნიკოლოზ ოგანესიანების მოძრავ ქონებას: 546 წყვილ სხვადასხვა ფეხსაცმელებს, ველოსიპედს, ტანისამოსის შკაფს, პალასს, ნოხებს, 31 ცალ ტყავს ფეხსაცმელისს და სხვა ნივთებს შეფასებულს 1924 მანეთად, გიორგი დანელიას და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 23 ოქტომბერს 1928 წ. თარიღით, № 7219 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.
4679

ექიმი ივ. გველესიანის
პარაზიტოლოგიური
კაბინეტი
იღებს გამოსაკვლევად ყოველგვარ მასალას სპეციალურად სისხლის პარაზიტებზე (მალარია, სპიროხეტოზი და სხვა) და ნაწლავების პარაზიტებზე (amoeba, trichomonas, giardia intestinalis და სხვა protozoa: ჭიებზე) მასალა გამოსაკვლევად მიიღება: დილის 8—9, საღამოს 5—7 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა 38
ელსმ. 6—22 4364 25—1

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35
25—1

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიული ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს) დღის 2—3 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ტელ. 14—23.

კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე
შეღავათიან ფასებში
სწარმოებს ყოველგვარ ხელოვნურ კბილების ჩასმა და პროტეზების მომზადება.
იღებს ავადმყოფებს ყოველდღე კვირა უქმის გარდა საღამოს 4—6 საათ. მდე.
მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126. 25—1

დაიკარგა: პირადობის მოწმობა ალექსანდრე შალამბერიძის სახელზე. ჩ. გ. 4685

დაიკარგა: [illegible] სააღრიცხო ბარათი № 57126 ლუკა მიხეილის ძე [illegible] სახელზე. ჩ. გ. 4684

დაიკარგა: პირადობის მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი იოსებ ლაზარის ძე თულაშვილის სახელზე. ჩ. გ. 4678

დაიკარგა: სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობა „მისაწერი წიგნაკი" ფორმა № 3 ანორო კობახიძის სახელზე. ჩ. გ. 4681

დაიკარგა: მეტრიკული მოწმობა [illegible] სახელზე, ჩ. გ. 4677

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამ ოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.